წლიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80
ექსპედიციის 5—43.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის 13—80.

ხუთშაბათი, 3 ივნისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 124 (1579)

დ ღ ი უ რ ი

— ამხ. სტალინმა გუშინ ზაჰესი დაათვალიერა.
— პორტუგალიაში შესდგა დროებითი მთავრობა.
— განიარაღების კომისიაში უთანხმოება „განიარაღების“ საკითხში.
— მთელ ჩინეთში იმართება ფართო დემონსტრაციები.
— დეპუტატთა პალატამ გადასდო ბრიანის საფინანსო პროექტების განხილვა.
— ასტრახანის გუბერნიაში ადიდებულმა ვოლგამ დაჰფარა 83 სოფელი.
— სამეცნიერო აკადემია მრავალ სამგლოვიარო დეპეშებს ღებულობს აკადემიკოს სტეკლოვის გარდაცვალების გამო.

„კომუნისტი“
გრძელდება ხელისმოწერა ივნისისათვის
დაიბეჭდა და დღევანდელ ნომერთან ერთად ურიგდება
ხელისმომწერლებს
ჟურნალი „დროშა“ № 8--9

შრომის ნაყოფიერება უნდა ავსწიოთ

მკითხველი ჩვენს გაზეთში დღეს გაეცნობა საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებას მრეწველობაში და ტრანსპორტზე შრომის ნაყოფიერების აწევის შესახებ. დადგენილებაში აუცილებლადაა ცნობილი შრომის ნაყოფიერების გადიდება საშუალოდ არა ნაკლებ ათი პროცენტისა მიმდინარე სამეურნეო წლის დარჩენილ პერიოდისათვის.

მომჭირნეობის რეჟიმის გატარება და ამ ჟამად ჩვენს წინაშე აღმართულ სამეურნეო სიძნელეთა გადალახვა მჭიდროდაა დაკავშირებული შრომის ნაყოფიერების საკითხთან. საქონლის ნაკლებობის დაძლევა, სამრეწველო საგნებზე ფასების დაკლება, ხელფასის ეხლანდელი რეალური დონის შენარჩუნება და მისი გაზრდა, საერთოდ წარმატებითი სოციალისტური მშენებლობა შეუძლებელია, თუ სათანადოთ არ იქნა გადაჭრილი შრომის ნაყოფიერების პრობლემა.

მდგომარეობა ამ მხრივ კი არ არის დამაკმაყოფილებელი. თავის დროზე ფართედ იქნა ჩატარებული კამპანია შრომის ნაყოფიერების ასაწევად. ამან კიდეც გამოიღო თვალსაჩინო ნაყოფი. მაგრამ მუშაობა ამ მიმართულებით შენელდა. და არამც თუ წინ ვერ წავიწიეთ ამ დარგში, მიღწეული შედეგებიც ვერ შევინარჩუნეთ. მაგ., 1925 წ. მაისში თვითეულ მუშის დღიური ნამუშევარის ღირებულება საბჭოთა კავშირის მასშტაბით ავიდა 6 მან. 15 კაპ. (ომის წინანდელ მანეთებში), იმავე წლის ოქტომბერში ის უდრიდა 5 მან. 79 კ., ნოემბერში 5 მან. 91 კ., დეკემბერში 6 მან. 31 კაპ. მხოლოდ თებერვალში მივაღწიეთ 6 მ. 31 კ. მისაღებია მხედველობაში ის გარემოება, რომ ზოგიერთ ცალკე სამრეწველო დარგებში ჯერ კიდევ ვერ გაუთანასწორდით შარშანდელ მაისის ნორმას; მაგ., ლითონის მრეწველობაში ერთი მუშის დღიური ნამუშავარი შარშან მაისში უდრიდა 5 მ. 83 კაპ., ამა წლის თებერვალში კი—5 მ. 80 კ. ამგვარად, შრომის ნაყოფიერების ზრდა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს.

მრავალი მიზეზით შეიძლება აიხსნას ეს მოვლენა. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ნაყოფიერების დაცემას ხელი შეუწყო ტეხნიკურად სათანადოთ მოუწყობელ, ძველ და წინედ გაჩერებულ ფაბრიკა-ქარხნების ამუშავებამ. აგრეთვე დიდი გავლენა იქონია ამ მხრივ ახალ, არაკვალიფიციურ მუშახელის საკმაო რაოდენობის დაბანდებამ წარმოებაში.

უაღრეს როლს შრომის ნაყოფიერების ნელ ზრდაში თამაშობს, ერთი მხრივ საწარმოო პროცესის არარაციონალური ორგანიზაცია, მეორე მხრივ—შრომის დისციპლინის შესუსტება.

ხშირია შემთხვევები, როცა წარმოება ჩერდება ნედლეულის და სხვა საჭირო მასალის დროზე მიუწოდებლობის გამო. ამაში დამნაშავეა არა მარტო ობიექტიური პირობები, ფინანსიური ხელმოკლეობა და სხ., არამედ უთადარიგობა, უგეგმო მუშაობა. თვით ფაბრიკა-ქარხანაში მუშის შრომა არ არის მთლიანად და მიზანშეწონილად გამოყენებული. არ არსებობს ჩამოყალიბებული შინაგანი განწესრიგების წესები და თუ ზოგან არსებობს, ასეთები მტკიცედ არ ტარდება. არ არის მკაფიოდ განსაზღვრული წარმოების თვითეული ცოცხალი ელემენტის უფლება - მოვალეობანი. ამის გამო ბევრი დრო უნაყოფოდ იკარგება ტყუილ-უბრალო ფუსფუსში. უნდა იქნეს გამომუშავებული შინაგანი განწესრიგების წესები.

კერძოდ უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრატიულ - ტეხნიკურ პერსონალის დამოკიდებულება მუშებთან კიდევ არ არის საბოლოოდ მოგვარებული. საჭიროა ამ საკითხში გარკვეულობის შეტანა და დაწვრილებითი ინსტრუქციებისგამომუშავება. გარდა ამისა, ამ პერსონალს დღეს უხდება ბევრი ისეთი სამუშაოს შესრულება (მაგ., საკანცელიარიო მიმოწერა, სხვადასხვა თათბირებში და კომისიებში მონაწილეობა და სხ.), რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული. ამით იგი სანახევროდ წყდება წარმოებას და ვერ უწევს მას სისტემატიურ ხელმძღვანელობას. ტეხნიკურმა პერსონალმა თითქმის მთელი თავისი სამუშაო დღე უნდა მოახმაროს წარმოებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის დისციპლინის განმტკიცებას, უმთავრესად სამუშაოს გაცდენასთან ბრძოლას. ჩვენს გაზეთში ამას წინად ცნობა იყო გამოქვეყნებული, რომ საქართველოში 1925 წელს უმიზეზოდ და პირადი საჭიროებისათვის გაუცდენიათ ერთი მილიონი სამუშაო დღე, რომლის ღირებულება დაახლოვებით უდრის ორ მილიონ მანეთს. ასეთ პირობებში ამაოა ლაპარაკი შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე.

ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე ავადმყოფობის მომიზეზება (სიმულიაცია). აუცილებლად უნდა გაძლიერდეს საექიმო კანტროლი. ავადმყოფობის გამო განთავისუფლების დროს უნდა იქნეს გამოჩენილი მეტი სიფხიზლე; ხშირ-ხშირად უნდა ხდებოდეს ავადმყოფთა შინ შემოწმება. გარდა ამისა, წარმოებებში უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები სათანადო ტეხნიკურ-სანიტარულ პირობების დასაცავად, რაც შეამცირებს ავად გახდომის შემთხვევებს.

დიდი დრო იკარგება სხვადასხვა ყრილობებსა, კონფერენციებსა და თათბირებზე, სასამართლოებში სიარულზე (მაგ. საბინაო საქმეების მოსაგვარებლად და სხ.). საჭიროა აქაც ერთგვარი კორექტივი იქნეს შეტანილი.

უსასტიკესი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ლოთობას, რომელიც ერთი მთავარი მიზეზთაგანია შრომის დისციპლინის დაცემის და სამუშაოს გაცდენის. შემჩნეულია, რომ კერძოდ ხელფასის მიღების დროს და კვირა-უქმეების შემდეგ ჩამორჩენილ მუშებში ადგილი აქვს მასიურ ლოთობას და ისინი დიდ ზიანს აყენებენ წარმოებას.

შრომის დისციპლინის განმტკიცება და წარმოების რაციონალიზაცია სრულებით არ არის საქმე მარტო სამეურნეო ორგანოების. ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფორგანიზაციებმა.

მათი გაერთიანებული ძალღონით შესაძლებელი იქნება იმ დავალების შესრულება, რომელიც მოცემულია შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებაში—შრომის ნაყოფიერების გადიდება ათი პროცენტით მაინც ეხლანდელი სამეურნეო წლის დასასრულისათვის. შრომის ნაყოფიერების აწევა ჩვენი ერთი ძირითადი ამოცანათაგანია, რომლის გადაჭრისთვის უნდა მოვახდინოთ საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია. კამპანია შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად უნდა იქნეს გაძლიერებული.

პოლონეთი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ

პილსუდსკის საქციელმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პარტიებს შორის

პრეზიდენტ მოსციცკის დაწვრილებითი ბიოგრაფია

„ტაიმსის“ ინფორმაცია

ლონდონი, 1 ივნისი. „ტაიმს“-ის ვარშაველი კორესპონდენტი იტყობინება:

„საერთოდ ცნობილია, რომ პოლონეთისათვის მშვიდობიანობა პირველ და გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს. შემდეგ კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **ხალხში არავითარ მტრობას არ აქვს ადგილი რუსეთის წინააღმდეგ.** კორესპონდენტი დასძენს, რომ **საბ. კავშირთან დაახლოების მტკიცე ტენდენცია პოლონეთის საგარეო პოლიტიკაში დიდ პოპულიარობას მოიპოვებს.** ის აცხადებს: ეს არის ფაქტი, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს. შემდეგ კორესპონდენტი ეხება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარის საკითხს და ლაპარაკობს, რომ ის საკმაოდ გაფართოებულია პოლონეთის ეტნოგრაფიულ საზღვრის იქით და პოლონეთის არც ერთი მთავრობა არ იფიქრებს ახალ ავანტიურის მოხდენას ამ მიმართულებით.

პოლონელი ჰამლეტი

პრაღა, 1 ივნისი. **პილსუდსკის მიერ პრეზიდენტობაზე უარის თქმამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩეხო-სლოვაკიის პოლიტიკურ წრეებში.** ბევრი გაზეთი პილსუდსკის „ჰალეტისებურ პიროვნებას“ უწოდებს.

ოფიციოზი **„რესპუბლიკა“** აცხადებს: „არჩევნების შედეგები პილსუდსკის დიდ გამარჯვებას წარმოადგენს, სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ პილსუდსკის მერყეობა სახელმწიფოს ზიანს აყენებს“.

მარჯვნივ გადახრა

ვარშავა, 2 ივნისი. პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ პილსუდსკი ყოველი ღონისძიებით სცდილობს არ გაალიზიანოს მემარჯვენეები. მის მიერ პრეზიდენტობაზე უარის თქმას უყურებენ, როგორც ოინს მემარჯვენეებთან დასაახლოვებლად.

პილსუდსკის მიერ პრეზიდენტობაზე უარის თქმის შემდეგ მემარჯვენე პრესის ტონი მის მიმართ მნიშვნელოვნად შერბილდა.

ვარშავის ზოგიერთ გაზეთის ცნობით მოსციცკის არჩევამ პოზნანში დამშვიდება გამოიწვია.

პრესა პილსუდსკის უარის შესახებ

ვარშავა, 2 ივნისი. „რეჩ პოსპოლიტა“ ყურადღებას აქცევს პილსუდსკის წერილის იმ ადგილს, სადაც პრეზიდენტის როლის შესახებაა ლაპარაკი. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ჯერ კიდევ ახლო წარსულში მემარცხენეთა შორის ძალიან ძნელი იყო კონსტიტუციის შეცვლის მომხრეების პოვნა, ვიდრე მემარჯვენეთა შორის.

ბუნდის ორგანო **„ფოლკსცაიტუნგ“** აცხადებს:

„პილსუდსკის უარის შემდეგ მასები ერთი ილიუზიისგან განთავისუფლდებიან. ძალიან დაბნეულობა ემჩნევა პეპესოველების ორგანო „რაბოტნიკს“. გაზეთი სწერს:

„ჯერ კიდევ ადრეა დასკვნების გამოყვანა. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მოხერხებული კამპანიის შემდეგ პილსუდსკის უარი მოულოდნელი გახდა. წინასწარი საარჩევნო კამპანიის დროს პილსუდსკის არ უთქვამს, რომ იგი არ მიიღებს პრეზიდენტის თანამდებობას. პილსუდსკის გამოსვლა შაბათს, მიუხედავად რამდენადმე უცნაურ განცხადებათა, უნდა გაგვეგო ისე, რომ პილსუდსკი მზადაა წამოაყენოს თავისი კანდიდატურა. სამწუხაროდ, გამოირკვა, რომ დიდი გაუგებრობა არსებობდა. დემოკრატიისათვის პილსუდსკის არჩევა არ იყო მარტო დამონსტრაცია. სიტუაციის შეცვლის გამო პეპესოველთა პარტიამ დაადგინა პირველ კენჭის ყრის დროს წამოაყენოს მარეკის კანდიდატურა და მეორე კენჭის ყრის დროს ხმა მისცეს მოსციცკის.

ხმა ციხიდან

ვარშავა, 2 ივნისი. **გენერალმა როზვადოვსკიმ გამოაქვეყნა წერილი ციხიდან, რომელშიაც წინადადებას იძლევა პილსუდსკის მისცენ ხმა.**

კომუნისტების დემონსტრაცია

ვარშავა, 2 ივნისი. **ეროვნულ ყრილობაზე კომუნისტ დეპუტატებმა დემონსტრატიულად თავის ბარათებზე ლანცუცკის გვარი დაწერეს.** ოფიციალურად ლანცუცკის კანდიდატურის წამოყენება ვერ შესძლეს, ვინაიდან საჭირო რაოდენობის ხმები არა ჰქონდათ.

საერთო შთაბეჭდილება

ვარშავა, 2 ივნისი. **პილსუდსკის უარმა პრეზიდენტის თანამდებობის დაჭერაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო სეიმში, არამედ ვარშავის მცხოვრებლებშიაც და პროვინციაშიც.**

გაზეთების სასწრაფო გამოცემებს, რომელთაც ეს ცნობა მოათავსეს, უნდობლად შეხვდენ.

ეგნატე მოსციცკი

ვარშავა, 2 ივნისი. პოლონეთის პრეზიდენტად ახლად არჩეული ეგნატი მოსციცკი—მემამულეა, დაიბადა 1867 წელს. საშუალო სასწავლებელი დაამთავრა ვარშავაში, ხოლო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი რიგაში. 1892—93 წლებში მოსციცკი მუშაობდა ლონდონში, საიდანაც გადავიდა შვეიცარიაში. აქ მას დაავალეს ლექციების კითხვა ფრიბურგის უნივერსიტეტში.

მოსციცკიმ ამ ხნის განმავლობაში ააგო რამდენიმე აზოტის ქარხანა. 1913 წელს მოსციცკი გადავიდა ლვოვში, სადაც მან მიიღო ელექტრო-ქიმიის პროფესორის კათედრა პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში. უკანასკნელ ხანებში მოსციცკი აზოტის მომპოვებელ ქარხნების დირექტორად იყო ხორცოვში.

გამოსავალს დაეძებენ

ლონდონი, 1 ივნისი. „დეილი ექსპრეს“ ეხება ქვანახშირის მრეწველობაში შექმნილ კრიზისს და სწერს:

„კრიზისის გადასაჭრელად საჭიროა არა პოლიტიკური, არამედ ფინანსიური ღონისძიებანი“.

გაზეთი მოითხოვს ქვანახშირის მრეწველობაზე ერთიან ფინანსიურ კონტროლის დაწესებას. უნდა აღინიშნოს, რომ ქვანახშირის მრეწველობის რეორგანიზაციის პროექტი დღემდე ნახშირის გამსაღებელ ტრესტის დაარსებას გულისხმობდა. „დეილი ექსპრეს“-ს, როგორც სჩანს, სახეში აქვს ნახშირის ამღების ტრესტებში გაერთიანება.

მოხერხებული ოინი

ვარშავა, 2 ივნისი. პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში მოსციცკის არჩევას ისე უყურებენ, როგორც დროებით ზომას. ამ წრეების აზრით, პილსუდსკი ჰფიქრობს, რომ პოლიტიკურად შეუბორკავი მოსციცკი ადვილად შესძლებს კონსტიტუციის რეფორმის ჩატარებას და პრეზიდენტისათვის განსაკუთრებულ რწმუნებულებათა მოპოვებას. ჰფიქრობენ, რომ ამ ამოცანის შესრულების შემდეგ, მოსციცკი გადადგება და ისევ წამოყენებულ იქნება პილსუდსკის კანდიდატურა.

ბრძოლა პრეზიდენტის ადგილისათვის

ვარშავა, 2 ივნისი. **მოსციცკის სასარგებლოდ ხმა მისცეს ცენტრმა და მემარცხენე პარტიებმა. ბლინსკის კი ხმა მისცეს მხოლოდ სახალხო დემოკრატებმა და დუმბოვიჩის ჯგუფმა. ებრაელებისა და გერმანელების დეპუტატებმა ხმა მისცეს მოსციცკის.**

პეპესოველებმა მეორე კენჭის ყრის დროს მოსციცკის მისცეს ხმა. უკრაინელებმა, ბელორუსების ნაწილმა, გერმანელების ნაწილმა და შემთხვევითმა დეპუტატებმა თავი შეიკავეს.

დამოუკიდებელმა სახალხო პარტიამ წინადადებით მიმართა უკრაინელებისა და ბელორუსების კლუბებს, ბელორუსების გრომადას და კომპარტიას, რომ მათ მხარი დაუჭირონ დამოუკიდებელ გლეხთა პარტიის კანდიდატს — ფედერკევიჩს. უკრაინელებმა და ბელორუსების ნაწილმა უარჰყო დამოუკიდებელ გლეხთა პარტიის წინადადება. ფედერკევიჩს ხმა მისცა დამოუკიდებელმა გლეხთა პარტიამ, ბელორუსების გრომადამ და კომუნისტებმა.

საფრანგეთის ფინანსები

ბრიანის წინადადება

პარიზი, 2 ივნისი. დეპუტატთა პალატაში ბრიანს შეკითხვა მისცეს ფინანსიური მდგომარეობის განხილვის ვადის შესახებ. **ბრიანმა** შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ მისი აზრით **შეკითხვების დაუყოვნებლივ განხილვა უხერხულია.** უაზრობა იქნებოდა დეპუტატთა პალატის და მთავრობის როლის ერთმანეთში არევა. **მთავრობის სისუსტე მტკივნეული პრობლემაა.**

შემდეგ ბრიანმა განაცხადა:

„მე კარგი ფრანგი ვარ და ვსთხოვ ყველა კეთილ ფრანგს მოახდინონ შესვენება, ხოლო პარტიებს კი ვსთხოვ შასწყვიტონ კომბინაციები. მთავრობა გამოიყენებს შესვენებას და ექსპერტთა კომისიასთან შეთანხმებით მოამზადებს საფინანსო გაჯანსაღების პროექტს. პროექტი შეტანილი იქნება დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიაში, რომელიც საკითხს გადასჭრის. წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობას საშუალება არ ექნება ფრანკის კურსის აწევის საქმე დააგვირგვინოს“.

ბრიანის სიტყვის შემდეგ სხდომა შეწყდა.

რადიკალ-სოციალისტებმა გადასწყვიტეს თავი შეეკავებიათ კენჭის ყრისაგან. მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების რეზოლიუციას ხმა მისცა 313 კაცმა, 147 წინააღმდეგ.

ქათინაურების დღე

პარიზი, 2 ივნისი. გუშინ ომის დროს დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავი დღე იყო, რომელმაც პოლიტიკური გამოსვლების ხასიათი მიიღო.

ბრიანმა მიულოცა **სტეგს** მისი მტკიცე და ბრძნული პოლიტიკის გამარჯვება და ჯარისკაცების სიცოცხლის დაზოგვა. ბრიანის სიტყვით სტეგი ცდილობდა პირველ რიგში დაეყენებია პოლიტიკური მუშაობა და სწორედ ასეთმა პოლიტიკამ მოგვცა ბრწყინვალე შედეგები. ბრიანი მიესალმა აგრეთვე საექიმო მისიას, კერძოთ დოქტორ **პარანს.**

სტეგმა უპასუხა, რომ პარანი და ყველა ექიმები საუკეთესოდ ემსახურებოდენ საფრანგეთის საქმეს. არმიისა და ოფიცრების წყალობით გუშინდელი მტრები, დღეს ლოიალური და ერთგული თანამშრომლები გახდებიან.

შეკითხვები გადადებულია

პარიზი, 2 ივნისი. დეპუტატთა პალატამ 313 ხმით 149 წინააღმდეგ დაადგინა გადასდოს ინტერპელიაცია ფინანსიურ საკითხების შესახებ. 80 დეპუტატმა, უმთავრესად რადიკალ-სოციალისტებმა, თავი შეიკავეს.

დემონსტრაციები ჩინეთში

უავტორიტეტო მთავრობა

ლონდონი, 2 ივნისი. თემთა პალატაში უპასუხა რა შეკითხვაზე ჩინეთში არსებულ მდგომარეობის შესახებ, ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა განაცხადა, რომ **ჩჟან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს ჯარების მიერ პეკინის დაკავებამ აქამდის ვერავითარი ავტორიტეტული მთავრობის შექმნა ვერ გამოიწვია.**

ჩრდილოეთ და ცენტრალურ პროვინციებში ვაჭრობის მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. **კანტონის პროვინციაში,** მინისტრის განცხადებით, **აქამდის ანტი-ბრიტანული განწყობილება არის გამეფებული.**

შანხაიში

პეკინი, 2 ივნისი. **მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტის წლის თავმა შანხაიში დიდის ენტუზიაზმით ჩაიარა.**

2 მაისს ქალაქის ჩინურ ნაწილის ერთერთ უბანში შესდგა სამგლოვიარო ცერემონია დახვრეტის მსხვერპლთა ნეშთის გადასატანად. 50.000 მუშამ შესწყვიტა მუშაობა და ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა. შემდეგ მოეწყო მრავალრიცხოვანი მიტინგები და დემონსტრაციები, რომელშიაც მონაწილეობდა 10 ათასი კაცზე მეტი.

მიუხედავათ სამხედრო წესებისა და ჩინეთის პოლიციის მიერ უცხოეთის უბნის რწმუნებულთათვის დაპირების მიცემისა, რომ კვირას, 30 მაისს დემონსტრაციებს არ დაუშვებენ, ქალაქის მრავალ რაიონში ათასობით შეგროვდენ მანიფესტანტები. **დასავლეთ ნაწილში შესდგა მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 60.000 მუშა.** მიტინგს იცავდა მუშათა თავდაცვის რაზმი 1.500 კაცის შემადგენლობით. პოლიცია ყოველგვარ ზომებს ხმარობდა დემონსტრაციის გასაფანტავად. განსაკუთრებით თავხედათ იქცეოდენ რუსი თეთრ-გვარდიელები, რომლებიც ინგლისის პოლიციის სამსახურში იმყოფებიან. დემონსტრაციის მონაწილეთაგან 30-ზე მეტი მძიმედ დაიჭრა ცივი იარაღით.

„ოხოტსკის“ გატაცება

პეკინი, 2 ივნისი. შესდგა სწრაფი სასამართლოს უკანასკნელი სხდომა გემ „ოხოტსკის“ გასატაცებლად ვითომდა შეთქმულობის მოწყობის შესახებ.

პროცესი დამთავრდა მბრალდებელთა სრული დამარცხებით. გამოირკვა, რომ მთელი საქმე თეთრგვარდიელებისა და ინგლისის აგენტების მიერაა მოწყობილი, იმ მიზნით, რომ სახელი გაუტეხონ საბჭოთა საკონსულოს და საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციებს შანხაიში.

სასამართლომ ბაბიცკი უდანაშაულოდ სცნო და დაადგინა შესწყვიტოს საქმე მის წინააღმდეგ. ყველა ბრალდებულები განთავისუფლებულნი არიან.

ინგლისის მემაღაროების ბრძოლის პერსპექტივები

უკვე ერთი თვეა გრძელდება დიადი ბრძოლა. მემაღაროეთა ენერგია და სიმტკიცე დღემდე შეურყეველია. მთავრობის ყოველგვარი ცდა, მომრიგებლის როლში გამოსვლისა, უშედეგოდ დარჩა. ეს ცდა კი მაღაროს პატრონ კაპიტალისტების უსირცხვილო დაცვაში მდგომარეობს, რომლებსაც სურთ სამთამადნო მუშები დაითანხმონ სამუშაო ხელფასის 10%-ით შემცირებაზე და იძულებით საარბიტრო სასამართლოების შექმნაზე.

ქვანახშირის მაღაროების მაგნატები მთავრობის ასეთ ოინბაზურ წინადადებითაც კი არ კმაყოფილდებიან—სამუშაო ხელფასის დაკლების გარდა მათ სურთ სამუშაო დღის 8 საათამდე აყვანა და პროფკავშირების დანგრევა.

მაგრამ, მიუხედავათ ხოჯესისა და ვარლის მსგავს გამყიდველების ჩარჩული ცდებისა, რომ კომპრომისს მიაღწიონ, მემაღაროები კვლავ მტკიცედ განაგრძობენ თავის დიად ბრძოლას ლოზუნგით: „არც ერთი პენსი სამუშაო ხელფასისა, არც ერთი წამი სამუშაო დღისა“.

ყოვლად შეუძლებელია, რომ სათანადოდ არ იქნას შეფასებული სამთამადნო მუშების ერთი თვის გიგანტიური გაფიცვის უდიდესი მნიშვნელობა, თუმცა ეს დიადი ამბავი უკანა რიგში დადგა სხვა უფრო მსხვილი ამბების მოხდენის გამო—გენერალურ გაფიცვათა და „ბელადთა“ გენერალურ გამცემლობით.

სამთამადნო მუშათა არა ნაკლებ 1¼ მილიონისა შეაჩერა მუშაობა. დიდი ბრიტანეთის მთელი მოსახლეობის არა ნაკლებ ერთი მეთორმეტედი ნაწილისა ჩაბმულია ამ დიად ბრძოლაში. გატანილი ქვანახშირი თავის ღირებულებით მთელი ინგლისის ექსპორტის ერთ მეათედს შეადგენს. ქვანახშირის გატანა საფუძველია საკვები მასალის და ნედლეულის დიდ ბრიტანეთში შემოზიდვისა. და თუ ნედლეულისა და საკვები მასალისათვის მოსული გემები იძულებულნი არიან დასტოვონ ინგლისი ქვანახშირის ტვირთის წაუღებლად, ამას მიჰყავს ბრიტანეთის ინდუსტრია წარმოების ხარჯების არაჩვეულებრივ გადიდებისაკენ და ეს კი თავის მხრივ იწვევს ინგლისის მთელი მოსახლეობისათვის ცხოვრების გაძვირებას.

ერთი თვე მემაღაროელთა გაფიცვისა და ქვანახშირის სიმშილის ეკონომიური შედეგები ფრიად მწვავე გავლენას ახდენენ წარმოებაზე. ზოგიერთი წარმოება, ნახშირის ნაკლებობის გამო იძულებული გახდა დახურულიყო. მატარებლების მოძრაობა მცირდება და უფრო და უფრო იშლება. ასეთ გარემოებებში უნდა იქნას შეფასებული სამთამადნო მუშების გაფიცვის მომავალი პერსპექტივები.

ჩერჩილმა, ერთ-ერთ თავის საპარლამენტო სიტყვაში ასეთი პასუხი გასცა პერსპექტივების საკითხს:

„გაფიცვა თუ 2 ან 3 კვირა გაგრძელდება, შესაძლოა მდგომარეობა ისევ გამოკეთდეს, მაგრამ 8 ან 10 კვირა კი ღრმა კვალს დაამჩნევს მთელი მოსახლეობის ცხოვრებას. გაფიცვა, რომელიც 12—14 კვირას გაგრძელდება, ჩვენ მხარეს მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდა 1—2 წლით. სანახშირო მრეწველობაში მუშაობის ხანგრძლივი შეჩერება ჩვენი ქვეყნის მაცოცხლებელ ეკონომიურ პროცესებს გაანადგურებდა. უმუშევართა რიცხვის 700—800.000 კაცამდე გაზრდა ტრაგიული მოვლენა იქნებოდა. მომავლის პერსპექტივები არა მარტო სერიოზულია, არამედ საშინელიც“.

კაპიტალისტები, შექმნილ მდგომარეობას უფრო და უფრო მეტის მღელვარებით უყურებენ. „ეკონომისტიც“ კი აცხადებს, რომ ხანგრძლივი გაფიცვა ქვანახშირის მრეწველობაში თავისი შედეგებით საყოველთაო გაფიცვაზე უფრო საშიშია. „ეკონომისტი“ სწერს:

„ყველასათვის ცხადია, რომ იმ დროს, როცა საყოველთაო გაფიცვამ მოსახლეობას შედარებით ნაკლები ვნება მიაყენა, სამთამადნო მუშების უფრო ხანგრძლივ გაფიცვას გაცილებით მეტი სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს. 1921 წ. გაფიცვის დროს 13—14 კვირის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი 2½ მილიონამდე ავიდა, ფოლადის მრეწველობა შეჩერდა 3 თვით; მასთან ერთად შეჩერდა მუშაობა მრეწველობის სხვა დარგშიაც. თუ ეს განმეორდება, მაშინ საკითხი მუშათა უკან მიღების შესახებ, რომელზედაც ჩვენ ძალიან ბევრი გვესმის, ყოველგვარ მნიშვნელობას დაჰკარგავს იმის გამო, რომ მწარე აუცილებლობა გვაიძულებს მუშათა აუარებელი რიცხვი გადავისროლოთ ქუჩაში. ინგლისს არა აქვს ისეთი კარგი ეკონომიური მდგომარეობა, რომ დაუშვას მუშაობის ასეთი შეჩერება“.

ამგვარად, ბრიტანეთის ბურჟუაზიის აზრის ყველაზე უფრო შეგნებულ გამომსახველთ საუცხოვოდ აქვთ შეგნებული მდგომარეობის სირთულე და სიძნელე.

სამთამადნო მუშების ხანგრძლივი გაფიცვა მძლავრ მახვილს ჩასცემს მთელი ბრიტანეთის ინდუსტრიას, მთელი ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის და მთელი ინგლისის მეურნეობას. ამის შედეგებს იგრძნობენ მთელ რიგ წლების განმავლობაში. ეკონომიური შედეგები მალე გამოიწვევენ სოციალურ გაჭირვებას.

რკინისგზებზე მიმოსვლისა და მრეწველობის უმთავრეს დარგების დაშლა კატასტროფიულად გაზრდის უმუშევართა რიცხვს და არაჩვეულებრივად გააძლიერებს ინგლისის მუშათა მასსების მოძრაობას.

მოსალოდნელია ისეთი შესაძლებლობაც, რომ სამთამადნო მუშების გაფიცვა, მასთან დაკავშირებულ ამბების თანდათანობითი ზრდის პროცესში, პოლიტიკურ გაფიცვად გადაიქცეს. მართალია, მთავრობამ განაცხადა, რომ ამ გაფიცვას განიხილავს, როგორც წმინდა ეკონომიურს, და ამიტომ მას სთვლის „ლეგალურ“ კონფლიქტად. მართალია, ბურჟუაზიულმა პარლამენტარიებმა, იურისტებმა და პრესამ დაწვრილებით განიხილეს ეს საქმე და საყოველთაო გაფიცვა უკანონოდ გამოაცხადეს იმის გამო, რომ იგი პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა. ამასთან ერთად, მათ ხაზი გაუსვეს სამთამადნო მუშათა გაფიცვის „წმინდა“ ეკონომიურ ხასიათს. მართალია, მთავრობას დღემდე არ მიუმართავს უკიდურეს ზომებისათვის გაფიცულ მემაღაროეთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბურჟუაზიისა და მთავრობის ასეთი ფრთხილი ტაქტიკა კიდევ შეიძლება რამოდენიმე ხანი გაგრძელდეს. მაგრამ განსაკუთრებული მდგომარეობა კიდევ მოქმედებს ისე, რომ მეფის ახალი განკარგულების თანახმად იგი ისევ გაგრძელდება მთელი თვით.

სამთამადნო მუშების გაფიცვის ერთი თვის შემდეგ ბურჟუაზიას იპყრობს მოუსვენრობა.

კონსერვატიული ჟურნალისტი გარვინი ილაშქრებს მთავრობის წინააღმდეგ იმის გამო, რომ იგი საკმაო ენერგიას ვერ იჩენს და „პასიურად“ მისდევს ამბების მსვლელობას იმის მაგიერ, რომ უეცბ მოუღოს ბოლო სამთამადნო მუშების გაფიცვას. კიდევ ერთი თვე გაფიცვისა—და ბურჟუაზია აიძულებს მთავრობას ფეხზე დააყენოს ბურჟუაზიული მთავრობის შეიარაღებული ძალები. მართალია, ჯერ კიდევ ერთი კვირის წინედ პრემიერმა ბოლდუინმა განაცხადა, რომ სამთამადნო მუშების გაფიცვა, წინააღმდეგ საყოველთაო გაფიცვისა, წმინდა ეკონომიური გაფიცვის „კეთილი პრინციპის“ გამოხატულებაა.

მაგრამ რამოდენიმე კვირის, შეიძლება რამოდენიმე დღის შემდეგაც, ამავე ბოლდუინს შეიძლება მოუხდეს სამთამადნო მუშების გაფიცვის „უკანონოდ“ გამოცხადება. თუ იგი ამას არ იზამს, ამას ჩაიდენენ სხვები, უფრო მტკიცენი კონსერვატიული პარტიიდან. მოინახება კიდევ რომელიმე ჯონ საიმონი, ან სხვა „დიდი“ ლიბერალი-ვექილი, რომელიც მოსძებნის საკმაო იურიდიულ არგუმენტებს, რომ სამთამადნო მუშების გაფიცვა „უკანონოდ“ გამოაცხადოს.

შესაძლებელია ხოჯესიმ ან ვარლიმ სასამართლოში მისცენ სამთამადნო მუშები და ისეთივე სამსახური გაუწიონ ბურჟუაზიას, როგორც გაუწია მას ხაველიკ ვილსონმა სასამართლოში საყოველთაო გაფიცვის წინააღმდეგ გამოსვლით. განა შეიძლება ეჭვის შეტანა, რომ მოიპოება მეორე მოსამართლე ესტბერი, რომელიც სამთამადნო მუშების გაფიცვას უკანონოდ გამოაცხადებს: ინგლისი საკმაოდ მდიდარია „შორსმჭვრეტელ“ სახელმწიფო ხალხით, „დიდი“ ლიბერალური ვექილებით, გაბურჟუაზებულ ბელადებით და „სამართლიანი“ მოსამართლეებით.

ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვა ახლო მომავალში ახალ პოლიტიკურ ფაზისში შევა.

„ეკონომისტი“ ეხლავე ამბობს იმას, რაც აუცილებლად უნდა მოხდეს: „ბოლოს და ბოლოს მთავრობა იძულებული გახდება ახლო მომავალში უფრო აქტიურად ჩაერიოს, ვიდრე დღემდე სთვლიდა საჭიროდ“.

ბრიტანეთის ბურჟუაზია ეხლაც ძალიან აქტიურად იბრძვის სამთამადნო მუშების გაფიცვის წინააღმდეგ. იგი იბრძვის თავისი პრესის, თავისი მოსამართლეების, თავის მთავრობის შუამავლებისა და იმ აგენტების საშუალებით, რომლებიც მას ჰყავს მუშათა შორის. მთავრობის უფრო აქტიური ჩარევა ნიშნავს არმიისა და შტრეიკბრეხერთა „მოხალისე“ რაზმების ორგანიზაციების ჩარევას. სამთამადნო მუშების გაფიცვის მეორე თვე უსათუოდ გამოიწვევს მდგომარეობის პოლიტიკურად გამწვავებას.

ბრიტანეთის იმპერიალიზმის დაცემამ სამუდამოდ მოუღო ბოლო ბრიტანეთის ბურჟუაზიის „მოქნილობას“, ბრიტანეთის მუშათა კლასის „ჯანსაღ“ რეფორმისტულ სულს. წავიდა დრო „წმინდა ეკონომიურ“ გაფიცვებისა, რომლებიც მხოლოდ „წმინდა პროფკავშირული“ ბრძოლის მეთოდებით ხელმძღვანელობდენ. გენერალურ საბჭოს სრული კაპიტულიაცია და საყოველთაო გაფიცვის დემობილიზაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს ბრძოლის გათავებას ინგლისში. ბრძოლა გრძელდება, მაგრამ იმ უდიდესი განსხვავებით, რომ მუშათა მასები ეხლა უკვე განთავისუფლდენ პარლამენტარიზმის ილიუზიებისაგან და მათი ნდობა თავის „გამოცდილ“ ბელადებისადმი სულ უფრო და უფრო დაეცემა.

ჯონ პეპესი.

ტელეგრაფით მოსკოვიდან.

ს ა ბ ჭ ო თ ა პ რ ე ს ა

შრომის გმირები

ამას წინედ საკავშირო ცაკმა მიიღო კანონპროექტი შრომის გმირების შესახებ. დღემდე სისწორით არ იყო განსაზღვრული, თუ ვის უნდა მინიჭებოდა ეს სახელწოდება; ამას გარდა შრომის გმირები რაიმე განსაკუთრებულ შეღავათებით არ სარგებლობდენ. ხსენებული კანონის მიხედვით, შრომის გმირის სახელწოდება მიეკუთვნება იმ პირებს, რომელთაც დაქირავებულ შრომაში გაუტარებიათ 35 წელზე არა ნაკლები და რომელთაც თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვით წარმოების, სამეცნიერო მოღვაწეობის და სახელმწიფოებრივ სამსახურის დარგში. მთავარი მუშაობა შრომის გმირების არჩევის საქმეში ეკისრება პროფკავშირებს, ხოლო მათ ამტკიცებს რესპუბლიკის ცაკი. შრომის გმირის სახელწოდების წართმევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით.

გაზ. „ტრუდ“ გადმოგვცემს, თუ რა შეღავათებს და უფლებებს ანიჭებს კანონი შრომის გმირებს:

„ცაკის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო გავრცელებია შრომის გმირებზე ის შეღავათები მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დარგში, რომლებიც მინიჭებული აქვთ წითელარმიელებს და მათ ოჯახებს. გარდა ამისა, შრომის გმირები თავისუფლდებიან სახელმწიფოებრივ საშემოსავლო გადასახადიდან და გადასახადიდან პირად სასარეწაო სამუშაოზე. სახლები, რომლებიც უშუალოდ უკავიათ შრომის გმირებს, ადგილობრივი გადასახადებიდან უნდა იქნას განთავისუფლებული; აგრეთვე თავისუფლდება გადასახადიდან სატრანსპორტო საშუალებებიც, რომლებიც ეკუთვნის შრომის გმირებს და დანიშნულია მათი და მათი ოჯახების სახმარებლად.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს კანონის იმ ნაწილს, რომელიც ეხება შრომის გმირებისათვის პენსიის დაწესებას. პენსია წესდება სრული ხელფასის რაოდენობით, შრომის უნარიანობის და ქონებრივი მდგომარეობის დამოუკიდებლად. პენსიის გამოანგარიშებას საფუძვლად ედება სრული საშუალო თვიური ხელფასი სამი თვისა, რომელიც უძღოდა შრომის გმირის სახელწოდების მიკუთვნებას. ის შრომის გმირები, რომელნიც განაგრძობენ დაქირავებულ შრომას, ღებულობენ თავის პენსიას ნახევარი რაოდენობით.

კანონი ავალებს ცენტრალურ საბჭოთა ორგანოებს შეიმუშაონ მთელი რიგი ღონისძიებები და შეღავათები ბინების ფასის, კომუნალურ სამსახურის, სკოლებში მათი ბავშვების მიღების და შრომის გმირებისა და მათი ოჯახებისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის დარგში“.

ამნაირად, საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს იმ პირებზე, რომელნიც თავდადებით ემსახურებიან მშრომელთა სახელმწიფოს. მიუხედავათ ნივთიერი ხელმოკლეობისა, მთავრობა ღვაწლით მოსილ მუშაკებს მრავალ მნიშვნელოვან შეღავათებს ანიჭებს. ესაა ღირსეული დაფასება შრომის გმირების. ამასთან ამ ზომას უეჭველად ექნება დიდი წამახალისებელი მნიშვნელობა ყველა მუშაკისათვის, რომ მათ მთელი თავისი ენერგია, უნარი და ნიჭი მოახმარონ საზოგადო საქმეს. ოღონდ საჭიროა დიდი სიფრთხილის გამოჩენა შრომის გმირის სახელწოდების მიკუთვნებაში; ეს სახელწოდება უნდა მიენიჭოთ მხოლოდ იმათ, ვინც მართლა არის ამის ღირსი, ვისაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის მშრომელთა წინაშე.

ინგლისის ამბები

„დიპლომატიური სიცრუე“

ლონდონი, 1 ივნისი. თემთა პალატის წევრმა ტერტლმა „დიპლომატიური სიცრუე“ უწოდა გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგის პასუხს იმ შეკითხვაზე, რომელიც შეეხებოდა სამი ინგლისელის გასამართლებას საფრანგეთში.

ვინაიდან ტერტლმა თავისი სიტყვა უკან არ წაიღო, თავმჯდომარემ უბრძანა სხდომის დარბაზის დატოვება.

მაკდონალდი უკმაყოფილოა

ლონდონი, 2 ივნისი. თემთა პალატის სხდომაზე მაკდონალდმა მწუხარებით აღნიშნა მთავრობის სუსტი აქტივობა ქვანახშირის მრეწველობის კონფლიქტის მოგვარებაში და განაცხადა, რომ მთავრობა მხოლოდ თავის თვალსაზრისს გამოსთქვამს და არ ასრულებს თავის მოვალეობას. მაკდონალდი ფიქრობს, რომ ქვანახშირის მრეწველობისათვის სუბსიდიის მიცემას ნაციონალური ინტერესები მოითხოვს.

დასასრულ მაკდონალდმა მიმართა მთავრობას მოწოდებით დასთანხმდეს ქვანახშირის კომისიის თავმჯდომარის **ჰებერტ სემუელის** მემორანდუმში წამოყენებულ სამუშაო ხელფასის მოგვარების პროექტს. მემორანდუმი ჰგულისხმობს სამუშაო ხელფასის განხილვას და ქვანახშირის მრეწველობის რეორგანიზაციას ერთსა და იმავე დროს.

„დეილი ექსპრესის“ პროექტი

ლონდონი, 2 ივნისი. **რადგან მაღაროების პატრონებმა და სამთა-მადნო მუშებმა უარჰყვეს ქვანახშირის მრეწველობაში წარმოშობილ კონფლიქტის მოგვარების პროექტი, რომელიც ბალდუინმა შეიმუშავა, მთავრობას განზრახული აქვს უცხოეთიდან შემოზიდოს ქვანახშირი.** „დეილი ექსპრეს“-ის აზრით საჭიროა დაარსდეს ტრესტი, რომელიც ქვანახშირის კომპანიების მაგიერობას გასწევს, განამტკიცებს ქვანახშირის მრეწველობას და დააყენებს მას ცენტრალიზაციაქმნილ ფინანსების კანტროლის ქვეშ.

მოქნილი ბალდუინი

ლონდონი, 2 ივნისი. **მაკდონალდის საპასუხოდ ბალდუინმა განაცხადა, რომ ის მზად არის განაახლოს მოლაპარაკება, მაგრამ არ შეუძლია დაუსრულებლივ აძლიოს ქვანახშირის მრეწველობას გადასახადებიდან შეკრეფილი ფულები.**

„როგორიც არ უნდა იქნეს შეთანხმება, განაცხადა ბალდუინმა, აშკარაა, რომ მთავრობას მოუხდება ქვანახშირის მრეწველობისათვის დახმარების გაწევა. მთავრობა მზად არის გადასდგას ასეთი ნაბიჯი, მაგრამ სანამ შეთანხმება მიღებული არ არის, არ შეუძლია სთქვას რა ფორმით და რა რაოდენობით იქნება გაწეული ეს დახმარება.

თემთა პალატაში

ლონდონი, 1 ივნისი. თემთა პალატაში **მაკდონალდმა** მთავრობას მიმართა შეკითხვით, თუ რა მდგომარეობაშია ქვანახშირის მრეწველობისათვის სუბსიდიის მიცემის საქმე. **ბალდუინმა უპასუხა, რომ მთავრობას არ შეუძლია ძალაში დასტოვოს თავისი წინადადება 3 მილიონი სუბსიდიის შესახებ, რადგან წერილზე არ გაუციათ არავითარი პასუხი. მთავრობა მოქმედების სრულ თავისუფლებას იტოვებს.**

შემდეგ მაკდონალდმა ხელ-ახლათ დასვა საკითხი მემაღაროების გაფიცვის შესახებ და აღნიშნა, რომ მთავრობა არ უნდა იდგეს განზე ამ საკითხში.

ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ პრემიერმა უნდა იმოქმედოს ქვანახშირის კომისიის მოხსენების საფუძველზე, უნდა გადაახალისოს ქვანახშირის მრეწველობა და შექმნას სამუშაო ხელფასის სამმართველო.

ბალდუინმა აღნიშნა, რომ მოპირდაპირე მხარეებში მან ვერავითარი გამოხმაურება ვერ ჰპოვა. ის ყოველწუთში მზად არის განაახლოს მოლაპარაკება, მაგრამ გადასახადებიდან შეკრებილ თანხებს ის ვერ მოახმარებს მრეწველობის მხოლოდ ერთ დარგს და ვერ დაუშვებს, რომ გაფიცვამ აიძულოს ის, იკისროს მაღაროებისათვის პოლიტიკური კონტროლის გაწევა. დროებითი სუბსიდია ამა თუ იმ ფორმით აუცილებელი იქნება. ამჟამად არის იმედი, რომ მოლაპარაკება განახლდება. გასაკეთებელია ბევრი რამ და მთავრობა გააკეთებს ყველაფერს, რაც შესაძლოა. სიბრძნე წარმოებებში ნელ-ნელა იზრდება, მაგრამ ის თავის ნაყოფს გამოიღებს უფრო ადრე, ვინემ ბევრს ჰგონია.

ნიშნად უნდობლობისა

ლონდონი, 1 ივნისი. თემთა პალატაში, როცა ქვანახშირის მრეწველობაში წარმოშობილი კონფლიქტის გარშემო კამათი სწარმოებდა, მუშათა ფრაქციამ წინადადება შეიტანა, რომ სამთამადნო დეპარტამენტის გამგის ჯამაგირი 1 პენსით ყოფილიყო შემცირებული. (ასეთ ზომას მიმართავენ მაშინ, როცა მუშაობას არ იწონებენ.) მუშათა ფრაქციის წინადადება უარყოფილ იქნა 352 ხმით 103-ის წინააღმდეგ.

გამოსავალს ეძებენ

ლონდონი, 1 ივნისი. იტყობინებიან, რომ ლონდონის, შუა ინგლისის და შოტლანდიის რკინის გზის კომპანიები იხილავენ საკითხს, რომ თავისი 10.000 ლოკომოტივი გადააკეთონ იმგვარად, რომ ქვა-ნახშირის მაგივრად ნავთი იხმარონ.

ასკვიტ-ლოიდ-ჯორჯი

ლონდონი, 2 ივნისი. მიწერ-მოწერა ასკვიტსა და ლოიდ-ჯორჯს შორის დამთავრდა ახალი კორესპონდენციის გამოქვეყნებით.

ამ კორესპონდენციაში შედის ასკვიტის წერილი მოტფრი კოლინსუსადმი (ლიბერალური პარტიის წევრი).

წერილს დართული აქვს განცხადება ლიბერალური პარტიის 12 ბელადის ლორდ გრეის მეთაურობით. განცხადების ხელის მომწერნი მხარს უჭერენ ასკვიტს და აცხადებენ, რომ ლოიდ-ჯორჯმა რთულ მდგომარეობაში ჩააყენა პარტია.

ასკვიტი აღნიშნავს, რომ საყოველთაო გაფიცვა შეეხო ლიბერალიზმის ზოგიერთ ძირითად პრინციპებს; ასეთი იყო საერთო აზრი ლიბერალური პარტიის ლიდერების, რომლებიც შეიკრიბენ 3 მაისს „კაბინეთის ჩრდილში“.

ლოიდ-ჯორჯმა უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო ლიდერების ამ კრებაზე და წერილში აღნიშნა, რომ ის არ ეთანხმება ასკვიტს და გრეის, რომლებიც იცავდენ მთავრობის ავტორიტეტს კრიზისის დროს.

„ეს უდრიდა—ამბობს ასკვიტი—გადადგომას და ის ლოიდ-ჯორჯის ამ წერილს უყურებდა, როგორც ასეთს“.

მდგომარეობის უაღრესად გამწვავების მომენტში ლოიდ-ჯორჯმა—როგორც სწერს ასკვიტი—„ფორმალურად გამოჰყო თავისი თავი ჩვენი რიგებიდან და უარი სთქვა თათბირში მონაწილეობის მიღებაზე“.

3 ივნისს მოწვეულია ლიბერალური პარტიის საპარლამენტო ფრაქციის კრება, რომელიც განიხილავს ლიბერალურ პარტიაში შექმნილ მდგომარეობას.

ლიბერალური პრესის აზრი ლოიდ-ჯორჯსა და ასკვიტს შორის არსებულ მიწერ-მოწერის შესახებ ერთი მეორის საწინააღმდეგოა.

საბჭოთა მუშების ხმა

დონის როსტოვი, 2 ივნისი. დონის გემთა სამმართველოს მაღაროების მუშებმა ინგლისის ამხანაგების სასარგებლოდ გადარიცხეს ერთი დღის სამუშაო ხელფასი.

ლენინგრადი, 2 ივნისი. ლენინგრადის პროფკავშირებმა 1 ივნისამდე ინგლისის სამთა მადნო მუშების დასახმარებლად შეაგროვეს 250.000 მანეთი.

ბალდუინის განცხადება

ლონდონი, 2 ივნისი. თემთა პალატის სხდომაზე **ბალდუინმა** განაცხადა, რომ რადგან მხარეებმა უარჰყვეს მთავრობის ყველა წინადადებები ქვანახშირის მრეწველობაში წამოჭრილ კონფლიქტის მოსაწესრიგებლად, მათ შორის წინადადება ქვანახშირის მრეწველობისათვის დროებით სუბსიდიის მიცემის შესახებ 3 მილ. გირ. სტერლინგის რაოდენობით, მთავრობა იძულებულია ამ საკითხში მოქმედების სრული თავისუფლება დაიტოვოს.

კრიზისი მწვავდება

ლონდონი, 2 ივნისი. კლაიდიდან იუწყებიან გემების საალმშენებლო მრეწველობაში არსებულ კრიზისის შესახებ. დაიხურა მრავალი საალმშენებლო ფირმა.

დასავლეთ შოტლანდიაში მანქანის საალმშენებლო დარგის წარმოებანი კრიტიკულ მდგომარეობაში არიან.

„განიარაღების“ კომისიაში

ლონდონი, 2 ივნისი. ჟენევაში განიარაღების კომისიის სამხედრო ქვეკომისიაში საკითხის განხილვის დროს საფრანგეთის და იაპონიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რეზერვი არ უნდა ითვლებოდეს მომქმედი არმიის ნაწილად. ამის წინააღმდეგ გაილაშქრა შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ის ერები, რომელთაც ეყოლებათ მცირერიცხოვანი მომქმედი არმია ურეზერვოთ წაგებული იქნებიან.

ინგლისის წარმომადგენელის წინადადებით ქვეკომისიამ დაადგინა უარყოფილ იქნეს საფრანგეთის და იაპონიის წინადადება.

რ ი ფ ე ბ ი ს ტ ყ ვ ე ო ბ ა შ ი

პარიზი, 2 ივნისი. ფეციდან იუწყებიან, რომ საფრანგეთის სამხედრო ტყვეებმა დაადასტურეს ცნობა იმ სისასტიკეთა შესახებ, რომლებსაც რიფები სჩადიოდენ ისპანელების მიმართ. ერთმა ფრანგმა სამხედრო ტყვემ განაცხადა, რომ იგი პირადათ იცნობდა 32 ისპანელ ოფიცრებს, რომელნიც ტყვეობაში დაიღუპენ.

ფრანგმა პარტიზანებმა ტყვედ წაიყვანეს გარმანელი კლეპი, აბდ-ელ-ქერიმის მრჩეველი.

პრეზიდენტი მარშალ პილსუდსკის წყალობით.



უკანასკნელი ცნობები

სესხი გაფიცულებს

პარიზი, 2 ივნისი. ამსტერდამში შესდგა თათბირი ამსტერდამის ინტერნაციონალის მომხრე პროფკავშირთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა, ამსტ. ინტერნაციონალის მდივანთა ბროუნის, უდეგესტის და ზასენბახის და ინგლისის დელეგაციის—პერსელისა, სიტრინისა და ხიკსის შემადგენლობით, ინგლისის იმ მუშათა დახმარების აღმოსაჩენად, რომლებმაც საყოველთაო გაფიცვის გამო დაჰკარგეს სამუშაო.

კანტონის ჯარში

კანტონი, 1 ივნისი. კანტონის არმიის ცალკე ნაწილების უფროსებმა გამოაქვეყნეს ბრძანება, რომელშიაც ჯარისკაცებს უკრძალავენ ოპიუმის მოწევას და მეძავ ქალებთან სიარული.

სტუდენტების ამოჟლეტა

კანტონი, 1 ივნისი. მხოლოდ ახლა მოვიდა დეპეშა პროვინცია ხუნანიდან, რომელშიც იუწყებიან, რომ 7 მაისს უ-პეი-ფუს ჯარების დალმა გენერალმა ენ-კა-ისიმ ჩან-ბას პროვინციის მთავარ ქალაქში ამოჟლიტა უიარაღო სტუდენტები.

ჰოლანდიის კომკავშირის კონგრესი

ამსტერდამი, 1 ივნისი. ამსტერდამში გაიხსნა ჰოლანდიის კომკავშირის კონგრესი, რომელმაც ჯამი გაუკეთა კომკავშირის ფართო მასიურ მუშაობას უპარტიო და სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ახალგაზრდობაში.

უცნაური განკარგულება

თეირანი, 1 ივნისი. სპარსეთის მთავრობამ გამოსცა განკარგულება, რომლის ძალით მამაკაცები და დედაკაცები ვალდებული არიან იარონ ქუჩის სხვადასხვა მხარეზე. პოლიცია სასტიკ თვალ-ყურს ადევნებს ამ ბრძანების შესრულებას.

აბდ-ელ-ქერიმის მრჩეველის დატყვევება

პარიზი, 1 ივნისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ფრანგებს ტყვედ ჩაუვარდა აბდ-ელ-ქერიმის მრჩეველი გერმანელი კლემპი.

გაფიცვის მუქარა

პარიზი, 1 ივნისი. პორტუგალიის შრომის ფედერაციამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ თუ სამხედრო დიქტატურა დამყარდება საყოველთაო გაფიცვას გამოვაცხადებთო.

რუმინიის ახალი პარლამენტი

ვენა, 1 ივნისი. რუმინიის ახალი პარლამენტი გაიხსნება 25 ივნისისათვის.

ოპოზიციონურმა პარტიებმა პროტესტი განაცხადეს იმ მანდატების წინააღმდეგ, რომლებიც მთავრობის კოალიციამ მიიღო ძველ რუმინეთის ყველა საარჩ. ოლქებში, სადაც ოპოზიციის კანდიდატები არ იქნენ დაშვებულნი და რეპრესიებით ავიწროებდენ.

სისხლიანი შეტაკება ინდოეთში

კალკუტა, 1 ივნისი. იტყობინებიან, რომ ზალის ხარში ინდოელებსა და მუსულმანებს შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროს 20 კაცი მძიმედაა დაჭრილი.

უკრაინელების პროცესი

ვარშავა, 2 ივნისი. ლვოვში დაიწყო 15 უკრაინელის პროცესი, რომლებსაც სახელმწიფო ღალატი ბრალდებათ.

სოც.-დემ. მთავრობის გადადგომა

სტოკჰოლმი, 1 ივნისი. ხვალ გადადგება შვეციის სოციალ-დემოკრატიული მთავრობა რადგან პარლამენტში ვერ მიიღეს ხმების საკმაო რიცხვი.

პორტუგალიის დროებითი მთავრობა

პარიზი, 1 ივნისი. ლისაბონში შესდგა ახალი მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: სამხედრო მინისტრი—გენერალი გომეც კოსტა, ფინანსთა მინისტრი—პოლკოვნიკი კაბე კადასი, საგარეო და შინაგან საქმეთა მინისტრი—პოლკოვნიკი ოხო.

კანტონის ორგანიზაციის გაერთიანებული კომიტეტი

კანტონი, 1 ივნისი. კანტონის მუშათა, გლეხთა, განმანათლებელ და ვაჭრების ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა შექმნეს საქმიანი თანამშრომლობის გაერთიანებული კომიტეტი.

კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მთელ მხარეს, შექმნან ასეთი გაერთიანებული კომიტეტები, ვინაიდან ჩინეთის ყველა კლასები დაინტერესებულნი არიან ეროვნულ რევოლიუციის მოხდენაში და მონაწილეობა უნდა მიიღონ მილიტარისტებისა და იმპერიალისტებისაგან ჩინეთის გამანთავისუფლებელ ბრძოლაში.

გომინდანის აღმასკომის თავმჯდომარე

კანტონი, 1 ივნისი. კანტონის მთავრობის მეთაურის ვან-ჩინ-ვეის ხანგრძლივი ხნით საკურნალოდ გამგზავრების გამო გომინდანის აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ჩჟან-ჩინ-კიანი.

ჩინელების აღელვება

კანტონი, 1 ივნისი. ძლიერი აღელვება გამოიწვია ტუნსიდან მიღებულმა ცნობამ ფრანგი ჯარისკაცების მიერ რამდენიმე ჩინელის მოკვლის შესახებ.

საზოგადოება მოითხოვს, რომ კანტონის მთავრობამ ენერგიული პროტესტი განუცხადოს საფრანგეთის მთავრობას და მოსთხოვოს ანაზღაურების გადახდა.

ჩინელები ინგლისის მუშებს ეხმარებიან

კანტონი, 1 ივნისი. სრ. ჩინეთის შრომის ფედერაციამ მოწოდებით მიმართა გომინდანის აღმასკომს, რომ დახმარება აღმოუჩინოს ინგლისის სამთა-მადნო მუშებს, აღნიშნავს, რომ ინგლისის იმპერიალიზმი საერთო მტერია მუშებისა და დაჩაგრული ერების.

ვაჭრები და გომინდანი

კანტონი, 1 ივნისი. სრ. გუანდუნის ვაჭართა ფედერაციის კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს გომინდანის პროგრამას ვაჭრების მიმართ. რეზოლიუციაში მტკიცე ფიცია დადებული მთავრობის მხარის დაჭერისა და გონკონგის გაფიცულთა მორალურ დახმარებისა.

გომინდანის კომუნისტებთან თანამშრომლობა

კანტონი, 1 ივნისი. გომინდანის აღმასკომის პლენუმი უკვე დამთავრდა. კრების დახურვისას, თავმჯდომარემ, როცა იგი შეეხო რეზოლიუციას გომინდანისა და კომუნისტების ურთი-ერთ დამოკიდებულების საკითხის შესახებ, განაცხადა: „ზოგიერთები სცდილობენ ყალბად განმარტონ ეს რეზოლიუცია და ამტკიცებენ, რომ თითქოს მას მიზნად აქვს კომუნისტების განდევნა ჩვენი წრიდან. ეს მართალი არაა. რეზოლიუციის მიზნად აქვს დაამყაროს ისეთი თანამშრომლობა, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს რევოლიუციისთვის.

შესწორება ბალდუინის განცხადებაში

ლონდონი, 2 ივნისი. ბალდუინის თემთა პალატაში განცხადების გამო, რომ მთავრობას თათბირი ჰქონდა მაღაროს მუშებთან და მაღაროს მეპატრონეებთან უკანასკნელ 24 საათის განმავლობაში, ხოჯესმა განაცხადა, რომ მაღაროს მუშების წარმომადგენელნი არ შეხვედრია მთავრობას ბალდუინის წერილის შემდეგ 22 მაისს.

ქვანახშირის შეტანა ინგლისში

ლონდონი, 2 ივნისი. ბელგიიდან მოვიდა 1500 ტონა ქვანახშირის პირველი ტრანსპორტი. გუშინ მაღაროს მუშათა კავშირის რწმუნებულები იხილავდენ იმ ზომებს, რომელიც მიღებულ უნდა იქნას საზღვარგარეთიდან ინგლისში ქვანახშირის შემოტანის წინააღმდეგ.

სხდომის შემდეგ ფედერაციის რწმუნებულებს თათბირი ჰქონდათ ტრანსპორტის მუშათა კავშირის მდივანთან და ხოჯესთან.

გაფიცულთა სასარგებლოდ

ლონდონი, 2 ივნისი. მუშათა პარტიის ლონდონის ორგანიზაცია 10 ივნისს მართავს ფულის მოგროვებას ქუჩებში გაფიცულ მაღაროს მუშათა სასარგებლოდ. ასეთივე შემოწირულებათა შეგროვება მოხდება პროვინციის ქალაქებშიაც.

აბდ-ელ-ქერიმის ძმის განცხადება

ლონდონი, 2 ივნისი. „დეილი ნიუსი“ იუწყება, რომ აბდ-ელ-ქერიმის ძმამ ისპანიის მთავრობის წარმომადგენლებს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც ის აცხადებს, რომ რიფების ოლქში საფრანგეთის მიერ სამხედრო მოქმედების დაწყებამდე, საფრანგეთის ყოფილი უმაღლესი კომისარი მაროკოში უშუალო მოლაპარაკებას აწარმოებდა აბდ-ელ-ქერიმთან იმ მიზნით, რომ ვნება მიეყენებინა ისპანიისათვის. შემდეგ წერილში ნათქვამია, რომ საფრანგეთი ხელს უწყობდა აბდ-ელ-ქერიმს და რიფების ოლქში უშვებდა აჯანყებისათვის საჭირო მასალას.

ახალი მთავრობის შედგენა

სტოკჰოლმი, 2 ივნისი. შვეციის მეფემ ახალი მთავრობის შედგენა მიანდო თავისუფალ მოაზროვნეთა პარტიის ლიდერს—ეკმანს. თავისუფალი მოაზროვნენი—პროვინციალურ ინტელიგენციისა და გლეხობის პარტიაა.

შეთანხმების წინ

სტამბოლი, 31 მაისი. ანგორიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთსა და ინგლისს შორის მოლაპარაკება მოსულის საკითხის შესახებ, ახლო მომავალში დამთავრდება შეთანხმებით.

მეცნიერთა მიღება

ოსლო, 1 ივნისი. სრულუფლებიან წარმომადგენლობის შენობაში შესდგა მეცნიერების მოღვაწეთა პირველი მიღება.

თავმჯდომარეობდა ნანსენი. მიღებას დაესწრო ჩრდილოეთ ქვეყნების ცნობილი მკვლევარი სვერდლუფი.

სრულუფლებიან წარმომადგენელმა თავის სიტყვაში აღნიშნა ორივე ქვეყნის მეცნიერულ ძალების კავშირი და ურთიერთი დახმარება პოლიარულ ექსპედიციებისადმი.

ნანსენმა საპასუხო სიტყვაში გამოსთქვა სიხარული, რომ საბჭოთა კავშირის გარეშე ქვეყნებთან დამოკიდებულების დამყარება უხდება არა რაიმე უბედურობასთან ბრძოლის ნიადაგზე, არამედ აღმშენებლობით სამეცნიერო მუშაობის ნიადაგზე.

სამთამადნო მუშების ერთი თვის ბრძოლა

მოსკოვი, 2 ივნისი. ინგლისის სამთამადნო მუშების გაფიცვის ერთი თვის თავის შესრულების გამო პროფინტერნის გენერალური მდივნის მოადგილემ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა:

შეუძლებელია იმის თქმა, თუ რამდენ ხანს გასტანს გაფიცვა. **ის შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, რადგან ჩვენ გვაქვს წარსულის მაგალითები. თუ როგორი შეუპოვარი და ხანგრძლივი ბრძოლა შეუძლიათ ინგლისის სამთამადნო მუშებს. აუცილებელია ყველა ქვეყნის მუშების მხრით დახმარება**

ამსტერდამის ინტერნაციონალმა საერთო გაფიცვის შეჩერების შემდეგ შეწყვიტა შეთანხმებული მოქმედება. სამთამადნო მუშების საერთაშორისო ფედერაცია, რომელსაც ხოჯესი ხელმძღვანელობს, უსინდისო საქციელს იჩენს.

პოლონეთის და გერმანიის რეფორმისტული კავშირების ხელმძღვანელები დახმარების მაგიერ შტრეიკბრეხერების როლს ასრულებენ, იმათ ეს მდგომარეობა უნდათ გამოიყენონ თავისი ქვეყნის სამთამადნო მრეწველობის განვითარების და ახალი ბაზრების დაპყრობის მიზნით.

ამერიკის შრომის ფედერაცია განზეა გამდგარი.

პროფინტერნი ყოველ ღონეს მიმართავს ინგლისელ სამთამადნო მუშების დასახმარებლად. ის მოუწოდებს ყველა მასში შემავალ ორგანიზაციებს გააძლიერონ დახმარება გაფიცულებისათვის. **ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ინგლისის სამთამადნო მუშები მტკიცედ იქნებიან და მთელი ქვეყნის მუშების დახმარებით შესძლებენ შრომის პირობების გაუმჯობესებას.**

1926 წლის 5 ივნისს, დილის 10 საათზე

საქ. მ/გ. ინსპექციის სახ. კომისარიატის შენობაში (რუსთაველი, 24, მესამე სართული) დანიშნულია

საქ. კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის სხდომა

დასწრება ყველა ც. ს. კომისიის წევრების და კანდიდატების სავალდებულოა.

ს.კ.პ.ც.ს. კომისიის თავმჯდომარე: [illegible]

შრომის ნაყოფიერების ასაწევად

შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება

იმის გამო, რომ თანამედროვე სამეურნეო დგომარეობა და, კერძოთ ის დაბრკოლებანი, რომელსაც საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა განიცდის, მოითხოვს უაღრესად სასტიკ მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას და ყველა უწყებებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის ნაყოფიერების საკითხის მიმართ ყურადღების მიქცევას, შრომისა და თავდაცვის საბჭო ადგენს:

1) აუცილებელ საჭიროებათ იქნას ცნობილი ღონისძიებათა მიღება, მიმდინარე სამეურნეო წლის დანარჩენ ნაწილში შრომის ნაყოფიერების ასაწევად არა ნაკლებ 10 პროცენტისა საშუალოდ მთელ მრეწველობაში და ტრანსპორტზე, როგორც ორგანიზაციულ ზომების მიღებით და ტექნიკურ გაუმჯობესებათა მოხდენით, ისე მუშათა შრომის ინტენსიურობის ზრდით.

2) ამ დადგენილების პირველ მუხლთან დაკავშირებით, წინადადება მიეცეს ს. ს. რ. კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და გზათა სახალხო კომისარიატს.

ა) მიიღონ ზომები მომქმედ წარმოებათა სრული დატვირთვისათვის, მიმართონ ახალი ქარხნების ამუშავებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს გათვალისწინებულია საწარმოო პროგრამით და, კერძოთ, მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება გაცდენის საწინააღმდეგო ენერგიულ ბრძოლას და მის გამომწვევ მიზეზთა თავიდან აშორებას, და ამ მიზნით უზრუნველჰყონ წარმოებათა თავის დროზე ნედლეულით, დამხმარე მასალით, სათბობით და სხ. მომარაგება.

ბ) მიექცეს ყურადღება საწარმოო ხასიათის იმ დეტალებს, რომლებსაც არ აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ მთლიანად ერთგვარ გავლენას ახდენენ ნამუშევარის რაოდენობაზე, რის გამოც აუცილებელია წარმოებაში ნარჩენების გამოყენების გაძლიერება, ორგანიზაციულ ნაკლთა თავიდან აცილება, მოწყობილობათა და შრომის გამოყენების ხარისხის ზრდა, სამუშაო დროის არასაწარმოო საქმისათვის დაკარგვის შემცირება და სხ.

გ) მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება სამეურნეო ორგანოების (ტრესტები, სინდიკატები და სხვა.) ხელმძღვანელ პერსონალის საქმიან შერჩევას, და აგრეთ გამოცდილ მუშაკთა კადრის შესაქმნელად და მუშაობაში თანმიმდევრობის დასაცავად, მიღებულ იქნას ზომები მომუშავეთა უწესრიგოდ შეცვლისა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის პრაქტიკის აღმოსაფხვრელად;

დ) მიღებულ იქნას ზომები დაბალ და საშუალო ტექნიკურ პერსონალის ავტორიტეტის გასაძლიერებლად და მინიჭებულ ფარგლებში წარმოების ნამდვილი ხელმძღვანელობის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, რისთვისაც დაჩქარდეს წარმოების ადმინისტრატიულ-ტექნიკურ პერსონალის უფლება-მოვალეობათა შესახებ ინსტრუქციებისა და დებულებათა გამოცემა და გამოქვეყნება;

ე) მიღებულ იქნას ზომები შრომის დისციპლინის ასამაღლებლად, სამუშაო დროის რაციონალურად გამოსაყენებლად, სამუშაო დროის შესამჭიდროებლათ, კოლექტიურ ხელშეკრულების და შინაგან განწესრიგების წესის სისწორით შესასრულებლად ორთავე მხარის მიერ, მუშაობის გაცდენათა შემთხვევების შესამცირებლად;

ზ) მიღებულ იქნას ზომები, რომ დაშვებულ არ იქნას მუშათა რიცხვის მომატება საწარმოო პროგრამით გათვალისწინებულ რიცხვის ზევით და წარმოებებში მუშათა რაოდენობა წარმოების ნამდვილ საჭიროებებთან შეფარდებით განსაზღვრას, რომ რაციონალურად იქნას გამოყენებული არსებული სამუშაო ძალა, განსაკუთრებით წარმოებებში ახლად ჩაბმულ მუშების კვალიფიკაციის აწევით, დამხმარე მუშათა ზედმეტი კადრის შემცირებით, აღმშენებელ და რემონტის მუშათა კადრის გადასინჯვით დამტკიცებულ გეგმასთან შეფარდებით.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე **ა. რიკოვი.**

საქმეთა მმართველი **კ. მაქსიმოვი.**

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სნეგირიოვის გადაფრენა

მოსკოვი, 2 ივნისი. პირველ რიცხვებში დაიწყება მფრინავ სნეგირიოვის დიდი გადაფრენა საბჭოთა კავშირში დამზადებულ აეროპლანზე შემდეგი მარშრუტით: მოსკოვი — ხარკოვი — სევასტოპოლი — როსტოვი — დონი — ვორონეჟ — ლიპეცკი — გომელი — სმოლენსკი — ვიტებსკი — ლენინგრადი მოსკოვი; სულ 6.000 კილომეტრი.

გადაფრენას აწყობს ავიაქიმი და ავიატრესტი.

დაზღვევა მოუსავლიანობისაგან

მოსკოვი, 2 ივნისი. საბჭოთა რუსეთის სახ. კომისართა საბჭომ დაავალა განათლების და მიწათმოქმედების სახ. კომისარიატებს და უშაონ სამი თვის განმავლობაში და შეიტანონ დასამტკიცებლათ სახ. კომისართა საბჭოში კანონპროექტი მოუსავლიანობისაგან დაზღვევის მოწყობის შესახებ გლეხობის სათესი მასალით უზრუნველყოფის მიზნით.

აკადემიკოს სტეკლოვის გარდაცვალების გამო

ლენინგრადი, 2 ივნისი. სამეცნიერო აკადემიამ მიიღო დეპეშები და წერილები აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ სტეკლოვის გარდაცვალების გამო თანაგრძნობის გამოცხადებით საკავშირო ცაკის მდივანის ამხ. **ენუქიძისაგან,** სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტ კარპინსკისაგან, იტალიის კონსულისაგან, მოსკოვის, ლენინგრადის, კაზანის და ხარკოვის მათემატიკურ საზოგადოებათაგან, გეტინგენის სამეცნიერო აკადემიისაგან, ლენინგრადის საგუბერნიო აღმასკომისაგან და სხვ.

წყალდიდობა და ნიაღვრები

წყალდიდობა ასტრახანის გუბერნიაში

ასტრახანი, 2 ივნისი. ასტრახანის გუბერნიის დაბლობ ადგილებში წყლით დაფარულია 33 სოფელი. წყლით დაფარულ რაიონიდან წინდაწინვე გამოყვანილ იქნა 80.000 სული შინაური საქონელი. წყალმა გაანადგურა ბაღები და ბოსტნები.

წყლით დაფარულ რაიონში ასტრახანიდან ყოველ დღე იგზავნება გემები სურსათ - სანოვაგით.

ნიაღვრები ჩრდილოეთ კავკასიაში

დონის-როსტოვი, 2 ივნ. ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ადგილებიდან მოდის ცნობები ძლიერი ნიაღვრების შესახებ. პირველ ივნისამდე სეტყვამ გაანადგურა 15.000 დესიატინა ნათესები.

მეტეოროლოგიურ სადგურის ცნობებით, ნიაღვრები და სეტყვა გაგრძელდება ივნისის და ივლისის განმავლობაში.

◆

ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა მეექვსე ყრილობა

(მეორე სხდომა)

ლენინაკანი, 2 ივნისი. ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა ყრილობის მეორე სხდომა **იაკუბოვის** თავმჯდომარეობით გაიხსნა. ამ.-კავკ. რკინისგზელთა პროფკავშირის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებას აკეთებს ამხ. **საბაშვილი.**

ამ.-კავკ. რკინისგზელთა პროფკავშირი, ამბობს ამხ. საბაშვილი, აერთიანებს 38.000 რკინისგზელს. წარსულ წელთან შედარებით კავშირის წევრთა რიცხვი გაიზარდა 30%-ით. ეს ზრდა აიხსნება რკინისგზელების მუშაობის გადიდებით და მუშათა რაოდენობის მომატებით. გავლენა იქონია აგრეთვე კავშირის ძირითად ორგანოთა ქსელის გაფართოებამ, რამაც გააუმჯობესა მუშათა ინტერესების დაცვა.

ძირითად უჯრედების რაოდენობა 1924 წლ. პირველ ოქტომბრიდან გაიზარდა $1\frac{1}{2}$-ჯერ. საერთოდ არის—7 საუბნო პროფკავშირი და 233 ადგილკომი და პროფრწმუნებული.

1925 წ. 1 იანვრიდან კავშირის საქმეთა წარმოება ადგილ. ენებზე სწარმოებს.

კავშირს აქვს 28 კლუბი და კიდევ შენდება 6 ახალი კლუბი. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს პოლიტცოდნის, პროფკავშირის საქმეებისა და ფიზიკურ აღზრდის კურსები. მუშებს ძალიან იზიდავს ფიზკულტურა. საანგარიშო პერიოდში მოეწყო 6 შორეული ექსკურსია და 5 4 ამ.-კავკასიის საზღვრებში.

მუდმივ ბიბლიოთეკათა რიცხვი—26, ხელისმომწერლები—6.650, წიგნები—40.000. ამის გარდა არის 3 მოძრავი ბიბლიოთეკა.

(მესამე სხდომა)

ლენინაკანი, 2 ივნისი. რკინისგზელთა პროფკავშირის მოხსენების გამო სიტყვას ამბობს ბაქოელი დელეგატი ამხ. ალიევი, რომელიც აღნიშნავს ცენტრის ადგილებთან სუსტ კავშირს. პროფკავშირების საუბნო ინსტრუქტორები ცენტრისაგან არ იღებენ დირექტივებს, რაიც თავს იჩენს მათს მუშაობაში. ცენტრი თავის დროზე არ აგზავნის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის საჭირო თანხებს. ფიზკულტურის ორგანიზაციის საქმეც ვერაა კარგად დაყენებული ადგილობრივ.

თბილისელი წარმომადგენელი აღნიშნავს იმ დიდ მუშაობას, რომელიც რკინისგზელთა პროფკავშირმა შეასრულა. იგი მიუთითებს იმ ნაკლზე, რომელიც კოლექტიურ ხელშეკრულებათა ცხოვრებაში გატარების დროს ემჩნევა პროფკავშირს.

ლენინაკანის წარმომადგენელი ზუბიევი აღნიშნავს წარმოებით კომისიების მუშაობის სისუსტეს ადგილობრივ. აუცილებელია დროებით მომუშავეთა საქმის მოგვარება, რომ ბოლო მოეღოს მრავალ ანორმალურ მოვლენებს. მიღებული უნდა იქნას გადამჭრელი ზომები რკინისგზელთა საბინაო კრიზისის აღმოსაფხვრელად.

სხდომის დახურვის წინ წაკითხულ იქნა სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა მისალმების დეპეშები.

ცაკის მესამე სესია

1926 წლ. ივნისის 11-ს **სოხუმში** გაიხსნება სრულიად საქართველოს **ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი მესამე სესია**

სესიის დღის წესრიგი:

1. საქართველოს ს. ს. რ. მთავრობის მოხსენება.
2. აფხაზეთის ს. ს. რ. მთავრობის მოხსენება.
3. ს. ს. ს. რ. კონსტიტუციის პროექტის განხილვა.
4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
5. შრომა-გასწორების კოდექსი.
6. სამაზრო აღმასკომების დებულება.
7. სახალხო სასამართლოები.
8. საბჭოთა არჩევნები.
9. სესიიდან სესიამდე ს. ს. ცაკ—ის პრეზიდიუმის მიერ მიღებული კანონთა დამტკიცება.
10. მიმდინარე საკითხები.

ცაკის წევრების გამგზავრების დღე და წესი იქნება გამოცხადებული დამატებით.

5. [illegible] 3. ს. ს. ცაკ—ის მდივანი **ს. თოდრია.**

ა-კ. ფედერაცია

აზერბეიჯანი

ამბულატორიების რიცხვის გადიდება

ბაქო, 2 ივნისი. ბაქოს საბჭოს სახელმწიფო კომისიამ აუცილებლად სცნო სამკურნალოების რიცხვის გადიდება რაიონებში, რისთვისაც დამზღვევ სალაროს დამატებით მიეცემა 35 ათასი მანეთი.

პოლიგრაფტრესტი

ბაქო, 2 ივნისი. აზერბეიჯანის პოლიგრაფტრესტი გადადის ბაქოს საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგებლობაში.

ბაქოს საბჭომ საჭიროდ სცნო ტრესტის საბრუნავ თანხების გადიდება. გარდა ამისა, ზედნადები ხარჯების შემცირების მიზნით, გაერთიანებული იქნება ტრესტის ორი სტამბა.

საავადმყოფოს დამთავრება

ბაქო, 2 ივნისი. ბაქოს საბჭოს სახელმწიფო კომისიამ საჭიროდ სცნო ქირურგიული საავადმყოფოს სრულიად დამთავრება 1926-27 წელს. 1925-26 წლის მონარჩენი თანხა 140.000 მან. მოხმარდება ამავე მიზანს. ქირურგიული საავადმყოფოს დასამთავრებლად დამზღვევ სალაროს მიერ გადადებულია კიდევ 250 ათასი მან. მიუხედავად ამისა, ეს თანხები არ იმარებს და დანაკლისი თანხის წყაროების გამოძებნის საკითხი ღიად რჩება.

სხვადასხვა

გადაფრენა დანია-იაპონია. 1 ივნისს დანიელი მფრინავი ბოტკიდი, რომელიც დანიიდან იაპონიაში გადაფრინდა, დაეშვა ტოკიოს მიდამოებში. იაპონიაში ბოტკიდი რამდენიმე ხანს დარჩება, შემდეგ კი უკანვე გამოფრინდება ციმბირის გზით.

ინციდენტი ლუდის გამო. შეერთებულ შტატების მთავრობის ნოტაზე გერმანიის კრეისერ „ჰამბურგზე“ ლუდის გაყიდვის შესახებ, გერმანიის ელჩმა ვაშინგტონში განაცხადა, რომ დამნაშავენი დასჯილ იქნებიან. ინციდენტი ამოწურულათ ითვლება.

პორტუგალიის დროებითი მთავრობა. პორტუგალიის დროებით მთავრობაში შედიან: კაპიტანი კადეკატესი—გარეშე საქმეთა, საზღვაო და იუსტიციის მინისტრი; გენერალი კოსტა—ახალშენების და მიწათმოქმედების მინისტრი.

უცხოეთში

საფრანგეთის დავალიანება ამერიკისადმი.

საფრანგეთის პრესა, რომელიც მთავრობას უჭერს მხარს, ხელმძღვანელობს რა ოფიციალური ცნობით შეერთებულ შტატებთან საფინანსო შეთანხმების პირობების შესახებ, მის დასაცავად შემდეგ დებულებებს აყენებს:

1) უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვით შეთანხმების ფაქტს. მდგომარეობის გამოურკვევლობა უდიდეს ზიანს აყენებდა საფრანგეთს არა მარტო იმით, რომ აიძულებდა ნიუ-იორკის ბირჟას ბრძოლა ეწარმოებია ფრანკის წინააღმდეგ, არამედ იმითაც, რომ შეერთებული შტატების მთავრობა ნებას არ აძლევდა ამერიკელ კაპიტალისტებს კაპიტალი დაებანდებიათ საფრანგეთის წარმოებებში, სანამ ვალის საკითხი მოგვარებული არ იქნება.

2) ამერიკა მნიშვნელოვან დათმობაზე წავიდა: 1925 წ. 15 ივნისისათვის (ამ დროისათვის იქნა გამორკვეული ვალის ჯამი და ამ თანხით ხელმძღვანელობდა ორივე მხარე მოლაპარაკების დროს), საფრანგეთის ვალი უდრიდა:

ა) მთავარი ვალი	2.933.000.000 დოლ.
ბ) პროცენტ. 1925 წ. 15 ივნისისათვის	881.000.000 „
გ) სავაჭრო ვალი	407.000.000 „
სულ	4.421.000.000 დოლ.

ამ ვალის დასაფარავად საფრანგეთმა აღუთქვა ამერიკას, რომ გადაიხდიდა: 1926 წ.—30 მილიონ დოლლარს, 1927 წ.—30, 1928—32,5, 1929 წ.—32,5, 1930 წ.—35, 1931 წ.—40, 1932 წ.—50, 1933 წ.—60, 1934 წ.—75, 1935 წ.—90, 1936 წ.—90, 1937 წ.—100, 1938 წ.—105, 1939 წ.—110, 1940 წ.—115, 1941 წ.—120 და 1942-დან 1987 წლამდე—125 მილიონ დოლლარს ყოველწლიურად.

ამრიგად საფრანგეთი თავის ვალიდან ფარავს 2.008.400.000 დოლლარს, ე. ი. ახლანდელი შეთანხმებით საფრანგეთის ვალი შემცირებულია 53 პროცენტით.

3) თუ საფრანგეთი მოისურვებს, მას 1930 წლამდე შეუძლია იხადოს თანხა, რომელიც არ აღემატება იმ თანხას, რომელსაც იხდიდა იგი პროცენტების სახით სავაჭრო ვალისათვის, ე. ი. 20—20 მილიონი დოლლარი. ამრიგად, მიმდინარე წელს საფრანგეთს შეუძლია არაფერი არ გადაიხადოს, რადგან მან უკვე გადაიხადა 20 მილიონი, დარჩენილი 10 მილიონის გადახდა კი შეუძლია შემდეგისათვის გადასდოს.

ამრიგად, პირველი 5 წლის განმავლობაში საფრანგეთი არა თუ არ გადაიხდის იმაზე მეტს, რასაც იხდიდა, არამედ თავისუფლდება ვალდებულებისაგან, რომლის ძალით მას 1930 წლისათვის უნდა დაეფარა მთელი თავისი სავაჭრო დავალიანება (407 მილიონი დოლლარი), რაც მისთვის მეტად ძნელი იყო.

4) ერთგვარ მიღწევად თვლიან უარის თქმას იმ მოთხოვნილებაზე, რომელსაც იცავდა კაიო (და აგრეთვე სხვა მინისტრებიც, მათ რიცხვში ახლანდელი ფინანსთა მინისტრი რაულ პერე), რომლის ძალით საფრანგეთს შეეძლო არ შეეტანა ვალის მორიგი ნაწილი, თუ ამის საშუალებას არ მისცემდა ფინანსიური მდგომარეობა. მთავრობის მომხრეები აცხადებენ, რომ ამ მოთხოვნილების მიღება საშუალებას მისცემს შეერთებულ შტატებს მოითხოვოს საფრანგეთის ფინანსების შემოწმება, რაც დაუესის კომისიისდაგვარ მდგომარეობას შექმნიდა საფრანგეთისათვის. სამაგიეროდ, ბერანჟემ, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა ვალების შესახებ, მიიღო შეერთებული შტატებისაგან უფლება, რომლის ძალით საფრანგეთს მიზეზის ახსნელად შეუძლია სამი წლით გადადვას ძირითადი ვალის გადახდა. მაგ., საფრანგეთმა 1940 წ. უნდა გადაიხადოს 115 მილიონი დოლლარი. აქედან ის გადაიხდის მხოლოდ 25 მილიონს (პროცენტებს), დანარჩენ 90 მილიონს კი 1943 წ. გადაიხდის.

5) 1930 წლის შემდეგ ვალის გადასახდელი ნაწილის გადიდება საძნელო არ იქნება საფრანგეთისათვის, ვინაიდან ამ დროისათვის საფრანგეთმა უნდა მიიღოს ვალები გერმანიისაგან.

6) შეერთებულ შტატებთან შეთანხმების შემდეგ შესაძლებელი იქნება შეთანხმება ინგლისთან.

გაზ. „ტან“-ი, რომელიც ეხება ვაშინგტონის შეთანხმებას ვალების შესახებ, ასე სწერს:

ჩვენ ვწუხვართ, რომ შინაური პოლიტიკის მოსაზრებებმა საშუალება არ მისცა შეერთებული შტატების მთავრობას უფრო შეღავათიანი პირობები მიეცა საფრანგეთისათვის, მაგრამ ჩვენ მაინც კმაყოფილი ვართ ამ შეთანხმებით“.

სულ სხვანაირათ სწერს მემარჯვენე პრესა:

„ფიგარო“ სწერს: „ვალების სიმძიმეს შემდეგში ვიგრძნობთ. შეთანხმების მთავარი ნაკლი ციფრებში როდია. შეთანხმებით არ არის აცილებული ომის შედეგები, რადგან ამერიკელები იტოვებენ ვალების გადახდის მოთხოვნის უფლებას და თუ უარი ვსთქვით,—რეალურ კომპენსაციას მოგვთხოვენ“.

გუსტავ ერვე „ვიქტუარ“-ში აღშფოთებით სწერს: „ჩვენ, რომლებიც თავდასხმის მსხვერპლი შევიქენით, უნდა ვიხადოთ! ვის უნდა უხადოთ? ჩვენს კეთილ მოკავშირეს—ამერიკას! ოდესაც ჩვენ ალტაცებაში მოვყავდით ამერიკელ ჯარისკაცებს. ეხლა კი ჩვენ, შეგვიძლია ვსთქვათ: ამერიკელ ჯარისკაცებს გმირული სული აქვს, ამერიკელ პოლიტიკოსებს კი—შავი“.

მოლიერანის „ავენირ“-ი სწერს: „ვალების მოწესრიგების შესახებ შეიძლება დაიწეროს ერთი წერილი და ერთი წიგნიც. სულ ერთია—შედეგი ერთი იქნება.

დღეს საფრანგეთმა საბოლოოთ წააგო ომი. ზავის ჩამოგდების შემდეგ მოკავშირეები ისახავდენ ერთ მიზანს: ფეხზე წამოაყენონ გერმანია და მუხლებზე დააჩოქონ საფრანგეთი.

ეს მათ მოახერხეს. შედეგი საბედისწეროა. ახლო ხანში მოსალოდნელია ახალი ომი, ასე მშვენივრად მომზადებული მშვიდობიანობის მოტრფიალეთა მიერ“.

მუშათა მოძრაობა

უმუშევრობა სხვადასხვა ქვეყნებში

ამსტერდამის ინტერნაციონალის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების მიერ გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, უმუშევრობა სხვადასხვა ქვეყნებში შემდეგ სურათს იძლევა.

მიმდინარე წლის პირველ თვეებში უმუშევართა რიცხვი თითქმის ყველა ქვეყნებში რამდენადმე შემცირდა. ეს შემცირება მოხდა, უმთავრესად, მრეწველობის სეზონური დარგების ხარჯზე, სადაც უმუშევრობა ზაფხულობით კლებულობს, ზამთრობით კი ჩვეულებრივ იზრდება ხოლმე. მრეწველობის სხვა დარგებში უმუშევრობა თითქმის არ შემცირებულა და მუშები კიდევ დიდი ხნის განმავლობაში განიცდიან ეკონომიური კრიზისის შედეგებს.

განყოფილების მიერ გამოქვეყნებული ცნობებით უმუშევრობის სურათი ასეთია:

ავსტრალია: 1925 წ. უკანასკნელ მეოთხედში უმუშევრობა პროფკავშირების წევრთა შორის 8,1 პროცენტამდი გაიზარდა. იმავე წლის მესამე მეოთხედში კი 7,9%-ს შეადგენდა.

ბელგია: 139 დამზღვევ სალაროს ანგარიშით (აერთიანებენ 593.244 წევრს) სრულიად უმუშევარ წევრთა რიცხვმა მიმდინარე წლის 27 თებერვლისათვის მიაღწია 8.676-ს (1,45%), იმ წევრების რიცხვმა კი, რომლებიც ნაწილობრივ არიან უმუშევარი—18.209 (3,10%). შესაფერი ციფრები წინა თვისათვის შეადგენენ 2.7 და 5,3% 1925 წ. თებერვლისათვის კი—1,7% და 4,6%.

დანია: პროფკავშირების და შრომის საზოგადოებრივ ბიუროების ცნობით, უმუშევართა პროცენტი მარტის დამლევისათვის შეადგენდა 23,2%, 1925 წ. მარტში—17,7% მიმდინარე წლის აპრილის დამლევს დანიაში 52.167 უმუშევარი იყო, 1925 წ. ამავე პერიოდში კი—35.900.

გერმანია: მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან 15 აპრილამდე რაოდენობა იმ პირების, რომლებიც დახმარებას იღებდენ როგორც უმუშევრები, 1.940.500-დან 1.884.000-დი შემცირდა. პროფკავშირების ცნობებით თებერვლის დამლევისათვის სრული უმუშევრობა შეეხო წევრების 22%-ს, ნაწილობრივი კი—21,6%-ს. შესაფერი ციფრები 1925 წლის დამლევისათვის შეადგენდა 4.2% და 5,3%-ს.

საფრანგეთი: შრომის საზოგადოებრივ ბიუროებში აღრიცხულ უმუშევართა რიცხვი მიმდინარე წლის მარტის დამლევისათვის უდრიდა 10.146, 125 წ. მარტში კი—13.838.

ინგლისი: იმ პროფკავშირების 980.127 წევრიდან, რომლებიც აქვეყნებენ ცნობებს უმუშევრობის შესახებ, მიმდინარე წლის მარტის დამლევს უმუშევრები შეადგენდენ 10,1%-ს, წარსული წლის იმავე პერიოდში კი—9%. დამზღვევი სალაროების 11.892.000 წევრიდან უმუშევრები მარტის დამლევს შეადგენდენ 9,8%, 1925 წ. მარტის დამლევს კი—10,5%. აღრიცხულ უმუშევართა რიცხვი მარტში უდრიდა 1.070.000 (1925 წ. მარტში—1.249.000).

ჰოლანდია: შრომის ბიუროების მიერ მიმდინარე წლის 10 აპრილისათვის აღრიცხულია 55.150 უმუშევარი, 1925 წ. პირველი აპრილისათვის უმუშევართა რიცხვი შეადგენდა 76.110.

იტალია: აღრიცხულ უმუშევართა რიცხვი მიმდინარე წლის იანვრის დამლევისათვის უდრიდა 156.139; შესაფერი ციფრი 1925 წლის იანვრისათვის უდრიდა 156.382.

კანადა: პროფკავშირების ცნობებით კავშირის უმუშევართა რიცხვი თებერვლის დამლევისათვის შეადგენდა 8,1% (1925 წ. თებერვლის დამლევს—9,5%.

ნორვეგია: აღრიცხულ უმუშევართა რიცხვი 15 აპრილისათვის შეადგენდა 24.645, 1925 წ. აპრილში—14.372.

ავსტრია: ოფიციალური ცნობებით 15 აპრილისათვის სახელმწიფოსგან დახმარებას იღებდა 174.88-, უმუშევარი. ამას უნდა მიემატოს კიდევ 31.000 უმუშევარი, რომლებსაც არავითარი დახმარება არ ეძლევათ. 1925 წ. მარტში დახმარება ეძლეოდა 175.581 კაცს.

პოლონეთი: ოფიციალური ცნობებით აღრიცხულ უმუშევართა რიცხვი 27 მარტისათვის უდრიდა 346.000, წარსული წლის მარტში კი—183.640.

შვეცია: იმ პროფკავშირების წევრებიდან, რომლებიც აქვეყნებენ ცნობებს უმუშევრობის შესახებ, თებერვლის დამლევისათვის უმუშევრები შეადგენდენ 14,4% 1925 წ. იმავე პერიოდში კი—13,5%. ოფიციალური ცნობებით, აღრიცხულ უმუშევართა რაოდენობა თებერვალში შემცირდა 2%-ით და შეადგენდა 23.000.

შვეიცარია: თებერვლის დამლევისათვის აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევართა რიცხვი უდრიდა 18.138 (1925 წლის იმავე პერიოდში კი—11.834).

უნგრეთი: მიმდინარე წლის იანვრის დამლევისათვის პროფკავშირების უმუშევარ წევრთა რიცხვმა მიაღწია 163.000, ე. ი. შეადგენდა 17.4% (1925 წ. მარტში კი—13,6%).

ლატვია: ლატვიის 5 ქალაქის შრომის ბიროებში აღრიცხული იყო იანვრის დამლევისათვის 4.990 უმუშევარი, 1925 წ. მარტში კი—4.314.

ამხ. სტალინ-ჯუღაშვილი ზაჰესში

გუშინ, შუადღის სამის ნახევარზე **ამხ. სტალინი, ამხ. მიკოიანის, შ. ელიავას, ლ. ქართველიშვილის, მ. კახიანის, ალ. გეგეჭკორის, ლ. სუხიშვილის, ივანოვ-კავკასიელის** და სხ. თანხლებით გაემგზავრა ზაჰესში სადგურის სამუშაოთა დასათვალიერებლათ.

იქ მას შეხვდენ მუშები და ტეხნიკური მუშაკები ინჟ. **ბ. ჭიჭინაძის, მიქელაძის და მელიქ-ფაშაევის** მეთაურობით.

ამხ. სტალინს სიტყვით მიმართა ინჟ. **ბ. ჭიჭინაძემ.**

ამხ. სტალინმა მადლობა გადაუხადა ზაჰესის მუშებს და ტეხნიკურ მუშაკებს; მან აღნიშნა ის დიდი როლი, რომელსაც თამაშობს მუშების და ტეხნიკურ ძალთა გაბედული ინიციატივა საბჭოთა რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციის საქმეში.

შემდეგ დაიწყო ზაჰესის დათვალიერება. ამხ. სტალინს აინტერესებდა ყველაფერი, ყოველივე წვრიმალიც კი.

დათვალიერებულ იქნა ქვემო-რაიონი, საგენერატორო შენობა, ვიადუკი, არხი და საწნეო აუზი, საგუბარი, განათხარი და არხის სათავე.

ინჟ. ჭიჭინაძე, მიქელაძე და მელიქ-ფაშაევი აძლევდენ ამხ. სტალინს დაწვრილებითი ახსნა-განმარტებებს ყველა საკითხებზე შესრულებული და მიმდინარე მუშაობის შესახებ.

ზაჰესის დათვალიერება გაგრძელდა სამი საათი.

მთელი მუშაობის დეტალურად დათვალიერების შემდეგ ამხ. სტალინმა საპატიო სტუმრების წიგნში ჩასწერა:

„გაუმარჯოს ჩვენს აღმშენებლობას, მუშებს და ტეხნიკურ ძალებს.

სოსო ჯუღაშვილი.

2 ივნისი, 1926 წ“.

ამხ. მიკოიანმა ჩასწერა:

„Создание Загэс’а есть первый шаг строительства социализма в Грузии и фундамент коммунизма. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“.

სტუმრებმა მუშებთან და ტეხნიკურ მუშაკებთან ერთად რამდენჯერმე გადაიღეს სურათი. საერთო საუბარის და ელსადგურის მთელი სამუშაოს დათვალიერების შემდეგ სტუმრები დაბრუნდენ თბილისში.

საქართველოს სახელმწიფო კინო - მრეწველობის საზოგადოების აპარატებმა გადაიღეს სტუმრების მიერ ზაჰესის დათვალიერების ყველა მომენტები.

დავეხმაროთ ნამდვილ არტელებს

ყარაიას რაიონში საკმაოდ გავრცელებულია მიწათმოქმედთა არტელები, რომლებიც უმთავრესად თივის დამზადებას აწარმოებენ და ნაწილობრივ აგრეთვე ბამბის თესვას. შეერთებული ძალით და საერთო ინვენტარით უფრო ადვილია როგორც ბამბის კულტურის წარმოება, აგრეთვე თივის დამზადება, რომლისთვისაც საჭიროა განსაკუთრებული იარაღები (სათიბი მანქანები, საპრესე მოტორები, ფოცხები და სხვა).

ამით აიხსნება გლეხების გაერთიანება ყარაიას არტელებში: „კომუნა“, „ტრუდ“, „კრესტიანინ“, „კრასნი ბედნიაკ“, „ახუთი“, „თივა„ და ამჟამად დაარსების პროცესშია არტელები: „შურა“ და „ინტერნაციონალი“.

არტელების მუშაობისათვის და განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მიწათმოწყობის საქმეს და სათიბების განაწილებას. ამ მხრივ ყარაიას არტელებში საკმაოდ მწვავედ სდგას საკითხი და საჭიროა ამას დროზე მიაქციოს ყურადღება მიწათმოქმედების კომისარიატმა.

წარსულ წლებში სათიბების მეტი ნაწილი ერთ არტელს ეძლეოდა (არტელ „თივა“-ს), დანარჩენები კი მეტად შეზღუდული იყვნენ.

არტელი „თივა“ შემადგენლობით კულაკურია, და მის წევრებს წარსულ საბჭოთა არჩევნებში არ ქონდათ მონაწილეობის უფლება. ეს არტელი ფართოდ იყენებს დაქირავებულ შრომას, სარგებლობდა ერთგვარი ნდობით და საშუალებათა სიძლიერით და წარსულ წელში ყარაიას სათიბების მეტი ნაწილი მის განკარგულებაში იყო გადაცემული; მას კიდეც დაუმზადებია თივა 180.000 ფუთამდე. რასაკვირველია, ამდენი თივის დამზადება არტელს თავის წევრთა შრომით არ შეეძლო და ის ფაქტიურად მდიდარ მწარმოებელთა გაერთიანებას წარმოადგენს. რა საჭირო იყო მისთვის ასეთი საქმის მინდობა, როდესაც იქ მის გვერდით ნამდვილ მშრომელ გლეხთა არტელები არსებობდენ. მართალია, არტელებში სეზონური მუშაობის დროს დაქირავებული შრომა დასაშვებია, მაგრამ არა იმ ზომით, როგორც ამას სჩადიოდა არტელი „თივა“.

არტელებს საბჭოთა ორგანოები და კოოპერატიული ორგანიზაციები უნდა ეხმარებოდენ, მაგრამ ისეთი ცრუ არტელებისთვის დახმარება, როგორიცაა „თივა“ პირდაპირ დანაშაულია. ჩვენ ხომ მარტო სახელწოდება არ უნდა გვაინტერესებდეს, არამედ შინაარსი არტელისა. ასეთი პოლიტიკით, რასაკვირველია, ჩვენ ვერ გავაძლიერებთ გლეხობაში კოლექტივისტურ მოძრაობას და მომავალში მაინც არ უნდა განმეორდეს წარსული შეცდომები.

დახმარება უნდა გაეწიოს ყარაიას სხვა არტელებს, რომლებიც ნამდვილათ წარმოადგენენ მშრომელ მიწათმომქმედთა გაერთიანებას.

წელს არტელ „თივა“-ს არ უნდა მიეცეს იმაზე მეტი სათიბები, რის დამუშავებასაც ის შესძლებს თავის წევრთა საშუალებებით.

ყარაიაში არის პირობები ნამდვილ მშრომელ მიწათმომქმედთა არტელების განვითარებისათვის; სწორი ხელმძღვანელობით და ნამდვილი დახმარების გაწევით ხელი უნდა შეუწყოთ მათ გაძლიერებას და კოლექტივისტურ საფუძველზე მათი მუშაობის განმტკიცებას. ამჟამად კი პირველ რიგში უნდა მოხდეს სათიბების ხამართლიანი განაწილება ყარაიას არტელებს შორის მათი წევრთა რაოდენობის მიხედვით და მოწესრიგდეს მათი მიწათმოწყობის საკითხი.

ი. გუაჩიძე.

ა/კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

მანქანების დემონსტრაცია

შაბათიდან ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე დაიწყება სხვადასხვა მანქანების და იარაღების დემონსტრაცია. ნაჩვენები იქნება ყოველგვარი მანქანები როგორც უმოძრაო მდგომარეობაში, ისე მუშაობის დროს.

დემონსტრაციის შემდეგ მოხდება ამერიკის, გერმანიის, იტალიის და სხვა ქვეყნების ტრაქტორების გამოცდა. დემონსტრაციის და გამოცდის დროს მაყურებლებს მისცემენ ახსნა - განმარტებას; ამას გარდა სხვადასხვა ნაციონალურ ენებზე წაკითხული იქნება ლექციები და მოხსენებები, გაიმართება საუბრები და სხვა.

მანქანების დემონსტრაციას დაესწრებიან ექსკურსანტი გლეხები, რომლებიც გაეცნობიან ყველა მანქანებს და დარწმუნდებიან ამა თუ იმ მანქანების უპირატესობაში.

მანქანების დემონსტრაციისათვის შედგენილია სპეციალური პროგრამა, რომელიც გამოქვეყნდება ამ დღეებში. დემონსტრაციას დაესწრებიან აგრეთვე სხვადასხვა სპეციალისტები და ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელები.

ნაჩვენები იქნება: ნიადაგის დასამუშავებელი მანქანები—სხვადასხვა სისტემის ფარცხები და სათესი მანქანები; სარწყავი მანქანები; ცხენების შესაბმელი გუთნების მუშაობა; საცეხავი მანქანები; რძის მეურნეობაში საჭირო მანქანები; სათიბი მანქანები; მეღვინეობის იარაღები; ინკუბატორები და მეფრინველეობის სხვა იარაღები; ხანძარსაქრობი მანქანები; ლითონის დასამუშავებელი დაზგები; მონადირეობის იარაღები; ნიგვზის საწმენდი ქარხნები; ბრინჯის საწმენდი მანქანები; ხე-ტყის დასამუშავებელი მანქანები; სასოფლო-ელსადგურების მოწყობილობა; აბრეშუმის პარკის საშრობი მანქანები; წისქვილები; საწმენდი მანქანები და ტრაქტორები.

გამოცდებში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი სისტემის ტრაქტორები: **„ფორძონი“, „კეისი“, „ინტერნაციონალი“, „ამის ჩალმერ“, „ემერსონი,“ „ჰ. ლანცი“, „ვ. დ.“, „ფიატი“, „ხოლდ“, „კნეტრაკი“, „ავანსი“, „სიმენს-შუკკერტი“, „საკი“, „ებერგარდტი“, „ეკკერტი“, „ფლეტტერი“, „ერბეხერი“** და შვეციის გუთნები.

„ატლას-დიზელი“

„ატლას-დიზელ“-ი შვეციის ფირმაა. მისი პავილიონი მოთავსებულია გამოფენის შესავალში, მთავარი გზის მარჯვენა მხარეზე.

„ატლას-დიზელ“-ის გარდა ამ პავილიონში გამოფენილია შვეციის ორი სხვა ფირმის—„სვენსკა-მაშინა-ვერკენ“-ის და „S. K. F-“ის ექსპონატები.

„ატლას-დიზელი“ ყველა ქვეყნებში ცნობილია თავისი ელექტრო-მოტორებით. ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე აღნიშნულ ფირმას წარმოდგენილი აქვს რამოდენიმე ასეთი დიზელი. აქ არის მოტორები 5—100 ცხენის ძალიან ელექტრო-სადგურებისათვის.

ხუთძალიანი სადგური გამოსადეგია საბჭოთა მეურნეობაში. იგი იძლევა ნაკადს 100 თექვსმეტ სანთლიან ელექტრო-შუშისათვის.

100 ძალიან სადგურის დიზელების დემონსტრაციის მიზნით, „ატლას-დიზელს“ გამოფენაზე მოწყობილი აქვს საკუთარი ელექტრო-სადგური, სადაც სდგას ორი 50 ძალ. დიზელი. თუ რამდენად მძლავრია ეს ელექტრო-სადგური სჩანს იქიდან, რომ გამოფენის მთელი ტერიტორია განათებულია ამ სადგურის ენერგიით.

„ატლას-დიზელის“ პავილიონში ყურადღებას იპყრობენ კიდევ სხვადასხვა დაზგები; მათ შორის აღსანიშნავია აგურის საკეთებელი დაზგა, რომელიც 1.000 აგურს ამზადებს საათში. ამ დაზგასთან მუშაობა ადვილად შეუძლია ყოველ გლეხს.


АТЛАС ДИЗЕЛЬ.

აქვეა აგრეთვე სპეციალური ელექტრო-სადგურები, რომელთა დანიშნულებაა მიწების მორწყვა. წუთში ეს ელექტრო-სადგური იძლევა 2.500 ლიტრა წყალს და მისი საშუალებით შეიძლება ორი ათას დესეტინამდე მიწის მორწყვა.

ფირმა „სვენსკა - მაშინა-ვერკენ“-ს „ატლას-დიზელ“-ის პავილიონში გამოფენილი აქვს მორების სახურავი უზარმაზარი მანქანა და სხვადასხვა დაზგები:

მანქანების გამოცდის დღე ჯერ არ არის დანიშნული. „ატლას-დიზელ“-ის რწმუნებული ინჟ. **სიმონოვსკი** ამჟამად მუშაობს ექსპონატების გასასყიდი ფასის გამომუშავებაზე. ექსპონატების კალკულიაცია დასამტკიცებლად წარედგინება გამოფენის მომწყობ კომიტეტს.

2,500 სანთლიანი ლამპა



სამშაბათს, 1 ივნისს, ამიერ - კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე მოხდა 2.500 სანთლიანი ნავთის ლამპის დემონსტრაცია. ექსპონატი ეკუთვნის ავსტრიის ფირმა „მირ“-ს.

როგორც სურათიდან სჩანს, ლამპა წარმოადგენს საშუალო ზომის ყუთს, საიდანაც საქაჩავის საშუალებით გაზი ადის წვრილ მილში; მილიდან ამოსულ გაზს უკიდებენ ცეცხლს, რომელიც ძლიერ სინათლეს იძლევა.

ასეთ ლამპებს ევროპაში ხმარობენ დიდი სამუშაოების დროს, გვირაბების გასანათებლად და არსების გათხრის და წყალდიდობის დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ასეთ მძლავრ ლამპას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოსახლეობას საშუალება ეძლევა დაინახოს ადიდებული მდინარე და დროზე მიიღოს ზომები მისგან თავის დასაცავად.

ჩვენშიაც შეიძლება ასეთი ლამპების გამოყენება, მაგალითად, სამელიორაციო სამუშაოებზე, არხების გაყვანაზე და სხვა.

ლამპის ფასი ჯერ არ არის დაწესებული. საერთოდ ყველა ექსპონატების გასასყიდი ფასები დაწესებული იქნება ამ დღეებში.

გამოფენის ქრონიკა

პირველი ექსკურსია

გამოფენის დასათვალიერებლად აზერბეიჯანიდან და სომხეთიდან თბილისში ჩამოვიდა გლეხთა პირველი ექსკურსია 120 კაცის შემადგენლობით.

ტრაქტორების გამოცდა

სხვადასხვა ფირმების ტრაქტორების გამოცდა გაიმართება მომავალ კვირაში.

მაინქანების დემონსტრაცია

შაბათიდან სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე დაიწყება სხვადასხვა იარაღების და მანქანების დემონსტრაცია.

ბინა ექსკურსანტებისათვის

გამოფენის ახლოს, რკინის გზის მეათე პოლკის ბინაზე მოწყობილია ექსკურსანტ გლეხების საერთო ბინა.

ექსპონატების მიღება

ამ დღეებში მიღებული იქნება რამოდენიმე გერმანული ფირმის ექსპონატები. ამერიკული ფირმების ექსპონატები უკვე მიღებულია.

მანქანა-იარაღების ამუშავება

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ამუშავება გამოფენაზე დაიწყება მიმდინარე თვის ბოლო რიცხვებში. საამისოთ შემუშავებული იქნება სათანადო პროგრამა.

სიმფონიური კონცერტი

დღეს გამოფენაზე გაიმართება მესამე სიმფონიური კონცერტი. პროგრამაში საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოები.

პარტიული ცხოვრება

ცეკას პლენუმი

მესამე დღე

გუშინ დილის სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. სტურუას მოხსენების გარშემო აფხაზეთის კომიტეტის მუშაობის შესახებ. კამათი გაგრძელდება საღამოს სხდომაზე. საღამოს სხდომაზევე ვრცელი მოხსენებით ჩვენი სკოლის ქსელის შესახებ გამოვიდა ამხ. დ. კანდელაკი. მოხსენების გარშემო დაიწყო კამათი, რომელიც გაგრძელდება დღეს.

შორაპნის სამაზრო პარტკომის გაფართოებული პლენუმი.

21 მაისს შესდგა სამპარტკომის გაფართოებული პლენუმი. ყველა სოფლის მუშური უჯრედების მდივნების და უჯრედებზე მიმაგრებულ, ამხანაგების თანადასწრებით. დაესწრო 60 მეტი პ/მ. ამხანაგი. სხდომამ გასტანა ორ დღეს. დღის წესრიგში იდგა 12 საკითხი.

განსაკუთრებული კამათი გამოიწვია შორ. მაზრაში პარტიის ზრდის საკითხმა. მომხსენებელი ამ საკითხზე აღნიშნავს, რომ მაზრაში ამ უკანასკნელათ განსაკუთრებული ჩქარი ტემპით იზრდება პარტია. თუ ექვსი თვის წინათ ჩვენ გვყავდა 625 წევრი და 150-დე კანდიდატი, დღეს 900-მდე წევრია და ამდენივე კანდიდატი. სულ 1800 წ. და კანდ. პარტია გაიზარდა მოკლე დროში 60 პროც. თათბირმა გამოარკვია, რომ პარტიის ზრდა ჩვენს მაზრაში არ არის შეფარდებული პარ. აქტივის შემადგენლობასა და წევრთა პოლიტიკურ მომზადების დონესთან. ამიტომ, შეიძლება ჩვენ უჯრედებში პარტხაზ. გადახრებს ქონდეს ადგილი (ასეთ გადახრებს ჰქონდა ადგილი, მაგალითად: მუშებში კონტრ-აგენტობა, სოფლათ რელიგიურ წესების შესრულება და სხვა). თათბირი ადგენს და ავალებს პრეზიდიუმს. დირექტივები მისცეს ყველა უჯრედებს, რათა პარტიაში მიღებას მომავალში უფრო ფრთხილათ მოეპყრან. პარტკომმა აგრეთვე უნდა იზრუნოს მაზრაში ადგილობრივ მუშურ-გლეხურ აქტივის მომზადება-წამოწევაზე.

პლენუმზე დიდი კამათი გამოიწვია მეორე საკითხმაც—თემებში ღარიბ და უღარიბეს გლეხობის ჯგუფების შექმნის შესახებ. უნდა ითქვას, რომ ეს საქმე პირველათ ტარდება ჩვენში პრაქტიკულათ. აქ არ არის რაიმე გამოცდილება. ზოგიერთი ამხანაგები არ სთვლიდენ საჭიროდ სოფლათ ასეთ ჯგუფების შექმნას, რადგან შიშობდენ, რომ ამ გზით მოსალოდნელია საშუალო და უღარიბეს გლეხობის დაპირისპირება. ამხანაგების მეორე წყება აუცილებლად სთვლიდა ასეთ ჯგუფების დაარსებას და აღნიშნავდა, რომ უღარიბეს გლეხთა ჯგუფები საშუალო გლეხობასთან მჭიდრო კავშირში უნდა იქნენ. პლენუმმა მიიღო შემდეგი დადგენილება: ჯერ-ჯერობით შეიქნას უღარიბეს გლეხთა სანიმუშო ჯგუფები რამოდენიმე თემში. ასეთი ჯგუფები მოწყობილ იქნას თემის ცენტრებში კომუჯრედების ხელმძღვანელობით.

პლენუმმა მოისმინა მოხსენებები: ა. კ. პარტთათბირის შედეგებზე, სამაღმასკომის კომფრაქციის მუშაობის შესახებ, სამგლეხკომის ჩხარის რაიკომის და რამოდენიმე სოფლის უჯრედების ანგარიში.

პლენუმმა დაადგინა: გაუქმებულ იქმნას რაიკომები, რომელიც უკანასკნელათ არსებობდა შორ. მაზრაში და პარტმუშაობა გადაყვანილ იქმნას თემურ სისტემაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ პლენუმის მუშაობა ერთობ ნაყოფიერათ მიმდინარეობდა და მის მუშაობას არა ჩვეულებრივი სიცოცხლე ეტყობოდა. ყოველგვარ საკითხების ირგვლივ კამათში დიდ აქტიურობას იჩენდენ სოფლის კომუჯრედის მდივნები, რაც ამტკიცებს, რომ მაზრაში პარტმუშაობა საგრძნობლათ გამოცხოველდა.

ივ. კუპატაძე.

საკონსერვო ქარხნის კომუჯრედში

(ქ. გორი)

გორის ორგანიზაციაში არსებობდა პროფბიუროს კომუჯრედი.

ამ კომუჯრედში შედიოდა ყოველგვარ პროფესიის და სოციალურ მდგომარეობის პარტიის წევრები და კანდიდატები. ეს უჯრედი, როგორც რიცხვობრივად, ისე თვისებრივ არა დამაკმაყოფილებელი იყო. ჰქონდა ადგილი უთანხმოება-კინკლაობას და სხვა. ბიურო არაფერს აკეთებდა. სამაზრო კომიტეტის დადგენილებით ეს უჯრედი დაშლილია. შესდგა ახალი, მუშური უჯრედები. ასეთი უჯრედები იქმნა დაარსებული: „ცეკავშირის“, საკონსერვო ქარხანაში, შპალთა-საღებენთ სამხერხაოში და სამაზრო აღმასკომთან.

საკონსერვო ქარხნის უჯრედის ბიუროს პირველივე სხდომაზე იქნა გამომუშავებული სამთვიანი გეგმა, რომლის განხორციელებას შეუდგა ბიუროს მთელი შემადგენლობა.

ამას გარდა, უჯრედი გადავიდა მუშაობის კომისიანურ წესზე.

ჩვენს უჯრედში ითვლება: 18 წევრი, მათ შორის 50 პროც. ძველი წევრი, გასაბჭოებამდე და 18 კანდიდატი.

უჯრედს აქვს ნაკლი: დანიშნულ დროზე ამხანაგები არ ცხადდებიან კრებებზე. ნახევარი ან ერთი საათი მაინც უსათუოდ უნდა დაიგვიანონ. ეს ხელს უშლის მუშაობას.

ყ. სურამელი.

რედუტკალის თემკომის მუშაობა

(ფოთი)

ს. კ. (ბ) რედუტკალის სათემო ორგანიზაციაში ირიცხება 3 უჯრედი 39 წევრით და კანდიდატით. აქედან 22 მუშაა, დანარჩენი გლეხი. უჯრედის კრებები ტარდებოდა ორკვირეში ერთხელ სისტემატიურად, რომელსაც ესწრებოდენ და ესწრებიან უპარტიო გლეხები.

სხდომებზე უმთავრესად ირჩეოდა ადგილობრივი საჭირბოროტო კითხვები, როგორიცაა: სკოლის აშენების, გზების გაკეთების, საექიმო პუნქტის მოწყობის შესახებ და სხვა. მათ განხილვაში გლეხები იჩენდენ აქტივობას. უჯრედები დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ უპარტიო გლეხობაში, რაც მტკიცდება მათი ლტოლვით პარტიისკენ. ორგანიზაცია უკანასკნელად იზრდება გლეხების და გლეხკომკავშირელების ხარჯზე. ორ თვეში ორგანიზაციაში შემოსულია 10 ღარიბი გლეხი.

თემკომთან არსებობდა პოლიტწრე, რომელშიაც მეცადინეობს 30 გლეხი, აქედან 10 უპარტიო. წრის მეცადინეობა დამთავრდება I-ლ ივნისს. თემკომი ხელმძღვანელობს აღმასკომის, კომკავშირის, კოოპერატივის და გლეხკომის მუშაობას. მათი ანგარიშები ხშირად ისმება თემკომის თათბირზე და ორანიზაციის საერთო კრებაზე, რაც ხელს უწყობს მათ ნაყოფიერ მუშაობას.

გ. გოგნელი.

რას უნდა მიექცეს ყურადღება მომავალში

(თბილისის საბპარტსკოლა)

თბილისის საბპარტსკოლაში 1925-26 სამ. წელში ირიცხება 109 კაცი, მათგან ქალი—9. კურსანტთა 65% მაზრებიდან არიან ჩამოსული. სკოლა დაყოფილი იყო ორ ჯგუფად: ქართულ და რუსულად. ეროვნული შემადგენლობა მრავალფეროვანია; ქართველები შეადგენენ უმრავლესობას, შემდეგ მიდიან სომხები, რუსები, ოსები დასხ.

რუსული სექცია შესდგებოდა ორი ჯგუფისაგან—კურსანტების მომზადების მიხედვით.

მეცადინეობა სწარმოებდა ლაბორატორიული (დალტონის) სისტემით, რომელსაც დიდი უპირატესობა აქვს ლექციურ სისტემასთან, როგორც ეს პრაქტიკიდან გამოირკვა, ამ წესით მეცადინეობა განისაზღვრებოდა 6 საათით დღეში.

სწარმოებდა საკლუბო მუშაობაც, თითქმის ყველა კურსანტები ჩაბმულნი იყვნენ ამა თუ იმ წრეში. სულ არსებობდა 8 წრე; დრამატიული, ფიზკულტურის, რადიოსი, სამხატვრო, მომღერალთა გუნდი და შახმატის.

კლუბის მუშაობის სისუსტე გამოიხატებოდა იმაში, რომ არ იყო კლუბსა და ლაბორატორიებს შორის შეთანხმებული მუშაობა. ხშირად კლუბმა არ იცოდა რას გადიოდენ კურსანტები ლაბორატორიებში, რომ ამის დამიხედვით შეერჩია მასალა საკლუბო მუშაობისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის გამგეობის მხრივ მიღებული იყო ყოველგვარი ზომები კურსანტთა პოლიტიკური ცოდნის დონის ასამაღლებლად, მაგრამ ამ ცდის 100%-ით შესრულება შეუძლებელი იყო. ამის მიზეზი, უმთავრესად, მდგომარეობს იმაში, რომ მაზრებიდან გამოგზავნილნი იყვნენ მსმენელებად ისეთი ამხანაგები, რომელთაც გათავებული ჰქონდათ წ. კ. უ. სალიკვიდაციო სკოლა, იყვნენ აგრეთვე მსმენელები შინაური განათლებით. რასაკვირველია მათთვის ძალიან დიდს სიძნელეს წარმოადგენდა პოლიტიკური საგნების შეთვისება, ამისათვის მათ წინასწარი ნიადაგი მომზადებული არ ჰქონდათ (მიუხედავათ იმისა, რომ მათთვის არსებობდა სპეციალური ჯგუფები: II დაIII-ე). ამ რიგად სკოლის მიერ გაწეულმა შრომამ და ხარჯებმა მცირე ნაყოფი გამოიღეს ამ კურსანტების მიმართ.

მეორე დამაბრკოლებელი მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ სკოლაში მიღებული იყვნენ ეროვნულ უმცირესობიდან რუსული და ქართული ენის ძალიან სუსტათ მცოდნე ხალხი, რის გამოც, ცხადია, მათ არ შეეძლოთ შეთვისება იმისი, რასაც მათ აწვდიდა სკოლა. მომავალში სკოლა უნდა მოერიდოს ასეთების მიღებას და უნდა მიიღოს მსმენელებად უფრო ცოტათ თუ ბევრად მომზადებული ხალხი.

გარდა ამისა მიღებული უნდა იქნენ რუსული ან ქართული ენის ცოტათ თუ ბევრად კარგად მცოდნე ამხანაგები. ეროვნულ უმცირესობიდან.

მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება საბჭ. პარტსკოლის მუშაობა ნაყოფიერი და მოამზადებს სოფლად პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ხაზზე მომუშავეთა კადრს.

კურსანტი ანდ. შადური.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

რაჭის აღმასკომის პლენუმი

ონი, 2 ივნისი. 26 მაისს შესდგა რაჭის აღმასკომის პლენუმი სათემო აღმასკომების წარმომადგენელთა თანდასწრებით.

დღის წესრიგში დასმული იყო: საძოვრების საკითხის მოწესრიგება, თემების რიცხვის შემცირება და ბიუჯეტი.

პირველ საკითხის შესახებ პლენუმმა აირჩია სპეციალური კომისია, რომელსაც დაავალა საძოვრების საკითხის მოწესრიგებისათვის ზომების შემუშავება. თემების რიცხვის შემცირების საკითხზე პლენუმმა მიიღო სამაზრო აღმასკომის პროექტი, რომლის თანახმად თემების რიცხვი 30 დან 19-დე მცირდება.

ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი მიმდინარე წელს უდრის 15.239 მანეთს, გასავალი—69.893 მანეთს. ხარჯების 60 პროცენტი უნდება ადმინისტრაციის შენახვას; თემების რიცხვის შემცირება ამ ხარჯებსაც შეამცირებს.

სამაზრო ბიუჯეტი უდრის 297,0000 მანეთს, აქედან 127.000 მანეთს შეადგენს ადგილობრივი შემოსავალი, ხოლო 170.000 მანეთს იძლევა ცენტრი.

ახალი სკოლა

ახალქალაქი, 2 ივნისი. სოფ. სათხას გლეხები შეუდგენ სკოლის აგებას სამაზრო აღმასკომის ტეხნიკურ ხელმძღვანელობის ქვეშ.

სკოლების აშენება

ახალქალაქი, 2 ივნისი. სამაზრო აღმასკომმა დაამტკიცა სკოლების აღმშენებლობის გეგმა 1926 წლისათვის. გეგმა პირველ რიგში გულისხმობს 20 სკოლის შეკეთებას. შემდეგ—5 სკოლის აგებას და 5 სკოლის ბინის შეკეთებას.

სათესლე სესხის აკრეფა

ახალქალაქი, 2 ივნისი. შარშან სათესლე მასალის სახით გლეხებისათვის დარიგებულ ხორბლიდან აკრეფილია 7.000 ფუთი, რომლიდანაც საკრედიტო ამხანაგობამ მიმდინარე გაზაფხულზე კვლავ დაარიგა 6.000 ფუთი.

ექსკურსანტები გამოფენაზე

ახალქალაქი, 2 ივნისი. მაზრას მიცემული აქვს 64 ადგილი ა. კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ექსკურსანტების გასაგზავნად. განზრახულია თვითეული თემიდან ხუთ-ხუთი გლეხის გაგზავნა. დანარჩენები გაიგზავნებიან ქალაქიდან.

სამხრეთ - ოსეთი

კლუბის გახსნა

ცხინვალი, 2 ივნისი. მოხდა პროფორგანიზაციების კლუბის გახსნა. კლუბი კარგად არის მოწყობილი: აქვს ბიბლიოთეკა, სამკითხველო, ჭადრაკის სათამაშო ოთახი და სხ. ყოველდღიურად იკითხება ლექციები სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე. კლუბის წევრთა რიცხვი სწრაფად იზრდება.

წერილები

ტყეებს საშიშარი დღეები უახლოვდება

გაზაფხულისა და ზაფხულის თვეები ყველაზე საშიშარი დროა ტყეებისათვის. როგორც ვიცით, ტყეებში მრავალი ხმელი მასალა იყრის თავს: ნაფოტები, გამხმარი ტოტები, ხავსი, თივა და სხვა ასეთები. მთელი ეს მასალა იმდენად ხმება ზაფხულის სიცხეებში, რომ ზოგჯერ საკმარისია მათ ნაპერწკალი დაეცეს და ცეცხლის ალი ავარდება. ამრიგად, ტყის ხანძარის წარმომშვები ტყეების ხმელი მასალა ხაყარია.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ტყეს ცეცხლი მეხისაგან უჩნდება. ჩვენში მეხიც არაა საჭირო. ამ საზარალო საქმეს ხშირად თავის შეუგნებლობით და დაუდევრობით ადამიანიც კი სჩადის. არის შემთხვევები, როცა ღამის მეხრეები, მეჯოგეები, ან ჩვეულებრივი მგზავრები და ექსკურსანტებიც კი ანთებენ ტყეებში ცეცხლს, თავიანთ საჭიროებისათვის და შემდეგ ჩაუქრობლად სტოვებენ მას.

ჩაუქრობელი ცეცხლი ხშირად იკვლევს გზას ტყეში დაგროვილ ხმელ მასალისაკენ და ხანძარიც უკვე მზად არის. ამიტომ იმ რაიონებში, რომელნიც ცნობილი არიან თავიანთ ტყეებით, ამ ტყეების ხანძარისაგან დაცვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწორედ გაზაფხულ - ზაფხულის თვეებში. ცეცხლზე საშიშარი მტერი ტყეს არა ჰყავს.

რა არის იმისათვის საჭირო, რომ ეს საფრთხე თავიდან ავიცილოთ? პირველყოვლისა ტყეების გაწმენდა ამ ცეცხლისაგან მოსალოდნელი მასალისგან. ეს არც ისე ძნელი მოსაწყობი საქმეა, თუ კი აქ სათანადო ინიციატივას და ენერგიას გამოიჩენენ ჩვენი სატყეო ორგანოები. გლეხკაცობა თვით იქნება დაინტერესებული ტყის გაწმენდაში, რადგან ხმელი ტოტები და ნაფოტები, საუცხოვო სათბობ მასალას წარმოადგენს, ამაზე უკეთეს შეშას გლეხი ვერ იშოვის.

რუსეთში ამგვარ ცდას უკვე აქვს ადგილი. მას უთუოდ შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს ტყეს.

აქ შეიძლება ერთ საშიშროებას დაურჩეს ადგილი. ეს ის, რომ ტყის გაწმენდის სახით არ მოხდეს ტყის თვითნებური გაჩეხვა. ამ საშიშროების თავიდან აცილება ადვილად შეიძლება, თუ სათანადო ორგანოები წინდაწინვე გამოიმუშავებენ ტყის გაწმენდის გეგმას.

ჯერ ერთი საჭიროა ტყეების გაწმენდა მოხდეს განსაზღვრული ვადის განმავლობაში. აქ შეიძლება გაწმენდის კვირეულიც იქნას ჩატარებული. გარდა ამისა, სანამ გაწმენდა მოხდებოდეს, გლეხების რწმუნებულთა თანდასწრებით უნდა დათვალიერებულ იქნას ტყე. ამასთან ერთად ტყის ადმინისტრაციამაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს გაწმენდაში. მთელი მუშაობა მის ზედამხედველობას და ხელმძღვანელობის ქვეშ უნდა სწარმოებდეს.

ამ ღონისძიების მიღებით ჩვენ ტყის დაცვა-გამწენებასაც დიდ სამსახურს გაუწევთ და გლეხკაცობასაც მივცემთ სარგებელს.

ნ. გიტნიძე.

ეკლესიიდან კლუბისაკენ

(თერჯოლის თ. (შორ. მაზრა)

ჩვენი სოფლის მცხოვრებთა დიდმა უმრავლესობამ პირი იბრუნა ეკლესიებიდან და მღვდელ-დიაკვნებს ყურადღებას აღარ აქცევენ. ეს უფრო ითქმის ახალგაზრდობაზე. ისინი უფრო ითვისებენ ყოველივე წაკითხულს და ნათქვამს. ახალგაზრდობიდან, თუ ვინმე მიდის ეკლესიაში იმისთვის, რომ ერთი მეორეს შეხვდენ, იბაასონ და დრო გაატარონ კვირა-უქმე დღეებში.

სათანადო ორგანოების მიერ უნდა მიექცეს ყურადღება სოფლის ახალგაზრდობის ასეთ მოთხოვნილებას და მოაწყონ საღამო-წარმოდგენები. ეს მრავალნაირად იქნება სასარგებლო სოფლისათვის. გარდა იმისა, რომ ახალგაზრდობას და საერთოდ გლეხობას ჩამოაშორებს ეკლესიებს და დააკმაყოფილებს მათ სულიერად, შემოსული ფული მოხმარდება სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებს.

საღამო-წარმოდგენებით რომ დაინტერესებულია თერჯოლის თემი, ეს სჩანს გამართულ წარმოდგენებიდან, სადაც გლეხობა ბლომად ესწრება.

მაგრამ მაგარი ის არის, რომ არ არის ადგილი, სადაც შეიძლება სისტემატიურად წარმოდგენების მართვა. თემაბკომმა ამ საქმეს მიაქცია ყურადღება, იმსჯელა და დაადგინა: აგებული იქნას ერთი თვალი დიდი შენობა, სადაც მოეწყობა დასაჯდომები, ამაღლებული ადგილი სცენისათვის და სხვა... გარდა საღამო-წარმოდგენებისა, გლეხობას გამოადგება ასეთი შენობა კრებებისათვის, რითაც აცდება ზამთრობით ცივ-თოვლში და ზაფხულობით სიცხეებში დგომას.

ორი თვეა გაგზავნილია მაზრაში ოქმი, მაგრამ ჯერ-ჯერობით იქიდან არავითარი ცნობა არ არის. ვიმედოვნებთ, რომ აღმასკომი დააკმაყოფილებს საბჭოს კანონიერ მოთხოვნილებას.

ვალ—ია.

სტუდენტების გაგზავნა პრაქტიკაზე

საქ. შრომის სახალხო კომისარიატის განათლების კომისარიატის და პროფსაბჭოსთან არსებულ სტუდენტების ბიუროს შეთანხმებით საქართველოს უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტების საქართველოს და ამიერ-კავკასიის წარმოებებში გაგზავნის საკითხი შემდეგნაირად არის მოგვარებული:

ჭიათურაში გაიგზავება 45 სტუდენტი, ზაჰესში—5, ჯანმრთელობის დაწესებულებებში—50, თბილისის ჯანმრთ. განყოფილების განკარგულებაში—24, წყალსადენში—4, სახალხო მამულების ტრესტში—5, თბ. ტრამვაიში—18, ელსადგურებში—4.

უმაღლეს სამეურნეო საბჭოს წარმოებებში: თამბაქოს ტრესტში—13, ტყავის ტრესტში—5, ლითონის—7, პოლიგრაფის—5, სპირტის—2, ზეთ-საპნის—4, სათბობ განყოფილებაში—8, ჭრა-კერვის ტრესტში—6, ხის მრეწ. ტრესტში—4, სამთო ქიმიურ კომბინატში—2, თბ. აღმასკომის კეთილმოწ. განყ-ში—1, იუსტიციის კომისარიატში—2, ფინანსთა—4, ცენ. სტატ. სამმართველოში—1, თბ. აღმაკომის საფინ. განყ-ში—4, გამსახლის საავადმყოფოში — 2, გერმანულ საავადმყოფოში — 1, კომუნალურ ბანკში—2, სახ. ვაჭრობის საპაიო ამხ-ბაში—1, მუშკოოპში—2, სააფთიაქო საწყობში—1, მუშკოოპის პასაჟში—1, ა.-კ. ფინანსთა კომისარიატში—6, ა.-კ. სახ. ვაჭრობაში—2, ა.-კ. მებამბეობის კომიტეტში—1, სახელმწიფო ბანკში—3, სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოში—2, „მიასოტორგში“—1, ა.-კ. კოოპ. კავშირში—2, საფეიქრო სინდიკატში—3, „ზარია ვოსტოკას“ სტამბაში—2, ა.-კ. სახ. ჰიდრო-ტეხნიკურ კანტორაში—2, ღრმა-ღელეს აგურის ქარხანაში—1, ბორჯომის შუშის ქარხანაში—3, მინერალურ წყლის ქარხანაში—1, ბიდონის ქარხანაში—1, არსენალში—3, ქარხანა „თემქაში“—1, მექანიკურ ქარხანაში—1, მექანიკურ და თუჯის ქარხანაში (ბათომში)—1, ფოთის ნავთსადგურის ქარხანაში—1, ბორჯომის სახერხ ქარხანაში—1, ბათომის სახერხ ქარხანაში—1, წაბლარაში—1, ქიმიურ-ფარმაც. ლაბორატორიაში—1, ლაბორატორია № 4111—1, არყის სახდელ ქარხანაში (გომში)—1, ლუდის ქარხანა № 6 თბილისში—1, თბილისის სასაკლაოში—2, ჩაქვის ჩაის ქარხანაში—1.

სტუდენტი პრაქტიკანტები მიიღებენ შრომის ხელფასს და სპეცტანისამოსს, თუ ეს საჭირო იქნება.

სტუდენტები იგზავნებიან 4 თვით, გაგზავნა უკვე დაწყებულია.

სტუდენტები იგზავნებიან წარმოებებში მათი სპეციალობის მიხედვით.

იგზავნებიან მექანიკოსები, ტეხნიკოსები, საინჟენერო, საექიმო, ეკონომიურ და ეგრონომიულ და სხვა ფაკულტეტების სტუდენტები.

* * *

მეცხვარეობის გამოკვლევა

(ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა მეცხვარეობის მდგომარეობის გამოკვლევა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში; გამოკვლეული იქნა აგრეთვე საკითხი მატყლის თვითღირებულების შესახებ.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მეცხვარეობა საერთოდ ამიერ-კავკასიაში მეტად მძიმე მდგომარეობაშია. აზერბეიჯანის გარდა ყველგან ადგილი აქვს საძოვრების ნაკლებობას, სრულებით მოწესრიგებული არ არის ურთიერთობა მეცხვარეებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, არ არის საქონლის გასარეკავი გზები, მეტად სუსტადაა დაყენებული სავეტერინარო დახმარება; ყველაფერი ეს იწვევს მატყლის თვითღირებულების გადიდებას; მატყლის თვითღირებულება ხშირად აღემატება დაწესებულ ფასებს.

ამასთანავე ამიერ-კავკასიაში არის მრავალი ძვირფასი ჯიშის ცხვრები, რომლებიც სათანადო მოვლის პირობებში შეუძლიათ დიდი როლი ითამაშონ როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მრეწველობაში; ეს ცხვრები იძლევიან კარგი ღირსების მატყლს, რომლიდან შეიძლება ძვირფასი სამრეწველო ნედლეულის დამზადება.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ გამოკვლევის მასალების გაცნობის შემდეგ შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს მეცხვარეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ამიერ-კავკასიაში.

* * *

სანიტარულ-ტეხნიკურ და კომუნალურ მუშაკთა თათბირი

დღეს, დილის 9 საათზე გაიხსნება სრულიად საქართველოს კომუნალურ მეურნეობის განყოფილებების გამგეთა სანიტარულ-ტეხნიკურ მუშაკთა წარმომადგენლების გაერთიანებული თათბირი.

თათბირს იწვევს შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის კომუნალური განყოფილება. გასარჩევია მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც მაგალითად, ადგილობრივი ფინანსები და ადგილობრ. ბიუჯეტი, საბჭოთა აღმშენებლობის მორიგი ამოცანები, საბინაო პოლიტიკა და საბინაო აღმშენებლობა, საგზაო საქმე და ტრანსპორტი, ქალაქების კეთილმოწყობა, ელექტროფიკაცია, წყალთა მეურნეობა, ხანძრისაგან დაცვის საქმე, სახელმწიფო დაზღვევა და სხვა.

თათბირის მიზანია რესპუბლიკის ქალაქების კომუნალურ მეურნეობათა მორიგი ამოცანების გამოკვლევა და მიმდინარე საქმიანობის გაჯანსაღება.

* * *

საქონლის ჭირი

გარდა საქონლის ჭირისა საქართველოში უკანასკნელ წლების განმავლობაში ძლიერ გახშირდა შინაური საქონლის სხვა ავათმყოფობებიც.

განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს მეურნეობას ღორის ჭირმა, ცხვრის ყვავილმა და ფრინველების ჭირმა.

მეღორეობა ჩვენში უმთავრესად განვითარებულია კახეთში და სამტრედიის რაიონში. ჭირმა ამ რაიონებში დასწყვიტა დიდძალი ღორი.

მარტო შირაქის ველზე ზამთრის განმავლობაში ცხვრის ყვავილმა იმსხვერპლა 20 ათასამდე ცხვარი.

წვრილფეხა საქონლის ასეთ სენთან საბრძოლველად ჩვენში არსებობს საექიმო სადგური ოსიაურში. ამ სადგურზე მზადდება მხოლოდ წვრილფეხა საქონლის ავათმყოფობის საწინააღმდეგო წამლები.

ამჟამად გადაწყვეტილია სადგური კიდევ უფრო იქნეს გაფართოებული, რომ ჩვენში სრულებით მოსპობილ იქნეს საქონლის დაავათმყოფება.

წითელ ჯარში

ბეჭდვითი სიტყვა წითელ არმიაში

წითელარმიელის გათვითცნობიერების, აღზრდის და წითელი არმიის საბრძოლო უნარის განმტკიცებაში ბეჭდვითი სიტყვას უაღრესი მნიშვნელობა აქვს. ეს გასაგებიც არის. ჩვენი წითელარმიელი იწრთვნება არა ისე, როგორც სხვა სახელმწიფოების ჯარის კაცი. წითელარმიელთა აღზრდას საფუძვლად უდევს გამომუშავება მისგან შეგნებული და რევოლუციისათვის თავდადებული მებრძოლის და პოლიტიკურად მომზადებული მოქალაქის. წითელი არმიელი არ შეიძლება იდგეს პოლიტიკის გარეშე, არამედ იგი უნდა იყვეს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მონაწილე.

ამიტომ, წარმოუდგენელია წითელარმიელის აღზრდა, თუ მასში ფართე ადგილი არ აქვს დათმობილი ბეჭდვითი სიტყვას.

დღეს თუ გადავხედავთ ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობას წითელ არმიაში ვიხილავთ შემდეგ სურათს: რესპუბლიკათა კავშირში გამოდის 19 წითელარმიელთა საოლქო გაზეთი, თვითეულის ტირაჟი აღემატება 8.000 ცალს, 6 ეროვნულ უმცირესობათა გაზეთი და ერთი სალიტერატურო-სამხატვრო წითელარმიელთა ჟურნალი.

ფართედ არის დაყენებული კედლის გაზეთების საქმე, რომელთა რიცხვი აღემატება 5.000 ცალს.

მაგრამ, წითელარმიელი თავისი გაზეთების გარდა კითხულობს სამოქალაქო გაზეთებსაც. ნაწილების მიერ, იმ თანხებით რომელიც ეძლევა ჯარს სახელმწიფოსაგან, გამოწერილია 30.000 ცალი სამოქალაქო გაზეთის. თუ მივიღებთ მხედველობაში გაზეთების ინდივიდუალურათ გამოწერას, ეს რიცხვი დიდათ გაიზრდება.

აქ საგულისხმიეროა საქმის ერთი მხარე: წითელარმიელთა პრესა არის არა მხოლოდ წითელარმიელთათვის, არამედ ის არის წითელარმიელის პრესა სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: იგი სცოცხლობს წითელარმიელების ძალებით. ამას ამტკიცებს სამხკორთა ქსელის რიცხობრივი შემადგენლობა: წითელარმიელთა გაზეთებს ჰყავს 10.000 და კედლის გაზეთებს 30.000 კორესპონდენტი.

გაზეთებში შუქდება სწავლების, ყოფა-ცხოვრების, აღზრდის და სხვა მრავალი საკითხი. მეთაურთა შემადგენლობა ყურადღებით ეპყრობა სამხკორის ყოველ შენიშვნას. თვით წითელარმიელი პატივსა სცემს თავის გაზეთს და გაჭირვების დროს მიმართავს მას. კავშირი გაზეთსა და წითელარმიელთა შორის მჭიდროა. წითელარმიელი ყოველ საკითხზე პოულობს პასუხს თავის გაზეთში. ეს არ არღვევს დისციპლინას, არამედ უფრო ამტკიცებს მას.

კავშირი გაზეთსა და წითელარმიელის შორის არა სწყდება ამ უკანასკნელის წასვლის შემდეგ უვადო შვებულებაში. დათხოვნილ არმიელთა 60 პროცენტი იწერს გაზეთს სოფლად.

ე. ხ—ი.

სამოქალაქო ბიბლიოთეკები და სამხედრო პროპაგანდა

თბილისში და სამაზრო ქალაქებში ბლომად მოგვეპოვება სამოქალაქო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. დღეს-დღეობით ეს ბიბლიოთეკა-სამკითხველოები არ ეწევიან არავითარ მუშაობას სამხედრო პროპაგანდის დარგში. საჭიროა, რომ მიექცეს ყურადღება ამ გარემოებას, ვინაიდან სამოქალაქო ბიბლიოთეკები შეიძლება ფართოდ იქნენ გამოყენებული სამხედრო პროპაგანდისათვის.

უპირველეს ყოვლისა სამოქალაქო ბიბლიოთეკები უნდა შეივსოს პოპულიარული სამხედრო წიგნებით. სამხედრო განყოფილება უნდა იყვეს ყოველ ბიბლიოთეკაში. აგრეთვე სამკითხველოებში უნდა მოიძებნებოდეს სამხედრო ხასიათის ჟურნალ-გაზეთები. ეს აუცილებელია დღევანდელ პირობებში.

ყველა ბიბლიოთეკა-სამკითხველოში აუცილებელია მოწყობა სამხედრო კუთხის, სადაც იქნება გამოფენილი შესაფერისი ლიტერატურა. კუთხე მორთულ უნდა იქნას სამხედრო პლაკატებით და ლოზუნგებით.

საცნობო განყოფილება, რომელიც მოეწყობა ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთან, დიდ სამსახურს გაუწევს სამხედრო პროპაგანდას. მის საშუალებით მოქალაქეებს ექნებათ შეძლება გაეცნონ სამხედრო მშენებლობის სხვა და სხვა საკითხებს.

საჭიროა, აგრეთვე, რომ წითელი არმიის დღესასწაულების ჩატარების დროს ეწყობოდეს სათანადო წიგნების გამოფენა, სდგებოდეს წიგნების სარეკომენდაციო სიები. ეს დააინტერესებს მოქალაქეთ და აღძრავს სურვილს უფრო ახლო გაიცნონ დღესასწაულის შინაარსი.

ჯარის ნაწილებმა, ყველა ზემო ნათქვამის განხორციელებისთვის, უნდა აღმოუჩინონ დახმარება სამოქალაქო ბიბლიოთეკებს გამოცდილ ამხანაგების მიმაგრებით, რომელნიც მოაწყობენ სამხედრო განყოფილებებს და გაუწევენ მათ ხელმძღვანელობას.

აგრეთვე სამოქალაქო ბიბლიოთეკებს მმართვე გააბან კავშირი სამხედრო ბიბლიოთეკებთან და ისარგებლონ მათგან საჭირო წიგნებით და მასალით.

ე. ხ—ი.

ყაზარმის ცხოვრება და მუშაობა.

(მე-4-ე ლეგიონი).

ჩვენი ლეგიონის სამხკორთა წრე ჩამოყალიბდა მარტში. არჩეული იყო ბიურო, რომელიც ხელმძღვანელობს სამხკორთა მუშაობას წერტებზე. ამჟამად წერტებზე მდგომ ნაწილებმა მოიყარეს თავი ლეგიონში. გაერთიანდენ სამხკორები და წრეც ამუშავდა.

შესდგა წრის გაერთიანებული კრება, მოსმენილ იქნა მოხსენება მუშაობის შესახებ, რაც დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

ბიურო იღებს ზომებს, რომ წრის მუშაობაში ჩაითრიოს მეტი ცვალებადები.

ა. ი.

ჩვენი საქმიანობა.

(მე-4-ე ლეგ. მე-8-ე ასეული).

ასეულში დაიწყო სისტემატიური მეცადინეობა. ახალწვეულები ენერგიულად ეკიდებიან მუშაობას. დიდათ არიან დაინტერესებული სამხედრო საქმით.

ძველი წითელარმიელები ყოველმხრივ უწყობენ ხელს, რომ ახალწვეულებმა შეითვისონ საჭირო ცოდნა.

მეთაურებიც ხშირად არიან არმიელებთან და აწარმოებენ მათთან საუბრებს სხვადასხვა საკითხებზე.

ხ—ი.

„წითელი არმიელი“.

გაზეთი „წითელი არმიელი“ 1-ლ ივნისიდან გამოვა კვირაში სამჯერ: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

ლითონის ტრესტში

ლითონის ტრესტთან ხარჯების შესამცირებლად მოწყობილმა ადგილობრივმა კომისიამ გადაათვალიერა ტრესტის სხვადასხვა განყოფილებების მუშაობა, რის შემდეგ შესაძლებლად სცნო კომერციულ განყოფილებაში შემცირებული ყოფილიყო ხარჯები 4 აგენტის შესანახად.

ვინაიდან ტრესტის ნაწარმოების მთავარი მომხმარებელნი სახელმწიფო დაწესებულებანი და რკინის გზაა, რომლებიდგანაც შეკვეთების მიღება შეიძლება აგენტების შუამავლების გარეშე, გაუქმებულ იქნა აგენტების თანამდებობა. ამ ღონისძიებით თვიურად დაზოგვილ იქნება 500 მანეთი.

ამავე კომერციულ განყოფილებაში გაუქმებულ იქნა ცენტრალური საწყობის გამგის თანაშემწის თანამდებობა.

სავაჭრო სექტორში გადასინჯულ იქნა მთელი შტატი, რის შემდეგაც გაუქმებულ იქნა მთელი რიგი თანამდებობებისა. მაგ. ბუღალტერიაში შემცირეს ბუღალტერის თანაშემწე ორი მოანგარიშე და ერთიც მინდობილობათა აგენტი.

სავაჭრო სექტორს ქალაქში აქვს სამი მაღაზია. სექტორი მოთავსებულია იმავე შენობაში, სადაც მაღაზია № 2. ამიტომ კომისიამ შესაძლებლად სცნო სექტორის გამგისა და მაღაზიის გამგის თანამდებობათა შეთავსება.

პირველ მაღაზიაში საქმის დაუზიანებლად 5 მოსამსახურის ნაცვლად დატოვებულ იქნენ ორი მოსამსახურე, მესამე მაღაზიაში გააუქმეს მაღაზიის გამგის თანაშ. თანამდებობა. ტრესტის კანცელარიაში შემცირებულ იქნა ორი რეგისტრატორი.

ამჟამად ს. მ. უ. ს. კომისია აწარმოებს ბუღალტერიის მუშაობის გამოკვლევას.

მიღებულ ღონისძიებებით ლითონის ტრესტში მთელი წლის განმავლობაში დაზოგვილ იქნება დაახლოებით 12 ათასი მანეთი.

ამჟამად კომისიები მუშაობენ აგრეთვე ტრესტის ქარხნებში.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

მომჭირნეობა ოჯახში

მომჭირნეობა ყველგან და ყველაფერში. ეს აუცილებელი პირობაა პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასახულ ამოცანის წარმატებით განსახორციელებლად. ამიტომ, ცხადია, მომჭირნეობის [illegible] არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც მხოლოდ დაწესებულება-წარმოებათათვის და საზოგადოებრივ ორგანოებისათვის სავალდებულო ამოცანა. მან საპატიო ადგილი უნდა დაიჭიროს ჩვენს პირად ცხოვრებაში, მშრომელი მასის ოჯახურ მეურნეობაშიც.

ლენინგრადში ამ მხრივ საყურადღებო მოვლენას აქვს ადგილი. გაზეთ „ლენინგრადსკაია პრავდა“-ს (№ 98) გადმოცემით.

„ლენინგრადის წარმოებათა მუშები და მუშა-ქალები შემდეგნაირათ გამოეხმაურენ მოწოდებას მომჭირნეობის შესახებ, რომ ამით გაამაგრონ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს მეურნეობა.

ქარხანა „ელექტროსილა“-ს მუშებმა შეიტანეს შემნახველ სალაროში 500 მეტი განცხადება, რომელშიაც ითხოვენ დაუჭირონ მათ ყოველთვიურად განსაზღვრული თანხა პირადი მომარაგებისათვის.

ამნაირადვე მოიქცნენ პირველ ელსადგურის, „წითელ პუტილოვეც“-ის „რუსკი დიზელ“-ის, „კრასნაი ვიბორჟეც“-ის და სხვათა მუშები. მუშების ცოლებმაც შეიტანეს შემნახველ სალაროებში გადარჩენილი ფული.

[illegible] მასიური მოძრაობა მუშათა ბიუ[illegible]ნეობის გასატარებლად.

[illegible]ველ სალაროებმა მიიღეს ყოველგვარი ზომები, მუშა-შემნახველებისათვის აქ მისწრაფების შესამსუბუქებლად. თითქმის ყოველ მსხვილ წარმოებაზე არის შემნახველ სალაროს რწმუნებული, რომლის საშუალებითაც შეიძლება სალაროში ფულის როგორც შეტანა, ისე უკანვე მიღება. მუშას ამისათვის არ სჭირდება ქარხნიდან სადმე წასვლა და მთელ საქმეს უნდება 5—10 წუთამდე.

მუშა მიხვდა, რომ ფულის ამგვარი შენახვით ის ეხმარება როგორც თავის თავს, ისე მისივე სახელმწიფოს, ვინაიდან შემნახველ სალაროში შეტანილი თითეული მანეთი ამაგრებს, როგორც პირად მეურნეობას, ისე მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს მეურნეობას.“

ვფიქრობთ, რომ ზედმეტი არ იქნებოდა ამგვარი წესის შემოღება ჩვენს წარმოება-დაწესებულებებშიაც. კიდევაც რომ იყვენ დღეს ფულის შენახვის მსურველები მუშა-მოსამსახურეთა შორის (და ასეთები უსათუოდ მოიძებნებიან), მათ ხშირად არც დრო და არც საშუალება ხელს არ უწყობს მიაბარონ ფული შესანახად სალაროში.

საჭიროა ამ საქმის გამარტივება ლენინგრადის მაგალითის მიხედვით, საჭიროა შემნახველი სალაროები დაუახლოვოთ მუშა-მოსამსახურეთა მასას. ეს ერთი საუკეთესო საშვალებათაგანი იქნება მუშის ბიუჯეტში მომჭირნეობის დასაცავად.

სპეციალური თანხების ხარჯვის წესი

უკანასკნელ ხანებში ადგილი აქვს სახელმწიფო სამეურნეო წარმოებების მიერ ხარჯების გაწევის წესის დარღვევას. ამის გამო საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭომ დაადგინა—სასტიკად იქნეს დაცული ყველა არსებული წესები ამ საკითხის შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული წარმოებების მიერ თავისი სპეციალური კაპიტალის ხარჯვას. უკანასკნელი ხშირად პირდაპირ დანიშნულებისამებრ არ იხარჯება, ასე, მაგალითად, სათადარიგო კაპიტალი, რომლის დანიშნულებაა წარმოებაში შესაძლებელი ზარალის დაფარვა, ხშირად იხარჯება წარმოებების მოწყობილობის შესაძენად, საამორტიზაციო ფონდი—ახალი შენობების ასაგებად და სხვა.

ამ მოვლენას, რომელიც არღვევს დისციპლინას კაპიტალის ხარჯვის საქმეში, შეუძლია შეაფერხოს მუშაობა, და სერიოზული ფინანსიური დაბრკოლება შექმნას წარმოების მუშაობაში.

შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილება ამ მხრივ აწესებს განსაზღვრულ დებულებას, რომლის მიხედვით სპეციალური დანიშნულების კაპიტალი შეიძლება დახარჯული იქნეს მხოლოდ პირდაპირ დანიშნულებისამებრ.

პრაქტიკაში ადგილი აქვს აგრეთვე ისეთ მოვლენებსაც, როდესაც მრავალი წარმოებები, როდესაც უთანხმოებას აქვს ადგილი მოგების განაწილების დროს, სრულებით სწყვეტენ მათგან კუთვნილ თანხების შეტანას ხაზინაში.

ამ არანორმალური მდგომარეობის წინააღმდეგ, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე, მიმართულია შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილება, რომლის მიხედვით სადაო საკითხის შრომის და თავდაცვის საბჭოში, ან და ეკონომიურ საბჭოში გადატანამ არ უნდა შეაჩეროს მოგების განაწილება და ხარჯვა.

ამის გამო მნიშვნელოვნად ძლიერდება სარევიზიო კომისიების (ან და სათანადო ორგანოების როლი); მათ ევალებათ თვალყური ადევნონ თანხების ხარჯვას და თავის დროზე აცნობონ სახელმწიფო ორგანოებს უკანონოთ გაწეული ხარჯების შესახებ.

ფასების დამკლებ კომისიაში

ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველოსთან არსებულმა საცალო ფასების დამკლებმა კომისიამ თავისი მუშაობის დასაწყისში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ფასების დაკლებას სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებზე, ვინაიდან ფასების ზრდა უკანასკნელად განსაკუთრებით თვალსაჩინო სწორეთ ამ საგნებზე იყო.

ამ მხრივ პირველ რიგში იდგა ხორცის ფასების საკითხი. კომისია თავისი მუდმივი შეთვალყურეობის ქვეშ აყენებდა ხორცის ბაზარს, რომ მიღებული ღონისძიებანი ნამდვილად ყოფილიყო გატარებული როგორც ხორცის გამამზადებელ, ისე ხორცით მოვაჭრე ორგანიზაციების მიერ.

ყველა ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ შინავაჭრობის კომისარიატმა შესძლო ხორცის საცალო ფასის 46—50 კაპეიკიდან 32 კაპეიკამდე დაწევა, რაც კიდევ უნდა შემცირდეს მომავალში, როგორც კი დასაკლავი საქონლის მორეკვა გაიზრდება, რასაც, დაახლოებით, ივნისის შუა რიცხვებში უნდა მოველოდეთ.

საბათუმო ფასი ხორცისა აგრეთვე შემცირებული იქნა 18—20 მანეთიდან 11 მან. 10 კაპეიკამდე.

პარალელურად კომისია აწარმოებდა ფართლეულით საცალო ვაჭრობის გამოკვლევას, რომელიც ეხლაც გრძელდება და სულ ახლო მომავალში დასრულდება. უკვე შეგროვილია მდიდარი მასალა ამ საკითხზე, რომელიც შინავაჭრობის კომისარიატს საშუალებას მისცემს ნათელი წარმოდგენა ექონიოს ფართლის ფასის შესახებ.

დღემდე კომისიამ ჩაატარა გამოკვლევა საფეიქრო სინდიკატის საცალო ვაჭრობის მაღაზიაში, სელის სამმართველოს საცალო მაღაზიაში და ლენინაკანის ნარმის ფაბრიკის წარმომადგენლობის მაღაზიაში.

გარდა ამისა, დამუშავების სტადიაში იმყოფება საკითხი ფასების დაკლების შესახებ ტყავეულობის საქონელზე და, როგორც ადგილობრივად დამზადებულ, ისე საბჭოთა კავშირიდან შემოტანილ ფეხსაცმელებზე. ნაწილობრივად უკვე შეგროვებულია მასალა აღნიშნული საკითხის შესახებ.

* * *

წყალდიდობის შედეგები

აჭარისტანი

მაისის უკანასკნელი დღეების გადაუღებელი წვიმების გამო, აჭარისტანის მაღლობ ადგილებიდან დაიძრნენ ნიაღვრები. ბევრ ალაგს მინდვრები ტბით დაიფარა. მდ. ჭოროხის სიმაღლის დონემ ორი-სამი მეტრით იმატა. ალაგ მდინარე გამოვიდა კალაპოტიდგან და წყლით დაჰფარა სიმინდით დათესილი ყანები. სოფელ ადლიის რაიონში გაძლიერდა ზღვის წყალის ხმელეთის ნაპირებზე გადმოსვლა. ზღვის მიერ წალეკილია კულტურული მცენარეთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

29 მაისს მახინჯაურის რაიონში მოვიდა კოკისპირული წვიმა. ადიდებულმა საკალმახე წყალმა სრულიად წარეცხა მახინჯაურის რაიონში მიმავალი გზატკეცილი და ხიდები. ალაგ მდინარემ მოგლიჯა და წალეკა თავისი ნაპირები მცენარეულობით და ნათესებით.

გურია

მაისის დამლევის გადაუღებელი წვიმების და ნიაღვრების გამო გადიდდენ გურიის პატარა მდინარეები. განსაკუთრებითძალიან მოიმატა მდ. ნატანების და მდ. ჯუჯის წყალმა, რომელიც ალაგ-ალაგ კალაპოტიდგან გადმოვიდენ. თუ წვიმები გაგრძელდა, ქალაქ ოზურგეთს და ამ მდინარეების ნაპირად მდებარე სოფლებს და ყანებს მოელის წყალდიდობის საფრთხე. ოზურგეთის სამაზრო აღმასკომი უკვე შეუდგა მდინარის ნაპირების ქვის ჯებირებით გამაგრებას ქალაქის რაიონში. ჯებირების აგება დამთავრდება ამ დღეებში.

ჯავახეთი

ჯავახეთის მაღლობ ადგილებში სიცივეებს და თოვლს მოჰყვა კოკისპირული წვიმები და ნიაღვრები. თავფარავნის ტბის საძოვარ რაიონში დაიღუპა რამოდენიმე ცხვრის ფარა. მწყემსებმა ცხვარი გარეკეს დაბლობ ადგილებში.

კახეთი

მაისის უკანასკნელ დღეებში მოსულ შეუწყვეტელ წვიმების გამო ადიდდენ კახეთის პატარა მდინარეები და ხევები, რომლებმაც დიდათ დააზიანეს ადგილობრივი მცხოვრებლები. ღელეებმა იმდენად მოიმატეს, რომ რამოდენიმე დღით სოფლებს შორის მისვლა-მოსვლა შეწყდა, რადგან მოუხერხებელი გახდა მოზღვავებულ ხევებზე გადასვლა. განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენა ადიდებულმა დურუჯმა სოფელ ყვარელს, სადაც მდინარის მიერ წალეკილ იქნა დათესილი ყანები, ბაღვენახები და ბევრი შინაური პირუტყვი.

ახმეტის ხევმა წალეკა და გაიტაცა 40 დესეტინა დათესილი ყანა. მდ. კისისხევმა წაიღო 5 წისქვილი, დიდი ზიანი მიაყენა აგრეთვე მდ. თურდომ მის პირად მდებარე სოფლებს. მდ. ალაზანმა ავდრიან დღეებში დაახრჩო 6 ადამიანი, 8 ცხენი და ორი უღელი კამეჩი.

* * *

მაუდის ქარხანა დიდუბეში

თბილისის მაუდის ქარხანა დიდუბეში აგებული იქნება ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ქარხნის შენობის აგება იწარმოებს საამშენებლო მანქანების საშუალებით, ნაწილი ამ მანქანების შეძენილ იქნება ზაჰესისაგან. მიწის სამუშაოები ქარხნის ასაგებად უკვე დაიწყო.

მატყლზე შესასრულებელი ყოველგვარი სამუშაოები თავმოყრილი იქნება ფაბრიკის შენობის მთავარ კორპუსში. ნედლი მასალის მიწოდება საწყობებიდან იწარმოებს მექანიკური საშუალებით. ფაბრიკა ერთი მხრიდან მექანიკური გზით მიწის ქვეშ მიიღებს ნედლ მასალას, ხოლო მეორე მხრიდან უკვე გამოუშვებს სავსებით დამუშავებულ ფაბრიკატს გამზადებულ შევიოტის სახით. საწყობის შენობა დამზადებულ ფაბრიკატისათვის აგებულ იქნება რკინის გზის ხაზთან—იმ მიზნით, რომ მოეწყოს ფაბრიკატის სასწრაფო გადაგზავნა დანიშნულ ადგილებზე.

ფაბრიკაში მუშაობა იწარმოებს მთელი წლის განმავლობაში ზამთარ-ზაფხული. იმ მიზნით, რომ ზაფხულში ფაბრიკაში მუშაობა შემაწუხებელი არ იქნეს, ფაბრიკის შენობის რკინა-ტინოვის სახურავი დაფარული იქნება აზბესტის ფენით. ფაბრიკასთან აგებული იქნება დამხმარე შენობები: მუშების სამუშაოსათვის შესამზადებელი შენობა, აბანო და სხვა. მუშაობის დაწყების წინ მუშები საგანგებო შენობაში გადაიცმენ საწარმოო სპეც-ტანსაცმელს, ხოლო მუშაობის დამთავრების შემდეგ დაიბანენ ტანს და ჩაიცმენ სუფთა ტანსაცმელს.

ფაბრიკასთან ერთი დესეტინის სივრცეზე მოწყობილი იქნება ბაღი ყვავილნარებით და ბოსტნებით. ბაღში აგებულ იქნება კლუბის მოსათავსებელი შენობა. კლუბის წინ პავილიონი. აქვე მოეწყობა ფანჩატურა საზაფხულო კინო-სეანსებისათვის, სასპორტო მოედნები და სხვა.

* * *

სალებავების წარმოება

მშენებლობის გაფართოების და გაძლიერების გამო თანდათან იზრდება მოთხოვნილება სხვადასხვა მინერალურ სალებავებზე, რომლის უდიდესი ნაწილი ომამდე რუსეთში მხოლოდ უცხოეთიდან შემოქონდათ.

ცენტრალურ საკავშირო ორგანოების მიერ გადაწყვეტილია მრეწველობის სხვა დარგებთან ერთად საქართველოში საფუძველი ჩაუყარონ სალებავების წარმოებას. სალებავების მადნები აღმოჩენილი და გამოკვლეულია საქართველოს შემდეგ კუთხეებში: ახალციხის მაზრაში (ინფუზორატი), შუხროვანში (გლაუბერის მარილი), ქვემო-იმერეთი (კაოლინი, ბარიტი, ოხრა), ბორჯომში (გარპიუსი) და სხვაგან. ზემოხსენებულ მადნების ნაგროვებიდგან მზადდება ულტრამარინი, რომელსაც განსაკუთრებით საჭიროებს საბჭოთა კავშირის გაძლიერებული მშენებლობა. მადნების სიუხვე და ამავე დროს დიდ ძალი ამჟამათ უქმად მყოფი მუშა ხელი ქმნის ხელსაყრელ პირო[illegible]ს წარმოების განსავითარებლად. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილი აქვს ულტრამარინის ქარხანა მოაწყოს ბორჯომში, რომელიც თითქმის ერთი მანძილით არის დაშორებული ყველა ზემოხსენებულ მადნების მდებარეობას. ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის წინადადებით სამთო ქიმიურმა კომბინატმა დაამუშავა ულტრამარინის საწარმოო ქარხნის აგების პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად უკვე წარედგინა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს. პროექტით ქარხანა მოეწყობა ბორჯომში და დაამუშავებს სულფატის და ტუტის ულტრამარინის ფხვნილის სახით, და ლილას (ულტრამარინს) მრგვალ მარცვლების სახით.

ქარხნის წლიური ნაყოფიერება იქნება 25 ათასი ფუთი; ქარხნის ასაგები ხარჯთაღრიცხვა უდრის— 552.138 მანეთს.

ულტრამარინის გასასაღებელ ბაზარს წარმოადგენს საბჭოთა კავშირი, ოსმალეთი [illegible]

მუშათა ცხოვრება

ჩააჩუმეთ ეს დედაკაცი

(მილიციის და პროკურორის საყურადღებოთ)

მეორე რაიონში, ტყის შეს., № 53, სცხოვრობს მოქ. ქეთევან ისაკის ასული ყიფიანი. მას აქვს სამთვალიანი საკუთარი სახლი. ორი ოთახი გაქირავებული აქვს მუშა-მოსამსახურეზე. ის სცდილობს ამ მდგმურების გასახლებას, რადგან სურვილი აქვს ამ ოთახების დიდ ფასებში გაქირავების. იგი ყოველგვარ საშუალებას ხმარობს, რომ რაიმე შარი მოუდოს მდგმურს და მერე სასამართლოში უჩივლოს. ამ დროს ის ჩვენც გვაწუხებს მოწმებად გვასახელებს, და თუ მის სასარგებლოდ არ ვილაპარაკეთ, გვლანძღავს, გვეჩხუბება.

ჩვენ მუშა ხალხი ვართ, დაღლილები მუშაობისაგან და დასვენება გვჭირია—და არა კომისარიატებში, სასამართლოში სიარული. ამიტომ უმორჩილესი თხოვნაა მიაქციოთ მას ყურადღება, გამონახოთ რაიმე საშუალება მის წინააღმდეგ, რომ ბოლო მოეღოს მის ლანძღვას და გინებას.

ხელს აწერს 9 მდგმური.

გვიხსენით ამ ავარებისაგან.

კალინინის (ყოფ. ნიკოლოზის) ქუჩაზე, № 95, არის სახლი გძელიძისა, სადაც უმრავლესობა მცხოვრებლებისას შეადგენენ მუშა-მოსამსახურენი. ამ ეზოში ცხოვრობს სამი ახალგაზრდა: შარაბიძე, მელქაძე და კალაძე, რომელთაც უჭირავთ ერთი ოთახი და თავიანთი მხეცური ყოფა-ქცევით მოსვენებას არ აძლევენ ამ ეზოში მცხოვრებ მშრომელ ხალხს; ყოველდღე სისტემატიურად ეს აღვირახსნილი ვაჟბატონები შეჰყრიან თავიანთ დამქაშ ამქრებს და სტეხენ მთელი დღე და ღამე საშინელ ღრიანცელს და ბურ-ზაურს, რომელიც ხშირად ჩხუბით თავდება...

ეს კიდევ არაფერი: თუ ვინიცობაა ვინმე მდგმურთაგანმა გაბედა და მიუთითა მათ წესიერებისაკენ, ეს უკანასკნელნი მასაც შეურაცხყოფით უმასპინძლდებიან და, ვაი იმას, თუ დროზე არ დაანებებს თავს ამ გათავხედებულ საზიზღრებს...

თბილისის ადმინისტრატიული განყოფილება, იმედია, მიიღებს სათანადო ზომებს ამ ავარების წინააღმდეგ.

შეწუხებულნი.

ალაგმეთ თავხედი დედაკაცი

ბალომის ქუჩა, სახლი № 16-ში, ცხოვრობს ვინმე ოლია ჩხაიძე. ეს ქალბატონი არ აძლევს მოსვენებას მშვიდობიან მცხოვრებლებს. წარსულ წელს აგვისტოში წაეჩხუბა აქ მცხოვრებ ილისაბედ ყიფიანს, სრულებით უდანაშაულო ქალს და ცემა დაუპირა, მაგრამ მან შეასწრო ოთახში და გადირჩინა თავი. ეს აცნობეს მე-12 რაიონის მილიციის უფროსს; აქ მას დაადებინეს ხელ-წერილი, რომ არ გაიმეორებია ასეთი მოქმედება. მაგრამ ეს ქალბატონი მაინც არ ისვენებს. 11 აპრილს წაეჩხუბა მოქ. ელენა მიქაუროვს, შეუვარდა სახლში და გალახა. გალახული მიქაუროვი სამსახურს მოწყდა 7 დღით.

აღნიშნულ სახლში ცხოვრობს 22 მდგმური; სულ მუშებია (რკინის გზის და ტრამვაის).

მოვითხოვთ დაგვიფარონ ამ თავაშვებულ დედაკაცისაგან ერთხელ და სამუდამოდ.

მუშა ჭველუთელი.

გაფლანგვებს ბოლო უნდა მოეღოს.

(პროფსაბჭოს საყურადღებოდ).

22 მაისს სატრანსპორტო კავშირის ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის დავალებით, როგორც პროფკურსანტმა, მოვახდინე გამოკვლევა „ზაკტპო“-ს გარაჟის ადგილკომის მუშაობის. ვეწვიე ადგილკომს, სადაც დამიხვდა ტეხნიკური მომუშავე აკაკი გარუჩავა. გადავათვალიერე ყველა საქმეები და აღმოვაჩინე მთელი რიგი დეფექტებისა, სხვათა შორის, ფულის გაფლანგვაც. როდესაც შევეკითხე გარუჩავას, თუ კავშირის რამდენ წევრს აერთიანებს ადგილკომი, მან პასუხი ვერ მომცა, ხოლო დაკმაყოფილდა ასეთი პასუხის მოცემით: „ეხლა ვაპირობ სიის შედგენას“-ო. როდესაც გავსინჯე სალაროს წიგნი, აღმოჩნდა, რომ საწევრო ანარიცხების სალაროს წიგნში არ ატარებდა და კავშირის წევრების წიგნაკშიაც არ ნიშნავდა ხოლმე, არამედ თვითონ ითვისებდა. ჩემს შეკითხვაზე, თუ სად არის ეს ფული, მან მიპასუხა—„პასუხისმგებელ მდივანს აქვს“-ო. მაგრამ, როდესაც მოვიდა პასუხისმგებელი მდივანი, აღმოჩნდა, რომ მას ჰქონდა 56 მანეთი 23 კაპ., გარუჩავას კი 28 კაცის საწევრო ანარიცხების ნაწილი 1-ლ იანვრიდან 1-ლ მაისამდე ას ოცი მანეთი და 18 კაპეიკის რაოდენობით მოუხარია თავის პირადი საქმეებისათვის, ნაცვლად იმისა, რომ უნდა შეეტანა ცენტრალურ გამგეობის სალაროში.

საჭიროა მიცემულ იქნეს პასუხისგებაში ფულის გამფლანგველები.

ვალერიან სიხარულიძე.

დაეხმარეთ უმწეო მოხუცებულ დედას

ცხოვრებაში ბევრი გვინახავს უდიერი და გათახსირებული „ადამიანი“, მაგრამ ისეთი, როგორიც არის ვანო ნიკოლას ძე ხეჩუმოვი, არა. ხსენებული პირი ცხოვრობს მალაკნის ქუჩაზე, სახლი № 21-ში. მას ჰყავს დედა, რომელსაც იგი იმდენად უდიერად ეპყრობა, რომ ენითაც ძნელი გამოსათქმელია. მას ცოლმა ვეღარ გაუძლო და იგი ბევრი მოთმინების შემდეგ გაეყარა და გათხოვდა, შვილი კი ქმარს დაუტოვა. სამაგიეროდ ამ გამხეცებულმა მუშამ სახლში შემოიყვანა ვიღაც ბოროტი ქალი და არც ერთი ღამე ისე არ გაივლის, რომ მათ სახლში ჩხუბი და ცემა-ტყეპა არ იყოს. რამოდენიმე დღის წინეთ შვილმა სცემა საბრალო მოხუც დედას და ბოლოს, ცხვირპირით სისხლში ამოსვრილი, ჩააგდო სადღაც ბნელ კუთხეში და რამდენიმე დღე იქ იტანჯებოდა იგი, ვიდრე მეზობლები გაიგებდენ და უშველიდენ. შვილი კი ამ დროს სახლში გარყვნილ ქალთან ერთად საზანდრით ქეიფობდა და საბრალო მოხუცს კი სიმშილით სტანჯავდა. მას იგი არავითარ სახსარს არ აძლევს ცხოვრებისას. საჭიროა ეს მხეცი ვინმემ მოარჯულოს.

მუშკორი გამვლელი.

ლომბარდის [illegible]

26 მაისს საღამოს 6 საათზე, ლომბარდის შენობაში შესდგა ამავე დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება ადგილობრივ კომიტეტის გადარჩევის შესახებ. კრების თავმჯდომარეთ საერთო ხმით იქნა არჩეული ლომბარდის გამგე თენიეშვილი და მდივნათ ამხ. გაბუნია. დღის წესრიგში იდგა სამი საკითხი: 1) ადგილობრივი კომიტეტის მოხსენება მისი მუშაობის შესახებ საანგარიშო დროის განმავლობაში, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება და 3) არჩევნები.

კომიტეტის სახელით მოხსენება გააკეთა პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ცერცვაძემ, რომელმაც აღნიშნა კომიტეტის მუშაობის მიღწევები და ნაკლიც ყველა დარგში.

კომიტეტის მოხსენების შემდეგ სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. ჩანტლაძემ, რომელმაც გააცნო კრებას სარევიზიო კომისიის მუშაობა და ამასთან ერთად აღნიშნა, რომ კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს აღმასკომის კომუჯრედის მდივანმა, კავშირის წარმომადგენელმა და ლომბარდის თანამშრომლებმა. დასასრულ საერთო კრებამ ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: **ლომბარდის მუშა-მოსამსახურეთა კომიტეტის და სარევიზიო კომისიის მუშაობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.** შემდეგ კრება შეუდგა ახალ კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნებს და ერთხმად კომიტეტში გაიყვანა შემდეგი ამხანაგები: იაკობ ცერცვაძე, სიმონ ხუნდაძე და ბაბუცა ბერიძე და ორი კანდიდატი; სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ— ამხ. საბახტარაშვილი, თოხაძე, გაბუნია და ორი კანდიდატი.

კახელ-ქართლელი.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **მიკიტანი მუშებს ტყავს აძრობს.** სოფ. ცაცხვში (ზუგდიდის მაზრა) შავი ზღვის რკინისგზის ბაქანის უკან ჩარჩ კიკი ნაროუშვილს გახსნილი აქვს სამიკიტნო დუქანი. იგი ვაჭრობს საწერილმანოთი და ღვინით. შიგ მას აქვს ნარდი. ამ სამიკიტნოს სისტემატ. ევლინებიან ამ ხაზზე მომუშავე რკინისგზელები და მთელ თავიანთ ხელფასს ხარჯავენ ღვინოში, ან და აგებენ ნარდის თამაშში.

საჭიროა ეს ჩარჩი აქედან აბარგოთ და შეუგნებელ მუშებსაც ასწავლოთ ეკონომიის რე[illegible]

მუშკორი ფ—ლი.

— **უწყლობით ვიტანჯებით.** კოჯორისაკენ მოსახვევ გზაზე გვაქვს ერთად-ერთი წყალსადენი. წყალსადენს ჰყავს ერთი მეთვალყურე, რომელიც მუშაობს განსაზღვრულ საათებში, რის შემდეგ მილი იკეტება. როდესაც წყალსადენი ღიაა, დგება დიდი რიგები და წყლის ამოღებას ვერც კი ასწრებენ განსაზღვრულ საათებში. უწყლოდ რჩება ბევრი მოქალაქე.

უკეთესი იქნებოდა, აღნიშნულ წყალსადენს აღმასკომი სრულებით არ დაკეტავდეს და წყლის საფასურს ჩვენგან ვარაუდად მიიღებდეს. უკეთესია მეტი გადავიხადოთ და ნაკლებად დავიტანჯოთ სამუშაოთი დაქანცულ-დაღლილი მუშა-მოსამსახურენი.

ჩიკ—ტელი.

— **რისთვის ხდება ასეთი ბოროტება?** თბილისის ტელეფონის ქსელის კანცელარიის გამგე მ. ვაშაკიძე 10 მაისიდან ავადმყოფობის გამო გადარიცხული იყო დამზღვევ სალაროზე (16 მაისამდე, ე. ი. ორშაბათიდან კვირამდე). 17 მაისს ის გამოცხადდა ავადმყოფობის შემდეგ სამსახურში და იმ მიზნით, რომ არ დაჰკარგოდა 16 მაისის (ე. ი. კვირის ხელფასი), დასწერა განცხადება, ვითომდა ის შესდგომოდეს მუშაობას 16 მაისიდან. ბოლოს და ბოლოს გამოვიდა ის, რომ დამზღვევ სალაროდან მან აიღო 6 სამუშაო დღის ხელფასი იმდენი, რამდენსაც აიღებდა ქსელში მთელი 7 დღის განმავლობაში. ამგვარად მან მიიღო ჯამაგირი 5 მანეთით მეტი, ვიდრე ეს მას ერგებოდა—ძირითად ჯამაგირის მიხედვით.

საჭიროა ვიცოდეთ, თუ რატომ ხდება ასეთი ბოროტება?

დიხაშხოელი.

მუშათა ქრონიკა

მეოთხე თამბაქოს ქარხანაში.

— **მუშებს ეძლევათ ავანსი.** მეოთხე თამბაქოს ქარხნის ადმინისტრაცია, ნაცვლად მუშკოოპის კრედიტისა, აძლევს მუშებს ავანსებს ჯამაგირის ანგარიშში.

— **რედკოლეგიის მუშაობის გამოცოცხლება.** მუშათა ცხოვრების გაუმჯობესების და წარმოების აწევის მიზნით, მეოთხე თამბაქოს ქარხნის კედლ. გაზ. რედკოლეგიას დაემატა ახალი წევრები.

— **ექსკურსია ზაჰესზე.** მეოთხე თამბაქოს ქარხნის კულტკომისიამ მოაწყო მუშების ექსკურსია ზაჰესზე, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მუშებზე.

— **თეატრის ბილეთების შეძენა.** მოსკოვიდან ჩამოსულ სამხატვრო თეატრის მოსასმენად, მეოთხე თამბაქოს ქარხკომმა შეიძინა მუშებისათვის 300 ბილეთი. მუშები დაესწრენ წარმოდგენებს და დარჩენ კმაყოფილიც.

— **სასადილოს შენობის გაფართოება.** მეოთხე თამბაქოს ქარხკომმა სთხოვა ადმინისტრაციას გააფართოვოს მუშების სასადილოს შენობა.

— **ზედმეტი მუშაობის აკრძალვა.** მეოთხე თამბაქოს ქარხნის დირექტორმა დაავალა მუშებს ზედმეტი მუშაობა, მაგრამ ქარხკომმა არ მისცა ნება და სამუშაოზე მოწვეული იქნენ უმუშევრები.

— **მუშების შტატში გადარიცხვა.** ვინაიდან რამოდენიმე თვე მუშები დღიურად მუშაობდენ და ისინი არ გადაჰყავდათ შტატში ადმინისტრაციას, მეოთხე თამბაქოს ქარხკომმა მიიღო ზომები და 16 მუშა გადაარიცხვინა შტატში.

— **თანრიგის მომატება.** მეოთხე თამბაქოს ქარხკომმა დაბალი თანრიგის ქარხნის მუშებს მოუმატა თითო თანრიგი—სულ 25 მუშას.

გამოიწერეთ
ჟურნალი


სოფლის კომუნისტი
საკავშირო ორგანო
შინაარსი:
შ. მამარაძე—„სოფლის კომუნისტი“ და სოფელში მუშაობა
გ. ორახელაშვილი—მესამე საკავშირო

„სოფლის კომუნისტი“ საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ერთად-ერთი ჟურნალია, რომელიც მიზნად ისახავს გააშუქოს სოფლად პარტიული და საბჭოთა მუშაობის პოლიტიკა.

„სოფლის კომუნისტი“ არკვევს პარტიულ მუშაობის ამოცანებს სოფლად მუშაობის სხვადასხვა დარგში; **პარტიული ცხოვრება, სოფლის საბჭოების მუშაობა, სამეურნეო მშენებლობა, სასოფლო მეურნეობის საკითხები, სოფლად ახალი გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღების შეტანა, სარწმუნოების და ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების საკითხი, გლეხკორების მოძრაობა და სოფლის სხვადასხვა კულტურული საქმეები ჟურნალში პოულობს ახსნა-გაშუქებას.**

ჟურნალი არკვევს აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

„სოფლის კომუნისტს“ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლად მომუშავე ამხანაგების გათვითცნობიერების საქმეში, ამიტომ ამ ჟურნალს აუცილებლად უნდა კითხულობდეს უჯრედის თითოეული წევრი.

არ უნდა დარჩეს არც ერთი ამხანაგი, რომელსაც არ ექნება გამოწერილი **„სოფლის კომუნისტი“**.

ჩვენი ლოზუნგია: **მიმდინარე წელში 10 ათასი ტირაჟი „სოფლის კომუნისტი“-ს!**

საჭიროა და აუცილებელი ჟურნალის გავრცელება უპარტიო აქტივს შორის. ეს საქმე უნდა იკისრონ განსაკუთრებით უჯრედის აქტიურმა წევრებმა.

„სოფლის კომუნისტი“-ს გავრცელებაში, ხელისმოწერის მიღებაში უნდა ჩავითრიოთ ქოხ-სამკითხველოს გამგე, მასწავლებელი და სხვა. ამით შევძლებთ ამ ჟურნალის მასსიურ გავრცელებას.

ხელისმოწერის პირობები:

1 წლით . . .	2 მანეთი
ნახ. „ . . .	1 „
3 თვით . . .	60 კაპ.
ცალკე ნომერი . .	20 „

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

თბილისი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი განყოფილება, რუსთაველის 22.

ნ. 1362 10—1

ქრონიკა

ჩვენი ხილი არგენტინაში

წარმოკავშირმა მიიღო ცნობა, რომ არგენტინაში გაგზავნილი ხილი 2000 ფუთის რაოდენობით, გადაცვლილ იქნა ლიმონზე. არგენტინიდან ლიმონი უკვე გამოგზავნილია.

მანუფაქტურა აღმოსავლეთისათვის

ვინაიდან აღმოსავლეთის ბაზარზე ფართოდ საღდება ბამბეული მანუფაქტურა, ა.-კ. საპაიო სავაჭრო ამხანაგობამ საფეიქრო ფაბრიკებს შეუკვეთა სათანადო ნიმუშები ისეთი მანუფაქტურის, რომელიც აღმოსავლეთში საღდება.

დაკვეთილი მანუფაქტურა უკვე დამზადებულია.

მანქანები ამიერ-კავკასიისათვის

ა.-კ. საპაიო-სავაჭრო ამხანაგობამ უცხოეთიდან მიიღო სატრიკოტაჟო მანქანები ხელოსნებისათვის. მიღებულია აგრეთვე მანქანები ბორჯომის ქარხნისათვის.

ჯანმრთელობის კომისარიატში.

— **საექიმო იარაღები.** ჯანსახკომმა საზღვარგარეთიდან მიიღო კბილის საექიმო იარაღები, რომლებიც გაუნაწილა გამსახლებთან არსებულ კბილის საექიმო კაბინეტებს.

— **პოლიკლინიკა.** დაზღვეულთათვის პოლიკლინიკის მოსაწყობად თბილისში, ჯანმრთელობის კომისარიატმა საზღვარგარეთ შეიძინა საჭირო ინსტრუმენტები და აპარატები.

— **აფთიაქების გამოკვლევა.** ჯანმრთელობის კომისარიატმა თბილისში გამოიკვლია 20 აფთიაქი. მიღებულია სათანადო ზომები შემჩნეულ ნაკლულევანებათა გამოსასწორებლად.

— **ახალი აფთიაქი.** რაჭის მაზრაში. სოფ. ღების თემში, გაიხსნა აფთიაქი.

— **აფთიაქების მოწაფეთა გადასამზადებელ** კურსებს წელს დაამთავრებს, დაახლოებით 145 მოწაფე.

სოც. დაზღვევის სამმართველოში.

— **დღიურ მუშების დაზღვევა.** სოც. დაზღვევის სამმართველო იმუშავებს გეგმას დღიურ მუშების დასაზღვევად.

— **წყალტუბოსა და ახტალაში გაგზავნილ** ავადმყოფ დაზღვეულებს, რომელთა ხელფასი არ აღემატება 50 მანეთს, სოც. დაზღვევის სამმართველოს დადგენილებით, გზის ფულს გარდა, მიეცემათ დღიურად 1 მან.

— **მეკასრეთა შეგირდების დაზღვევა** სოც. დაზღვევის სამმართველომ დააკისრა ოსტატებს.

— **რკინისგზის მტვირთავები,** სოც. დაზღვევის სამმართველოს დადგენილებით, გადაყვანილი არიან ტერიტორიალურ დამზღვევ სალაროების წევრებად.

— **შრომის ფიზიოლოგიის** შესასწავლად სახ. უნივერსიტეტს სოც. დაზღვევის სამმართველომ გადასცა 1.000 მანეთი.

— **ლანჩხუთის სახერხ ქარხნის** არტელის მუშების დაზღვევის საქმის მოსაწესრიგებლად სოც. დაზღვევის სამმართველომ ადგილობრივ მიავლინა ამხ. მორჩილაძე და ამაშუკელი.

შრომის კომისარიატში.

— **პრაქტიკანტ სტუდენტების** წარმოებებში დაგზავნის ა.-კ. შრომის კომისარიატმა დაავალა ცალკე რესპუბლიკების შრომის კომისარიატებს.

— **საზოგადო სამუშაოები.** საქ. შრომის სახ. კომისარიატი თბილისის აღმასკომთან ერთად იმუშავებს თბილისში საზოგადო სამუშაოების მოწყობის გეგმას.

— **შორაპნის მაზრაში.** სოფ. ჩიჩხითში შრომის კომისარიატის დასტურით, ეწყობა საზოგადო სამუშაო წყალსადენის გამოსაყვანათ.

— **პუნქტები.** სამუშაოზე წასვლის მსურველთა ასარიცხად და გასანაწილებლად აფხაზეთში 5 ადგილას დაარსდა საკორესპონდენტო პუნქტები.

შემთხვევები

— **საზარელი მკვლელობა.** 2 ივნისს, ღამით, სოფ. ზემო-ავჭალის და გლდანის გზაზე მიმავალ მოქ. მირონ ნაშიმ-ოღლის, თავს დაესხნენ მძარცველები. ნაშიმ-ოღლის, როგორც ეტყობა, გაუწევია წინააღმდეგობა, რის გამო მძარცველებს მისთვის გამოუჭრიათ ყელი და წაუღიათ ქალაქში ნავაჭრი 400 მან. საქონელი.

— **გაუპატიურება.** 1 ივნისს ვანქის ქ. № 5 სეროფ მელქონიანმა, ანდრონიკ მხითარიანმა და გიორგი პანანიანცმა გააუპატიურეს მცირეწლოვანი ვაჟი ვ. გ., დამნაშავენი დაპატიმრებული არიან.

— **სასტუმრო „ახალციხეში“** აბაზ ბაღირზადეს ჯიბიდან ამოაცალეს 750 მან. ბოროტმოქმედნი ალი ასკაროვი და როზა კული ბაგირ-ოღლი შეიპყრეს.

— **მთავარ ფოსტის კანტორიდან** ვიღაც ბოროტმოქმედმა ყალბი საბუთით მიიღო „ზაკცესუს“ სახელზე მოსული ფული.

— **ვერ მოასწრო.** 1 ივნისს ლენინგრადის ქ. № 12 ანნა სანაკოვას ბინაში შეიპყრეს სარქის საკიანცი, რომელსაც უნდოდა გაექურდა აღნიშნული ბინა.

— **თავის ჩამოხრჩობა.** 1 ივნისს ღამით საბჭოს ქ. № 183 სილიბისტრო ვესელოვსკიმ ჩამოიხრჩო თავი.

— **ქურდი ქალი.** 1 ივნისს რკ. გზის საავადმყოფოში გაქურდეს სარა აბულაძის ბინა. ქურდი დგებუაძისა მიმალულია.

— **ქურდი შვილი.** 2 ივნისს კირკის ქ. № 16 სტანისლავ გზენდიცი გაქურდა მისმა შვილმა პეტრე გზენდიცმა.

— **შეპყრობა.** 2 ივნისს შეიპყრეს ქურდობისათვის გიორგი ფრანგიშვილი.

— ამავე დღეს ჯიბგირობისათვის შეიპყრეს გიორგი კორკოტაძე.

ხელოვნების ქრონიკა

— **ვოკალური საღამო.** სახ. კონსერვატორიის დარბაზში, შაბათს, 5 ივნისს, გაიმართება მოწაფეთა ვოკალურ ანსამბლის საღამო. შესრულებული იქნება სხვადასხვა ოპერების ნაწყვეტები ქართულად და რუსულად.

— **პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.** დღეს, ხუთშაბათს, საღამოს 7 საათზე, ხელოვნების სასახლეში შესდგება საქ. პროლ. მწერალთა ასოციაციის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა.

◆

ცეკავშირის

ინსტრუქტორთა ყრილობა

მეორე სხდომაზე ყრილობამ მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან. ამ მოხსენებების შესახებ რეზოლიუციების გამოსატანათ ყრილობა ირჩევს კომისიას: ამხ. **ტოროშელიძის, ქებურიას, გოგებაშვილის, ჩხეტიას, კანდელაკის** და **ხანთაძის** შემადგენლობით.

დილის სხდომაზე ყრილობა ისმენს: ამხ. **ჩხეტიას** მოხსენებას ზუგდიდის მაზრის კოოპერატივების მდგომარეობის შესახებ, ამხ. **კობახიძის** მოხსენებას სენაკის მაზრის კოოპერატივების შესახებ, ამხ. **ხანთაძის** და **ყიფიანის** მოხსენებას რაჭა-ლეჩხუმის მაზრის და ნაწილ ქუთაისის მაზრის კოოპერატივების შესახებ.

მომხსენებლები ეხებიან უმთავრესად ამ კოოპერატივების ფინანსიურ მდგომარეობას, მათში გაერთიანებულ წევრთა რაოდენობას, საპაიო თანხების მოძრაობას, სავაჭრო ბრუნვებს, მომჭირნეობის რეჟიმს და სხვა.

მოხსენებებიდან ირკვევა, რომ კოოპერატივებს მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში თვალსაჩინო გაუმჯობესება ეტყობათ გასული წლის საანგარიშო პერიოდებთან შედარებით.

ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება. ეს არის კოოპერატივთა რაოდენობის შემცირება ისეთ რაიონებში, სადაც ისინი ერთმანეთთან ახლოს მდებარეობენ. ეს შემცირება ძნელდება, რადგან ყოველ სოფელს თუ თემს სურს თავის ახლოს ჰქონდეს კოოპერატიული სავაჭრო.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ხშირად იჭრება სამომხმარებლო კოოპერაციის ფუნქციებში.

მეფუტკრეობა

ომის წინა დროსთან შედარებით საფუტკრეების რაოდენობა საქართველოში გაორკეცდა. სტატისტიკურ ცნობების თანახმად ომამდე საქართველოში აღრიცხული იყო 5 ათასი სკა. ამჟამად კი სკების რიცხვი 10 ათასს აღემატება. მეფუტკრეობის ასეთი წარმატება ჩვენში მიეწერება სოფლელი მოსახლეობის განსაკუთრებულ ინტერესს მეურნეობის ამ დარგისადმი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და წარმოკავშირის მიერ ამჟამად მიღებულია მთელი რიგი ღონისძიებები, რომ მეფუტკრე გლეხებს შორის გავრცელებულ იქნეს სპეციალური ცოდნა მეფუტკრეობის დარგში. ამ მიზნით იმართება მეფუტკრეობის კურსები, ლექცია - მოხსენებები, საუბრები და სხვა. სწარმოებს აგრეთვე ბრძოლა მეტად გავრცელებულ ფუტკარის ავათმყოფობასთან. მზადდება აგრეთვე ტეხნიკურ ინსტრუქტორთა მთელი კადრი მეფუტკრეობისათვის. მიმდინარეობს აგრეთვე მუშაობა მეფუტკრე გლეხების გასაერთიანებლად სპეციალურ კოოპერატიულ ორგანიზაციებსა და უჯრედებში.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი და აგრეთვე აგრონომიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ მეფუტკრეობის გაუმჯობესებას. განსაკუთრებულ ინტენსიურ მუშაობას ამ მხრივ აწარმოებენ თბილისის, გორის, შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის საადგილმამულო განყოფილებები. ჯერ-ჯერობით მეფუტკრეობა საქართველოში გლეხობას აძლევს 30 ათასს მანეთს წლიურ შემოსავალს. ეს შემოსავალი წლიდან - წლამდე თანდათან იზრდება.

ყველაზე მეტად მეფუტკრეობა განვითარებულია აღმოსავლეთ - საქართველოში (თბილისის, გორის მაზრები და სამხრეთ-ოსეთი).

ამ მოკლე ხანში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი გამოსცემს სახელმძღვანელო წიგნს მეფუტკრეობისათვის.

მავნებლები

ახალქალაქის მაზრაში (ჯავახეთი) ისევ თავი იჩინა სასოფლო მეურნეობის მავნებელმა მწერებმა. შარშან ამ მავნებლებიდან მთელს მაზრაში განადგურებულ იქნა 1000 დესეტინა პურის ნათესები და 2000 დესეტინა—სათიბები. საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან მაზრაში გაგზავნილ იქნა ინსტრუქტორი, რომელიც ჯერ-ჯერობით დაკვირვებას აწარმოებს მავნებლებზე. სხვა საწინააღმდეგო ღონისძიებანი ჯერ-ჯერობით მიღებული არ არის.

ამავე მაზრაში ყანებს ანადგურებენ მინდვრის თაგვები, რომლებიც წლევანდელი თბილი ზამთრის გამო ძალზე ამრავლდნენ.

მინდვრის თაგვები გაჩნდნენ ამ გაზაფხულზე გორის, თბილისის და სიღნაღის მაზრაში. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან დროზე იქნა მიღებული ზომები მავნებლების მოსასპობად. გაგზავნილ იქნა საგანგებო ექსპედიციები თაგვების სოროების მოსაწამლავად. ამჟამად არავითარი საფრთე მინდვრის თაგვების მხრივ დათესილი ყანების მოსპობისა არ არსებობს.

გუდაუთის მაზრაში (აფხაზეთი) სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა მავნებლებისაგან გაფუჭებულია ბაღების და ვენახების 10 პროცენტი. ბრძოლას სასოფლო მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ ამ მაზრაში აწარმოებს აფხაზეთის მებაღე-მევენახეთა კოოპერატიული კავშირი, რომლის მიერ უკვე გაშენებულია ხეხილის და ვენახის სანერგეები.

მესაქონლეობა

მიწათმოქმედების კომისარიატის ინიციატივით, ამჟამად მთელ რესპუბლიკაში მიმდინარეობს მესაქონლეობის გამოკვლევა. ამ საქმის ხელმძღვანელათ დანიშნულია პროფ. ჯანდიერი.

მესაქონლეობის გამოკვლევას მიზნად აქვს შეისწავლოს ჩვენი საქონლის ჯიშები, მათი წარმოშობის გენეოლოგია, მუშა - საქონლის შრომის უნარიანობა, გამძლეობა და სხ..

მთავარი ყურადღება ექცევა მთიულ საქონელს, რომელიც უფრო ჯანსაღათ ითვლება: ხევსურული ძროხა ხომ ბევრათ არ ჩამოუვარდება გაუმჯობესებული ჯიშის ძროხებს რძის მოცემაში.

გამოკვლევის დასრულების შემდეგ განზრახულია დაარსდეს რესპუბლიკანური ზოოტეხნიკური სადგური, რომელიც უხელმძღვანელებს ჩვენი საქონლის სხვადასხვა ხელსაყრელ ჯიშების გაუმჯობესებას, ახალი ჯიშების მოშენებას და სხ.

მადნების აღმოჩენა

მერისის რაიონში (აჭარისტანის, ხულოს მაზრა) აღმოჩენილ იქნა თუნუქის და სპილენძის ახალი მადნები. წინასწარი გამოკვლევის დასკვნით, აღმოჩენილი თუნუქის და სპილენძის მადნები მეტად მაღალი ღირსების არის თუთუქის მადნები შეიცავენ 10 პროცენტს ხალასს თუნუქს, ხოლო სპილენძის მადნები 15 პროცენტს ხალასს სპილენძს. ამავე რაიონებში აღმოჩენილ იქნა ოქროს, ბარიტის და სურაკის მადნები.

დამთავრებულ იქნა აგრეთვე ბაზალტის და ლატერატის მადნების გამოკვლევა. აღმოჩნდა, რომ ჩვენებური ბაზალტი თავისი ღირსებით არ ჩამოუვარდება უცხოეთის ბაზალტს.

გეოლოგიური გამორკვევათა საწარმოებლად სამთო განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულია 40 ათასი მანეთის რაოდენობით. წელს გეოლოგიური გამოკვლევების საწარმოებლად საბჭოთა კავშირიდან მოემგზავრებიან ცნობილი ინჟენერ-გეოლოგები.

ხარჯთაღრიცხვები

ხარჯთაღრიცხვების შედგენა და დამტკიცება

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ა.-კ. სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის, განხილვის და დამტკიცების გეგმა 1926/27 წლისათვის.

ამ გეგმის მიხედვით სარესპუბლიკო უწყებები ვალდებულნი არიან შეადგინონ თავიანთი ხარჯთაღრიცხვა ა. წ. 1 მაისიდან—10 ივნისამდე; რესპუბლიკების ფინ. სახ. კომ. უნდა განიხილონ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვები 10 ივნისიდან—10 ივლისამდე. 1926 წლის ივლისისათვის რესპუბლიკანური ბიუჯეტები განხილული უნდა იქნენ რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოების მიერ.

გაერთიანებულ უწყებებისათვის ხარჯთაღრიცხვების შესადგენად და განსახილველად დაწესებულია შემდეგი ვადები: გაერთიანებული უწყებები ხარჯთაღრიცხვებს ადგენენ 1 მაისიდან 10 ივნისამდე, 20 ივნისისათვის ეს ხარჯთაღრიცხვები განხილული უნდა იქნეს რესპუბლიკანური ფინ. სახ. კომისარიატების მიერ. გაერთიანებულ ფედერატიულ უწყებათა შეერთებული ხარჯთაღრიცხვების შედგენა იწყება 25 ივნისს. 10 ივლისიდან 25 ივლისამდე დასრულებული უნდა იქნეს ხარჯთაღრიცხვების დამტკიცება ა.-კ. ფინ. სახ. კომისარიატის მიერ.

ამ მუშაობის დასრულების შემდეგ დაიწყება ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ბიუჯეტის შედგენა.—გაერთიანებულ უწყებათა ხარჯთაღრიცხვების განხილვა საბიუჯეტო თათბირმა უნდა დაასრულოს 25 ივლისიდან 1 აგვისტომდე. რესპუბლიკანური ბიუჯეტების განხილვა ა.-კ. ფინ. სახ. კომისარიატს ევალება 20 ივლისიდან 20 აგვისტომდე, ხოლო საბიუჯეტო თათბირს 15-დან 25 აგვისტომდე.

ა.-კ. საგეგმო კომისიამ, ა.-კ. სახ. კომ. საბჭომ და ა.-კ. ცაკმა ბიუჯეტის განხილვა უნდა დაამთავრონ 1 სექტემბრისათვის. ავტონომიურ რესპუბლიკებში მუშაობის საკალენდარო გეგმის შედგენა დაკისრებული აქვთ რესპუბლიკების სახ. კომ. საბჭოებს.

ა.-კ. მუშ. და გლეხ. ინსპექციას დავალებული აქვს თვალყური ადევნოს გეგმის შესრულებას. ამ.-კავკასიაში მომქმედ საერთოსაკავშირო უწყებათა ხარჯთაღრიცხვები განხილულ უნდა იქნენ 10 ივნისამდე, ხოლო ა.-კ. რკინის გზების ხარჯთაღრიცხვა 5 ივნისამდე.

ხორცის ბაზარზე

ხორცის ბაზრის მოწესრიგების მიზნით ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატმა გამოსცა ინსტრუქცია, რომლის ძალით დასაკლავი საქონლის, ხორცის და თევზის პროდუქტების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ სასაკლაოს და საქალაქო მოედნებზე.

სასაკლაოს მოედანზე შესვლის და საქონლის ყიდვა-გაყიდვის უფლება აქვს: იმ სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც აწარმოებენ დასაკლავი საქონლის შესყიდვას ან და ვაჭრობენ ხორცით; კერძო პირებს, რომლებიც ხორცით ვაჭრობენ როგორც ბითუმად, ისე წვრილად და რომელთაც აქვთ დუქნები და სათანადო პატენტი.

საქონლისათვის თვალყურის დევნების და საქონლის დაკვლასთან დაკავშირებულ სამუშაოების შესრულების მიზნით, სააკლაოს მოედანზე შესვლა შეუძლიათ როგორც სახელმწიფო-კოოპერატიული, ისე კერძო მეყასბეების ნოქრებს, რომელთაც საამისო უფლება აქვთ.

ყველა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები, და აგრეთვე კერძო ყასბები, რომლებიც ხორცს შეიძენენ სასაკლაოს მოედნის გარეშე, ვალდებული არიან თავისი გარიგებები რეგისტრაციაში გაატარონ ხორცის საქალაქო მოედნებზე, სადაც ასეთები არსებობს.

დასაკლავად შეიძლება მიღებული იქნეს მსხვილფეხა საქონელი, ცხვრები, თხები და ღორები.

ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულებს ევალებათ თვალყური ადევნონ ამ დადგენილების სისწორით გატარებას ცხოვრებაში.

მოსავლის შემოწმება

სტატისტიკური სამმართველოს თაოსნობით, შარშან ყველა მაზრებში დაარსებული იყო მოსავლის შემმოწმებელი საექსპერტო კომისიები.

წელს მაზრებში ისევ არსდება ასეთი კომისიები. კომისიების მოწყობას თემებში და სოფლებში ხელმძღვანელობენ სამაზრო სტატ. ბიუროები. საექსპერტო კომისიებს ევალებათ გარდა ნათესებისათვის თვალყურის დევნებისა, აგრეთვე სხვა სასოფლო- სამეურნეო კულტურების მდგომარეობისათვის თვალყურის დევნება.

ზოგიერთ მაზრებში ასეთი კომისიების მოწყობა უკვე დასრულდა. სათემო საექსპერტო კომისიები მოვალენი არიან სისტემატიურათ თვეში ორჯერ წარუდგინონ ცნობები მოსავლის შესახებ სამაზრო სტატისტიკურ ბიუროებს. სამაზრო სტატ-ბიუროები კი თავის მხრივ ამ ცნობებს წარუდგენენ რესპუბლიკანურ სამმართველოს.

გარდა ამისა სათემო საექსპერტო კომისიებს ევალებათ თავის დროზე მიაწოდონ ცნობები ზემოთ მდგარ ორგანოებს სადმე გამოჩენილ მოსავლის მავნებლების შესახებ.

წითელი ჯვარი

პირველ ივნისს შესდგა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პლენუმის საგანგებო სხდომა. პლენუმმა მოისმინა თბილისში ჩამოსულ შვეიცარიაში საერთაშორისო კომიტეტთან საკავშირო წითელი ჯვრების და ნახევარ მთვარეების საზოგადოებათა სრულუფლებიან წარმომადგენლის,—ამხ. ბაგოცკის მოხსენება საკავშირო წითელ ჯვრების და ნახევარ-მთვარეების საზოგადოებათა საგარეო ურთიერთობის შესახებ.

თავის მოხსენებაში ამხ. ბაგოცკიმ აღნიშნა ის მძიმე პირობები, რომელშიაც მას უხდებოდა მუშაობა შვეიცარიაში.

ამჟამად შვეიცარიაში უკვე აღარ სცნობენ თეთრ-გვარდიელთა და მენშევიკთა წითელ ჯვრის წარმომადგენლებს.

საბჭოთა წარმომადგენლობასთან დამყარდა იურიდიული და საქმიანი დამოკიდებულება.

მომხსენებელმა დაახასიათა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის და ლიგის შორის არსებულ უთანხმოების შინაარსი. მან სურვილი გამოსთქვა, რათა საქართველოს წითელ ჯვარმა დაიკავოს საქმიანი ურთიერთობა ბავშვთა საერთაშორისო დამხმარე კომიტეტთან, რომლის წევრათ ის უკვე ითვლება.

გუშინ ამხ. ბაგოცკი გაემგზავრა უკან.

საქართველოში ყოფნის დროს ბაგოცკიმ დაათვალიერა წითელი ჯვრის გორის საავადმყოფო და ნატახტარის პუნქტი.

არაზინდო

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სანატორიუმი „არაზინდო“ 15 ივნისიდან გაიხსნება. სანატორიუმი ზაფხულის პერიოდში დაიტევს 220 ავათმყოფს, ზამთრის პერიოდში კი 200-ს.

არაზინდოში უკვე დაიწყო ქალებისათვის სპეციალურ ბინების მოწყობა 70 ავათმყოფისათვის. ამრიგად ქალთა განყოფილების გახსნის გამო, სანატორიუმი სულ 270 ავათმყოფს დაიტევს.

ახლო მომავალში დამთავრდება წყლით გათბობის მოწყობა, რაზედაც საქართველოს მთავრობამ 60.000 მანეთი გადასდო. გასულ ზამთარში სანატორიუმი არ თბებოდა, რის გამო ის ვერ მუშაობდა. ეხლა კი სანატორიუმს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია მუშაობა.

ქლექით ავათმყოფთა მკურნალობა იწარმოებს ახალი მეთოდით ე. წ. კვარცის ვანებით.

სააქციონერო საზოგადოება „არაზინდოს“ კაპიტალს შეადგენს 400.000 მანეთი.

ნავთსადგურები

ბათომის ნავთსადგური

ამიერ-კავკასიის სანავთსადგურო განყოფილების ცნობით, საქართველოს ნავთსადგურების მექანიზაცია ნაწილობრივ უკვე განხორციელებულია. ბათომის ნავთსადგურში ამჟამად უკვე დადგმულია ახალი ათტონიანი სანავთსადგურო ონკანი. საფუძვლიანად არის შეკეთებული აგრეთვე ორმოცდაათი ტონიანი მცურავი ონკანი.

გარდა ამისა დადგმულ იქნა სრულიად ახალი რვატონიანი ონკანი ღრმა ძირიანი ნავთსაყუდის ვასაკეთებლად.

უკვე შედგენილი გეგმის და ხარჯთარიცხვის მიხედვით ბათომის ნავთსადგურის სამექანიზაციოდ შესრულებული იქნება შემდეგი: ნავთსადგურის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად აგებული იქნება საგანგებო ელექტროსადგური. რომელიც სადგურის გაბათების და მუშაობისათვის საჭირო ენერგიის ღირებულებას არსებულ ღირებულებებთან შედარებით 3-ჯერ შეამცირებს. ამასთან ერთად განზრახულია შეძენილ იქნეს ბარჟა-სეპარატორი, რომლის საშუალებით ზღვის წყალში მოპოვებული იქნება ნავთი, რაც სათბობი მასალის ეკონომიას გამოიწვევს. ბათომის ნავთსადგურის სამექანიზაციოდ განზრახულია სხვა სამუშაოებიც.

უკანასკნელ კვირაში ნავთსადგურის სამორიგეოში მოწყობილ იქნა ცენტრალური სატელეფონო სადგური 20 კომმუტატორით. სადგურის მოწყობის შემდეგ სამორიგეოს უშუალო კავშირი აქვს მექანიკურ სახელოსნოებთან, ჰიდრო-მეტეოროლოგიურ სადგურთან და ნავთსადგურის სხვა დაწესებულებებთან.

ფოთის ნავთსადგური

სანავთსადგურო განყოფილებას განზრახვა აქვს მოახდინოს ფოთის ნავთსადგურის მექანიზაციაც. შედგენილი პროექტის მიხედვით პირველ რიგში განზრახულია სიმიდის საწყობი და გადასატვირთი ბელლის მექანიზაცია რის შემდეგაც ამ ბელლის საშუალებით მოსახერხებელი გახდება 5 მილიონი ფუთი სიმინდის გაგზავნა გემებით უცხოეთში.

ახალი აპარატები

ცხენთსაშენის განყოფილებამ მიიღო საქონლის ხელოვნურად მოსაშენებელი და საგრილობელი აპარატები. ასეთი აპარატის საშუალებით შეიძლება მოხდეს ყოველგვარი საქონლის ხელოვნურად განაყოფიერება განსაკუთრებული წამლების შეზხაპუნებით.

სულ მიღებულია სამი ასეთი აპარატი. ერთი აპარატი მიწ.-მოქმ. კომისარიატის საბეითლო განყოფილების ტაბახმელის სადგურისათვის, მეორე ასეთი აპარატი გადუგზავნეს თბილისის ცენტრალურ ცხენთსაშენს და მესამე მუხროვანის სამომშენებლო პუნქტს.

აპარატების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იმის საშუალებით შეიძლება ამერიკაში ცნობილი ცხენის ჯიშის გადმოთესვა ქვეყნის მეორე კუთხეში. აპარატი იძლევა აგრეთვე ხარჯების დიდ ეკონომიასაც.

ბრძოლა მფლანგველობასთან

დაპატიმრებულია და პასუხისგებაშია მიცემული სოხუმის დამზღვევ სალაროს კანტროლიორი ბერულავა, მიღებული დასაზღვევი თანხების გაფლანგვისათვის. ჯერ-ჯერობით გამორკვეულია, რომ ბერულავამ გაფლანგა 3 ათასი მანეთი. გამოძიება დამთავრდა. არის ზოგიერთი საბუთები იმისი, რომ გაფლანგულია უფრო მეტი თანხა. გაფლანგვას ბოროტმოქმედების ხასიათი აქვს. დადასტურებულია შემთხვევები, როცა ბერულავას მიღებული თანხები სათანადო დავთრებში არ გაუტარებია.

გაფლანგვებს აფხაზეთის პროფორგანიზაციებში ერთ დროს ეპიდემიური ხასიათი ჰქონდა: მთელ რიგ მფლანგველებს ჯერ სათანადო პასუხი არ უგებია. ასე მაგალითად, 1924 წელში აღმოჩენილი იქნა, რომ საბჭოთა მოსამსახურეების ადგილკომის ყოფილმა მდივანმა დეგელაშვილმა გაფლანგა 750 მან. დამნაშავე დღემდე არ იყო დაპატიმრებული და მისი საქმე მხოლოდ 9 ივნისისათვის არის დანიშნული გასარჩევად.

იმავე კავშირის ყოფილმა ინსტრუქტორმა ვასიკინმა გაფლანგა 594 მან. გაფლანგვა აღმოჩენილ იქნა წარსული წლის თებერვალში. ამის შემდეგაც ვასიკინი განაგრძობდა მუშაობას აფხაზეთის პროფსაბჭოს საქმეთა მმართველობაში და მხოლოდ რამოდენიმე ხნის წინად იქნა დაპატიმრებული და მიცემული პასუხისგებაში.

პროფსაბჭოს პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა, მიიღო დადგენილება გაფლანგვებთან სასტიკი ბრძოლის შესახებ. ახლო ხანში განზრახულია მთელ რიგ საჩვენებელი პროცესების მოწყობა.

რკინისგზაზე

ბრძოლა „ვოლოკიტასთან“

ამ უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილ იქნა, რომ ა.-კ. რკინის გზების სამმართველოს უმეტეს განყოფილებებში ადგილი აქვს პასუხების დაგვიანებას სახელმწიფო დაწესებულებათა და სხვადასხვა ორგანიზაციების შეკითხვებზე. გამოირკვა, რომ ეს აიხსნება კანცელარული „ვოლოკიტით“ და თანამშრომელთა საქმისადმი გულცივი მოპყრობით.

რათა ასეთ არანორმალურ მოვლენებს მომავალში აღარ ექნეთ ადგილი, ა.-კ. რკინის გზების მმართველობამ გამოსცა ბრძანება, რომლითაც ის წინადადებას აძლევს თავის თანამშრომლებს მოსპონ ეს მოვლენა.

ორთქლმავლის გადავარდნა

პირველ ივნისს, საღამოს 6 საათზე და 30 წუთზე, ბაქოს მეორე სადგურზე, მანევრებს დროს ლიანდაგს ასცდა მატ. № 1400 ორთქლმავალი. ამის გამო მოძრაობა დაიკეტა ღამის 10 საათამდე, სანამ ორთქლმავალი არ ამოიღეს.

გლეხკომებში

—**დახმარება ღარიბებს.** სოფ. ბახვის თემგლეხკომმა (ოზურ. მაზრა) აღრიცხვაზე აიყვანა უღარიბესი და ქვრივ-ობლების 119 ოჯახი, მათთვის დახმარების გაწევის მიზნით.

— **„ახალი სოფელი“.** სოფ. ასკანის თემაღმასკომმა თავის ხარჯით გლეხებს გამოუწერა 30 ცალი გაზეთი „ახალი სოფელი“.

— **სამკითხველო.** ზედა-აკეთის გლეხკომმა ადგილობრივ სამკითხველოს მოსაწყობად გადასდო 308 მან.

— **საექიმო პუნქტი.** აცანის თემგლეხკომმა თემში საექიმო პუნქტისათვის ააგო ცალკე შენობა, რომლისთვისაც გლეხკომმა დახარჯა 1939 მ. 99 კ.

დადგენილებები

შინ. საქმეთა სახალხო კომისარიატმა ამას წინეთ დაგზავნა მაზრებში ცირკულიარული მიწერილობები თემაღმასკომების მიერ სავალდებულო დადგენილებების გამოცემის შესახებ.

ზოგიერთი თემაღმასკომები სცემენ სავალდებულო დადგენილებებს ისეთ საკითხებზე, რომელიც არ შედის მათ კომპენტენციაში და ეს იწვევს ფუნქციების არევას. ახალი ცირკულიარით სათემო აღმასკომებს წინადადება ეძლევათ არ გამოსცენ სავალდ. დადგენილებები, თუ წინდაწინვე ამ საკითხის შესახებ არ ექნებათ თანხმობა ზემოთ მდგარ ორგანოებიდან.

ამასთანავე შინ. საქ. სახ. კომისარიატი იმუშავებს წესებს ამ საკითხის მოგვარების მიზნით.

◆

სასამართლო

მკვლელობა

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით ვაირჩა ზაჰესის მომუშავე **შაქრო ბურთიაშვილის** საქმე.

ბურთიაშვილს ბრალდებოდა ალექსანდრე გვენეტაძის მოკვლა.

საქმის შინაარსი ასეთია: ბრალდებულის დედა სეირნობის მოყვარული ადამიანი იყო. ხშირად დედასა და შვილს შორის ამ ნიადაგზე უსიამოვნებას ჰქონია ადგილი. ბურთიაშვილს დაჟინებით უთხოვნია დედისთვის. რათა მას თავი დაენებებია სეირნობისათვის. დედა კი თავისას განაგრძობდა. ერთ დღეს, სახლში დაბრუნებისას, ბრალდებული შემდეგ სურათს წააწყდა: ჩაკეტილ ოთახში მის დედას ალ. გვენეტაძე ეალერსებოდა. ამ გარემოებამ ბრალდებული ააღელვა და რამოდენიმეჯერ გვენეტაძეს ბებუთი ჩასცა. გვენეტაძე მძიმედ დაჭრილი დაეცა მიწაზე. ამ ჭრილობისაგან ის გარდაიცვალა.

საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ, ბრალდებული ბურთიაშვილი დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს, როგორ ჩაიდინა მკვლელობა და რითი იყო ის გამოწვეული.

ბრალდებული აცხადებს, რომ მან სცადა თავის შეკავება მკვლელობისაგან. მაგრამ გვენეტაძის საქციელი მას არ ასვენებდა, მით უმეტეს, რომ მან ყველაფერი ეს თვისი თვალით ნახა.

სასამართლომ დაჰკითხა მოწმეებს, რომლებმაც დაადასტურეს ბრალდებულის დედის ცხოვრების ზოგიერთი მხარეები.

სასამართლომ ბრალდებულ ბურთიაშვილს მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

გარდა ამისა მსჯავრდადებულმა უნდა დააკმაყოფილოს სამოქალაქო სარჩელი 1000 მან. რაოდენობით.

ნოე სიხარულიძის მკვლელის საქმე

უზენაესმა სასამართლომ გააუქმა განაჩენი **ნოე სიხარულიძის** მკვლელის **ურთმელიძის** საქმეზე.

ურთმელიძეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ მისჯილი ჰქონდა 1½ წლით თავისუფლების აღკვეთა.

უზენაეს სასამართლოს კოლეგიამ სცნო, რომ ურთმელიძის მიერ მკვლელობა ჩადენილია არა ძლიერი სულიერი მღელვარების და მძიმე შეურაცყოფის, არამედ შურისძიების ნიადაგზე.

ამის გამო საქმე ხელ-ახლად გაირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში 9 ივნისს.

გამფლანგველი

ალექსანდრე **გაჩეჩილაძემ**, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ 1570 მან. საკავშირო თანხების მითვისებისა და გაფლანგვისათვის მიუსაჯა რვა წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

საქმე გაირჩევა 5 ივლისს.

მეცნიერება და ტექნიკა

წელიწადი უზაფხულოდ

ამერიკული ჟურნალის „ლიტერატურული ამონაწერები“-ს უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია წერილი არაჩვეულებრივად ცივი ზაფხულის შესახებ, რომელიც მოსალოდნელია წრეულს მზეზე ლაქების რიცხვის გადიდებასთან (ე. წ. მზის ლაქების მაქსიმუმი) დაკავშირებით. ვათავსებთ ამ წერილის თარგმანს.

1816 წ. ცნობილია, როგორც „წელიწადი უზაფხულოთ“. ხომ არ იქნება 1926 წ. ასეთივე წელიწადი? ზოგიერთი ავტორები ფიქრობენ, რო ეს ასე იქნება. ისინი შემდეგი მოსაზრებით ხელმძღვანელობენ: 1) ლაქების რიცხვი მზეზე ისევე დიდია, როგორც 1916 წ. იყო, 2) მზეზე ლაქების მოედანის გადიდება ამცირებს სითბოს იმ რაოდენობას, რომელსაც მზე გამოყოფს, რაც იწვევს სიცივეებსო.

წერილში, რომელიც ნიუ-იორკის გაზეთ „ტაიმს“-ში იყო მოთავსებული, ნათქვამია, რომ 1816 წლის არანორმალურ ამინდს არ მიუპყრია ყურადღება აპრილამდე, როცა დიდი თოვლი მოვიდა. თესვაზე ფიქრიც შეუძლებელი იყო. ეს ცნობები შეეხება ატლანტის ოკეანეს ჩრდილოეთ ნაპირებს. არ მოიპოვება ცნობები იმის შესახებ, გავრცელდა თუ არა ეს არაჩვეულებრივი ამინდი მდ. მისსისიპამდი და იქით. მაგრამ მეცნიერები დარწმუნებული არიან, რომ 1816 წლის ცივი ზაფხული არ იყო მარტო ადგილობრივი მოვლენა. ეს არაჩვეულებრივი ზაფხული ისეთივე მკაცრი იყო ინგლისში, როგორც შეერთებულ შტატებში, რასაც ამტკიცებენ ამონაწერები ინგლისური წყაროებიდან.

ზოგიერთი ცნობები ამბობენ, რომ ეს არაჩვეულებრივი ზაფხული შედეგი იყო მთელ რიგ ცეცხლის მფრქვეველი მთების ამოხეთქის, რომელიც დაიწყო ინგლისის კუთვნილ კუნძულზე წყნარ ოკეანეში და გათავდა ცეცხლის მფრქვეველი მთის ტემბოროს საშინელი ამოხეთქით მალაის კუნძულების ჯგუფზე 1815 წ. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ამ ამოხეთქვის დროს ჰაერში ამოსროლილი იქნა ფერფლისა და მტვერის დიდი რაოდენობა, რომელმაც გაავსო ატმოსფერის ქვეად ფენები და მსუბუქ ღრუბელ. ეკრა გარს დედამიწას და აბრკოლებდა მზის სხივების მიერ დედამიწის გათბობას, რასაც მოყვა ტემპერატურის დაწევა მთელ დედამიწაზე*).

მეორე უფრო მარტივი ახსნა მდგომარეობს იმაში, რომ მზის ლაქები მოქმედობენ ჰავაზე. ადამიანისათვის, რომლისთვისაც საკითხი უცხოა იგი წარმოადგენს რთულ მსჯელობას, რომელიც შეიცავს ისეთ თერმინებს, როგორიც არის „ძალის ელექტროსტატიური მოედანი“, „გამკვეთი რადიაცია“, „ატმოსფერული დეზინტეგრაცია“ და სხვ. უბრალო გასაგებ ენაზე კი ყველაფერი ეს ნიშნავს, რომ მზის ლაქები ამცირებენ სხივების იმ რაოდენობას, რომელსაც მზე გამოყოფს და მაშასადამე სითხის რაოდენობასაც.

1816 წ. მაისში და ივნისში ლაქებს მზეზე იმდენად დიდი ადგილი ეჭირათ, რომ მათი დანახვა შეიძლებოდა შეუიარაღებელი თვალით.

აი ამ თეორიაზე აშენებენ მეცნიერები თავის წინასწარმეტყველებას ცივი ზაფხულის შესახებ 1926 წელს. ისინი ამბობენ, რომ ჩვენ უახლოვდებით მზის ლაქების მაქსიმუმის პერიოდს**).

გამოჩენა მზის ნაპირზე ლაქების, რომელთა სივრცე თანდათანობით იზრდება, ოკეანებში წყალის მიმოქცევის პერიოდთან დაკავშირებით, გამოიწვევს მზის რადიაციის (გამოსხივების) შემცირებას და ოკეანების ზედაპირზე სიღრმიდან ცივი წყალის დიდი რაოდენობით ამოსვლას, რაც გავლენას იქონიებს ამინდზე.

რამდენად სწორია ეს წინასწარმეტყველება, ახლო მომავალი დაგვანახვებს“.

მხტუნავი აეროსტატები

ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალში მოთავსებულია მხატვარის სურათი-ფანტაზია: ახლო მომავლის საჰაერო სპორტი. პატარა აეროსტატებზე სპეციალური არტახების საშუალებით მიბმულია სპორტსმენი, აეროსტატის ამწევი ძალა მოწესრიგებულია ისე, რომ იგი ათანასწორებს ადამიანის სიმძიმეს, ე. ი. ადამიანი თითქმის არაფერს არ იწონის და საკმაო არის იგი ოდნავ ახტეს, რომ აეროსტატი მას რამოდენიმე მეტრით ასწევს ზევით.



ქარი აეროსტატს წაიღებს რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზე და ამავე დროს იგი ნელ-ნელა ეშვება. კიდევ ასეთი ახტომა და სპორტსმენი ისევ გაივლის მცირე მანძილს. ამრიგად შეიძლება მთელი მოგზაურობის შესრულება: გადახტომა სახლებზე, თხრილებზე, მდინარეზე.

იგივე ჟურნალი იუწყება, რომ ამ სახის სპორტი უკვე ვრცელდება ინგლისში.

---

*) ტემბოროს ცეცხლის მფრქვეველმა მთამ კუნძულ სუმბავაზე 1815 წ. აპრილში ამოხეთქის დროს ამოყარა 255 მილიონი კუბიკური მეტრი ღველფი, იმდენი მასალა, რომელიც საკმაო არის 4 ისეთივე მთის ასაშენებლად, როგორიც ვეზუვია.

) მეცნიერების **ვოლფ შპერერის და **კარინგტონის** გამოკვლევებით, მზის ლაქების მაქსიმუმი მეორდება ყოველ თერთმეტ წელიწადში. უკანასკნელი მაქსიმუმი იყო 1905 და 1917 წ. მაგრამ ზოგჯერ მაქსიმუმი 11 წელზე ადრეც იწყება.

ნარევი

სულით ავადმყოფთა რიცხვის ზრდა შეერთებულ შტატებში

სულით ავადმყოფთა რიცხვის არაჩვეულებრივად გადიდების გამო 1923 წ. პირველად მოახდინეს შეერთებული შტატების მცხოვრებთა ჯანმრთელობის გამოკვლევა.

ეს გამოკვლევა, რომელიც მოახდინა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ „ტვინის ჰიგიენის ნაციონალური კომისიის“ მონაწილეობით, გავრცელდა ყველა კერძო და სახელმწიფო საავადმყოფოებზე (526) სულით ავადმყოფთათვის, ციხეებზე და სხვა დაწესებულებებზე, სადაც შეიძლება იმყოფებოდენ სულით ავადმყოფები.

ანგარიში გამოკვლევის შესახებ მზადდება დასაბეჭდათ, მაგრამ იმ მოკლე ცნობებიდანაც, რომელიც უკვე მოთავსებული იყო პრესაში, ნათელია, რომ შეერთებულ შტატებში მდგომარეობა ამ მხრივ დამაფიქრებელია და მომავალში კიდევ უფრო გაუარესდება.

საავადმყოფოებში აღრიცხულ სულით ავადმყოფთა რიცხვი 1923 წ. აღწევდა 290.456-დი.

სულით ავადმყოფთა რიცხვი 100.000 მცხოვრებზე 1890 წ. შეადგენდა 81,6 კაცს, 1910 წ.—204,2, 1923 წელს კი—241,8. შესაძლებელია, რომ ავადმყოფთა რიცხვის ზრდა ავადმყოფობის გამოცნობის მეთოდების გაუმჯობესებით აიხსნება, მაგრამ ზრდა მაინც თვალსაჩინოა.

დიაგნოზის მეთოდების გაუმჯობესებასთან ერთად კომისიამ ვერ ჰპოვა გაუმჯობესება მკურნალობასა და ავადმყოფთა მდგომარეობაში. სამხრეთის ერთ-ერთ შტატში საავადმყოფოს გამოკვლევის დროს სულით ავადმყოფნი ბორკილებში მოემწყვდენ, მათი ნაწილი კი ციხეში მოეთავსებინათ მკვლელებთან და მძარცველებთან ერთად.

გამოკვლევით დამტკიცდა, რომ სულით ავადმყოფთა რიცხვი იზრდება შეერთებული შტატების ქალაქის მოსახლეობის პროცენტულ ზრდასთან შეფარდებით. ციფრებიდან სჩანს აგრეთვე, რომ სხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებულები უფრო ავადმყოფდებიან, ვიდრე შტატების მკვიდრი მოსახლეობა. ასე მაგალითად, პირველნი იძლევიან ავადმყოფობის 113,2 100.000 მცხოვრებზე, მეორენი კი მხოლოდ 56,8-ს სულით ავადმყოფთა შორის სხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებულები უმრავლესობას შეადგენენ.

ნერვიულ-ავადმყოფთა ყველაზე დიდ პროცენტს იძლევა ახალი ინგლისის შტატი (ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის შტატები). ანგარიში ამ მოვლენას ხსნის იმით, რომ ამ შტატში უაღრესად არის განვითარებული მრეწველობა და რომ მუშების უმრავლესობას წარმოებებში შეადგენენ ემიგრანტები, რომლებიც ვერ შეგუებიან ამერიკული ტეხნიკის გრანდიოზულსა და სწრაფ ტემპს.

ნერვიულ ავადმყოფთა რიცხვის მიხედვით ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის შტატებს შემდეგ პირველი ადგილი უჭირავთ წყნარი ოკეანეს საპიროების შტატებს და შემდეგ ატლანტის ოკეანეს ნაპირას მდებარე შტატებს, სადაც აგრეთვე დიდათ არის განვითარებული მრეწველობა.

ყველა შტატებში თანაბრად არ არის დაყენებული ნერვიულ ავადმყოფთა მკურნალობის საქმე. არის შტატები, სადაც საექიმო დახმარებას უწევენ მხოლოდ შტატის მკვიდრ მცხოვრებთ.

რაც შეეხება საკითხს, თუ რომელ ჰასაკში უფრო ხშირად იწყება ავადმყოფობა, გამოკვლევით მტკიცდება, რომ 20 წლის ჰასაკს ზევით მოდის ავადმყოფთა 98,5 პროცენტი.

სულით ავადმყოფთა შორის 51,4% მარტოხელა აღმოჩნდა, 34,4%—დაქორწინებული, 9,0%—ქვრივი, 2,1%—განქორწინებული, 3,1%—ცნობები ვერ შეკრიბეს.

ავადმყოფობის სერიოზულობას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ აღრიცხულ ნერვიულ ავადმყოფთა 34,2% საავადმყოფოებში 10 წელიწადზე მეტი დაჰყო.

ყოველ წლიურად სულით ავადმყოფთა რიცხვი შეერთებული შტატების საავადმყოფოებში 75.000-ით იზრდება.

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი

„დინამო“—„არსრაიონი“

კვირას, 6 ივნის, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება პირველი კატეგორიის გუნდების—„დინამო“-ს და „არსრაიონის“ კალენდარული შეჯიბრი.

დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

„პროლეტარი“ — „ავტო-კლუბი“

შაბათს, საღამოს 5 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება მეორე კატეგორიის გუნდების—„პროლეტარი“-ს და „ავტო-კლუბი“-ს შეჯიბრი.

პირველი შეჯიბრი აღნიშნულ გუნდებს შორის გაიმართა გასულ შაბათს და დამთავრდა 5 : 2 „პროლეტარი“-ს სასარგებლოდ.

ეს შეჯიბრი ფეხბურთის ქვე-განწევრის მიერ არ იქნა ცნობილი კანონიერად, რადგან მსაჯი **მდივანი** არ იჩენდა საჭირო მიუდგომლობას.

„დინამო“—„დურუჯი“

პირველი კატეგორიის გუნდების „დინამო“-ს და „დურუჯი“-ს ხელმეორე შეჯიბრი გაიმართება 13 ივნის.

ჩვენი ფეხბურთელების მიწვევა

ნიკოლაევის ფიზკულტურის საბჭომ თბილისის ფიზკულტურის საბჭოს გამოუგზავნა მიმართვა, რომლითაც ნიკოლაევში (უკრაინა) იწვევს თბილისის ნაკრებ გუნდს.

თბილისის გუნდის გაგზავნის საკითხი გამოირკვევა ამ დღეებში.

„ფიზიკური კულტურა“

ამ დღეებში გამოვა საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს ჟურნალი „ფიზიკური კულტურა“-ს მორიგი ნომერი.

„არსრაიონი“—„ლენრაიონი“

პირველი კატეგორიის გუნდების—„არსრაიონის“ და „ლენრაიონის“ შეჯიბრი გათავდა 2:2.

იურიდიული რჩევა-დახმარება

განქორწინების შესახებ.

კითხვა.

გავყევი ქმარს და უკვე 8 წელიწადია მის ხელში ვარ. გვყავს ორი ვაჟი (2 წლ. და 1 წლის). უმცროსი ბავშვი ავადმყოფობს და მეც ავად ვარ მრავალგვარ ავადმყოფობით, რისი მიზეზით ჩემი ქმარი უხეშად მეპყრობა, რამაც ჩემზე დიდათ იმოქმედა და დამაავადმყოფა კიდევაც. მისგან მესმის მხოლოდ ლანძღვა-გინება და მისი სურვილია, რომ მე უნდა ვიყო მონა ოჯახის, როგორც გლახაკი და სასირცხვილო შესახედათ (რადგან ვარ ავადმყოფი). მე დამტანჯა მან 8 წლის განმავლობაში და უნდა ვავშორდე. მაგრამ ის ასე ფიქრობს: თუ მე განვაცხადე პირველად სურვილი განშორებისა, მე არაფერი არ მომეცემა მისგან. ამიტომ თვითონ არ აცხადებს, ის კი მსახურობს და კარგი ჯამაგირიც აქვს.

გეკითხებით, თუ მე განვაცხადე პირველად განშორების სურვილი, მომეცემა თუ არა მისი ჯამაგირიდან ნაწილი, მომეცემა თუ არა ჩვენ ქორწინებამდე და მის შემდეგ შეძენილი ქონების ნაწილი და თუ მომეცემა, რა რაოდენობით. როგორ იქნება ბავშვების საკითხი, თუ ავადმყოფი ბავშვი მე წამოვიყვანე, მაშინ მეტი მომეცემა თუ არა მისი ქონების და ჯამაგირის ნაწილიდან და, საერთოდ, რა პირობებით უნდა განვშორდე მას?

პასუხი.

განქორწინებულ მეუღლეს (ამ შემთხვევაში თქვენ) საზრდო მიეცემა მეორე მეუღლესაგან არა იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი პირველად განაცხადებს განქორწინების სურვილს, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად უმწეო, გაჭირვებული, უპატრონო და შრომის უნარმოკლებულია განქორწინებული ერთი მეუღლე მეორესთან შედარებით (**იხ. დეკრეტი № 28-ის მუხ. 96 დააა 97**). პირადათ თქვენ, როგორც გაპირვებულს და შრომის უნარმოკლებულს (თუ კი შრომის უნარმოკლებულობა დადასტურებული იქნება საექიმო ექსპერტიზით), უნდა მოგეცეთ თქვენი ყოფ. მეუღლისაგან საზრდო (თუ კი ივი ამას არ გაძლევთ თქვენ ნებაყოფლობით) სასამართლოს წესით. ქორწინებამდე თქვენი ყოფ. ქმრის მიერ შეძენილ ქონებაში თქვენ წილი არა გაქვთ; რაც შეეხება ქორწინების დროს შეძენილ ქონებას, შესაძლებელია, სასამართლოს განაჩენით თქვენ მოგეცეთ ასეთის (ქონების) ნახევარი.

საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ მეუღლესთან უნდა დარჩენ ბავშვები, დამოკიდებულია თქვენ ორთავე შეთანხმებაზე, თუ კი იგი (საკითხი) თქვენ შორის სადავოდ გადაიქცა, მას სჭრის სახალხო სასამართლო. ყოველ შემთხვევაში, ბავშვებს უნდა მიეცეთ სარჩო (საზრდო) უფრო შეძლებული მეუღლისაგან (**იხ. დეკრეტი № 28-ის მუხ. 117, 121, 124, 127 და 128**).

განქორწინება ხდება „მმაჩ“-ის საშუალებით, თუ კი ორივე მხარენი (ცოლქმარნი) თანახმანი არიან განქორწინებაზე და სასამართლოს წესით, თუ კი მეუღლეთ ჰყავთ შვილები ან და ერთს მათგანს სურს განქორწინება და მეორეს კი არა (**იხ. იქვე მუხ. 86, 87,88**).

კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება?

კითხვა.

ა. წ. ორ იანვრიდან 11 მაისამდე ვმუშაობდი ამიერ-კავკასიის რკინისგზის სატყეო განყოფილების ხე-ტყის საწყობში მოანგარიშის თანამდებობაზე პრაქტიკანტად. ფორმალურად ვიყავი პრაქტიკანტი და სინამდვილეში კი ნამდვილი მოანგარიშე. დაწესებულების სამუშაოებზე სახლშიაც მამუშავებდენ ღამის პირველ საათამდე. აქამდის მპირდებოდენ მუდმივ სამსახურს და ეხლა დამტოვეს სრულიად უყურადღებოდ.

გთხოვთ მიპასუხოთ—შემიძლია თუ არა მოვითხოვო ჩემი ნამუშევარის ჯილდო?

ამგვარად მე მამუშავეს ხუთი თვე და არ მოუციათ არავითარი გასამრჯელო.

გთხოვთ მიპასუხოთ, მეკუთვნის თუ არა ხუთი თვის ნამუშევარის ჯილდო და ვის მივმართო ამის შესახებ?

ჯიმშელაშვილი.

პასუხი.

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 38 და 39-ისა, ხუთი თვის შრომის ჯილდო თქვენ უნდა მოგეცეთ იმ თანამდებობის თანრიგის მიხედვით, რომელსაც თქვენ ფაქტიურად ასრულებდით. თუ კი შრომის ხელფასს ნებაყოფლობით თქვენ არ გაძლევენ, მიმართეთ სათანადო განცხადებით შრომის სასამართლოს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 3 ივნ., საღამოს 6 საათ., მილიციის კულტკუთხის ბინაზე (ველიამინოვის ქ., 7) შესდგება **ქალაქის რაიონის უჯრედების აგიტპროპკომისიის და აგიტპროპორგანიზატორების თათბირი** ნებაყოფლობითი საზოგადოებათა რაიონულ საბჭოების ფრაქციებთან ერთად.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე, მილიციის კლუბის ბინაზე (ველიამინოვის ქ., 7) შესდგება მორიგი მეცადინეობა ქალაქის რაიონის ქალთა ორგანიზატორების ქართულ ჯგუფთან.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ რაიკომის საღრიცხვო ქვეგანყოფილებაში ამხ. ზზიაშვილთან: ბაბაევი მამედი, პოლიკოვი ივანე, კაკუშაძე ოლღა, ბაიანდუროვი ისაკი, ბოგდანოვი ივანე, ოგანოვი—უჯრ. № 2-დან, ლევიტი—„ზარია ვოსტოკა“-ს უჯრედიდან, ვაზარაშვილი, ოდიაშვილი გრიგოლ, გვინჯილია მარიამი, კაპანაძე ნიკოლოზ, საქაია სერაფიონ, კარაპეტოვი გრიგოლ, იმნიაშვილი იოსებ, სტურუა სერგო, ქოროღლიშვილი ნიკოლოზ, კვიკ ოსკარ, სახარჩუკი გრიგოლ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. პელაგია თარხანოვას გამოცხადდეს თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან.

პროპაგანდისტთა კურსების ქართული ჯგუფის მორიგი მეცადინეობა შესდგება დღეს, 3 ივნისს, საღამოს 6 საათზე, თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაკის კაბინეტში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, ხუთშაბათს, 3 ივნისს, საღამოს სრულ 5 საათზე, რაიკომის ბინაზე შესდგება მიმღები კომისიის სხდომა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 3 ივნისს, საღამოს 5 საათზე, მესამე რაიკომის ბინაზე შესდგება ქალთა ორგანიზატორების თათბირი ახალგაზრდა ქალთა ორგანიზატორებთან ერთად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ახ. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი ამით აცხადებს უჯრედის წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ 3 ივნისს, საღამოს სრულ 7 საათზე, დანიშნულია უჯრედების გაერთიანებული კრება. დასწრება წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

თავზარდაცემული მშობლები ბარბარე ივანეს ასული და ვასილ ილარიონის ძე გვრიტიშვილი შვილებით ოლიათი და ილარიონით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ მათი უსაყვარლესი შვილის

თამარის (თამრიკოსი)

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე, ბინაზე, 19 თებერვლის ქუჩა № 70. დაკრძალვა შაბათს 4 საათზე—წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 2690 3—1

ღრმად დამწუხრებული ცოლი მატრონე, შვილები—სიმონ, დომენტი და სოფიო, რძალი ნინა გოგიშვილები და სიძე შალვა ჯანბერიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის მუდამ დაუვიწყარი

ფირან გოგიშვილი

რომლის დასაფლავება მოხდება სოფელ რუეთში. 2683

ღრმად დამწუხრებული მამა თომა ვასილის ძე სურმავა, დები—ნადია და მარგო, ძმები—ვლადიმერი და ალექსანდრე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ 2 ივნისს დილის 4 საათზე გარდაიცვალა მათი საყვარელი

კონსტანტინე (კოტე) სურმავა

2687

აპოლლო
[illegible]
[illegible]

სეზონის საუკეთესო კომედია
„ხრახნილი სხვა მანქანიდან“
ანონსი: ჩქარა გაიხსნება საზაფხულო კინო „აპოლლო“ ბაღ „არტო“-ში (სასტუმრო „ნოეს“ ახლო).
პრემიერა ასტა ნილსენის მონაწილეობით
„მოწყენილი ქუჩა“
1925 წ. საუკეთესო სურათი
„სიკვდილზე სტრაფი“
გარრი პილის და უმშვენიერესი მსახიობის მერი ხოლმის მონაწილეობით
ჩქარა: მეცხრე ზვირთი
0—21. ნ. 1265

ამ დღეებში გაიხსნება საზაფხულო კინო „ეთერი“ (სახელმწიფო ოპერის ბაღში)
ამ დღეებში გაიხსნება საზაფხულო კინო „ეთერი“ (სახელმწიფო ოპერის ბაღში)
პირველად
ნაჩვენები იქნება
პრემიერა
ქალი მთის მწვერვალიდან
მთავარ როლში—ბარბარე ლამარ
(სურათი „БЕЛАЯ МОЛЬ“ გმირი)
ცუდი ამინდის შემთხვევაში სურათი ნაჩვენები იქნება სახელმწიფო ოპერაში
[illegible]
გახსნის დღეს
ნ. 1376

დაბრუნდა
ექიმი ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონის კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათ. (ლენინის და ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82.
25—1 ქვ. 2356

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალის. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე 5—17

ექიმი
ნ. გ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ., საღამოს 4—7 საათამდე, ელბაქიძის დაღმართი, № 15.

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს, დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის) № 32. 25—

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი.
იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან). 25—7

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექ. ე. მ. მქინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18, შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან. 25—1

ექიმი
შ. ნ. ონიანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 2215 3—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—18

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჰლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
ფურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და სალ. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ., № 23 25—1

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 22—

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. ღებულობს ავადმყოფებს კანის, სიფილისის და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სქესო ორგანოს ყველა გართულებები. დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის საღამოთი 4—8 საათამდის. 25—6

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—17

დაკარგა პარტ-ბილეთი № 493594 და პროფკავშირის წიგნაკი—მასთან პირადობის მოწმობა ზაქარია ნიკას ძე კურტანიძის სახელზე, ჩ. გ. 2688

დაკარგა პირადობის მოწმობა და რეგისტრაციის წიგნაკი იასონ ვალიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2684

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 4732, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დგებუაძის სახელზე, ჩ. გ. 2685

1924 წელში უკვალოდ **დაიკარგა** შალიკო ლომინის ძე დოლიძე. ვსთხოვ მნახველთ მომაწოდოს ცნობები მის შესახებ ლომინ გერასიმეს ძე დოლიძეს, ოზურგეთი ცხაკაიას ქუჩა, № 24. 2686

დაკარგა თბილისის ლომბარდის ქვითარი № 40302, ანასტასია ორდუიძის სახელზე, ჩ. გ. 2691

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 106, ვახტანგ ელიოზიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2689

დაკარგა საამშენებლო პროფკავშირის წიგნაკი № 186, პიოთრის საამშენებლო კავშირის მიერ მოცემული გრიშა ივანეს ძე დევდარიანის სახელზე, ჩ. გ. 2686

დაკარგა პირადი საღრიცხვო წიგნაკი № 243, ნიკიფორე მიხას ძე პერტაიას სახელზე, ჩ. გ. 2686

დაკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი აქსენტი ცირდავას სახელზე, ჩ. გ. 2688

დაკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი სანდრო მათეს ძე რამაზაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2688

დაკარგა პირადი წიგნაკი ფორმა № 4, № 39 ერასტი ცაავას სახელზე, ჩ. გ. 2688

დაკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული სალექციო წიგნაკი № 2789, არმენაკ ონანოვის სახელზე, ჩ. გ. 2693

ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ს. გასლოვიჩი

ამით აცხადებს, რომ 7 ივნისს 1926 წ. დილის 10 საათზე, ელისაბედის ქუჩ. სახლში № 126 საჯარო ვაჭრობით გაყიდის რუბენ ბაბაჯანოვის მოძრავ ქონებას: პიანინო, ბუფეტის შკაფი, ტანისამოსის შკაფი, ხალიჩა, ფარდაგი, კედლის საათი და სხვა, შეფასებულს 500 მან., ალექსანდრე თანდოევის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-4 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 29 იანვრის 1926 წ. № 520 სასამართლოს ბრძანებისა. 269-

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68